წელიწადი მეცხრე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და შუა 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—48) დამის მორიგეს 18—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან —20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 22 დეკემბერი, 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 296 (2339)

დღიური

- კომინტერნის აღმასკომის წერილი გერმანიის კომპარტიას.
- სტიქიური გაფიცვა ლვოვის რკინისგზის სახელოსნოებში.
- ფინეთის ახალი მთავრობის შედგენა დაევალა პროგრესისტ მანტერეს.
- ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟი გაიმართება 26-28 იანვარს.
- დეფექტები „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფის მუშაობაში.
- წყალდიდობა ლენინგრადში.

ერთა ლიგის უძლურება და ინგლის-ამერიკის ბრძოლა

(ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტის გამო)

ლათინურ ამერიკის ორ პატარა რესპუბლიკას—ბოლივიასა და პარაგვაის შორის ეს ერთი ხანია ტერიტორიულ დავის ნიადაგზე ომი წარმოებს. თავის თავად ამ კონფლიქტზე ჩვენ არ შევჩერდებოდით (მსგავსი რამ განა ცოტა ხდება კაპიტალისტურ მსოფლიოში!), რომ მასთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ არ გამოაშკარავებულიყო ერთი მხრით, ერთა ლიგის სრული უმწეობა, ხოლო მეორე მხრით ინგლისის და ამერიკის შეერთებულ შტატების ინტერესთა გადაულახავი წინააღმდეგობა.

ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სესია უცებ აღინთო „ქრისტიანული კაცთმოყვარეობის“ გრძნობით და მეომარ მხარეთ თავისი შუამავლობა შესთავაზა. წარმოიდგინეთ, საბჭომ დაადგინა ხსენებულ კონფლიქტის გამო თავის საგანგებო სესიის მოწვევაც კი, თუ ამას საქმე მოითხოვდა. პირველ შეხედვით ეს „რაინდული“ ჟესტი უცნაურია: სად ერთა ლიგა და სად მშვიდობიანობაზე ზრუნვა. ხომ უამრავი ფაქტი მოგვეპოვება, როცა ამ ორგანიზაციას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული გაცილებით უფრო მნიშვნელოვან ამბების დროს. მარტო ის რათ ღირს, რომ ერთა ლიგის საბჭოს კრინტიც არ დაუძრავს, როცა იმპერიალისტები ელეტდნენ ლიგის წევრის — ჩინეთის მოსახლეობას და იაპონია ამ ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას ახდენდა. აშკარაა, რომ ეს დაწესებულება მხოლოდ იარაღია იმპერიალისტების ხელში ხალხთა დასამონებლად, ცხადია, რომ მას ნაკლებად აფიქრებს მშვიდობიანობის დაცვის საქმე.

ამიტომ, ვიმეორებთ, უცნაურად მოჩანს ერთა ლიგის ცდა, მიმართული ბოლივიისა და პარაგვაის შერიგებისაკენ. მაგრამ ამ ნაბიჯის აზრი ცხადი შეიქნება, თუ გავითვალისწინებთ მის ფარულ მოტივებს. აქ როლს თამაშობს არა მარტო ის გარემოება, რომ ლიგას უნდოდა მშვიდობიანობის მოციქულის სამოსელში გახვევა და თავისი ძალიან შერყეული პრესტიჟის რამოდენიმედ მაინც აღდგენა (თუ ეს საერთოდ შესაძლებელია). ლიგის გამოსვლის ძირითადი მიზეზი მარხია ინგლისის და შეერთებულ შტატების მეტოქეობაში.

როგორც ვიცით, მათ შორის ბრძოლა წარმოებს ლათინურ ამერიკაზე გაბატონებისთვისაც. ჩრდილოეთ-ამერიკის კაპიტალი სულ უფრო დევნის იქიდან ინგლისისას და თვითონ ცდილობს მარტოდ მარტო დაეუფლოს ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს. ვაშინგტონი ვერ ითმენს ამ სახელმწიფოებში ევროპის ჩარევას. სხვათა შორის, გუვერის მოგზაურობა ლათინურ ამერიკაში და ეხლანდელი პანამერიკული კონფერენცია ემსახურებიან ხსენებულ ქვეყნებზე ჩრდილოეთის შტატების ბატონობის განმტკიცების და ევროპიდან მათი კიდევ მეტი ჩამოშორების საქმეს.

ამავე დროს ინგლისს თავის მხრივ გულზე ხელები არა აქვს დაკრეფილი. ის ყოველ ზომას ღებულობს, რათა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ლათინურ ამერიკის უკმაყოფილება შტატების იმპერიალიზმის მიმართ. კერძოდ იგი მოქმედებს ერთა ლიგის საშუალებით, რომელშიაც ცდილობს ჩააბას სამხრეთ-ცენტრალურ ამერიკის ქვეყნები, რათა მათთან ერთად ერთა ლიგის უკან ამოფარებულმა შექმნას მთლიანი ფრონტი ვაშინგტონის წინააღმდეგ.

სწორედ ამით აიხსნება ერთა ლიგის საბჭოს ჩარევა ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტში. ბრიანი, რომელმაც ლიგის საბჭოს სახელით მიმართა ამ ქვეყნების მთავრობებს შუამავლობის წინადადებით, რა თქმა უნდა, ჩემბერლენის კარნახით მოქმედებდა. ამ შუამავლობის მიზანი იყო ლიგის მხრით გავლენის განმტკიცება ამ რესპუბლიკებზე და მათთან ერთად მთელ ლათინურ ამერიკაზე, რაც ამავე დროს ნიშნავს იქ ვაშინგტონის პოზიციების შესუსტების და ინგლისის გამაგრების ცდას.

სინამდვილეში კი რა გამოვიდა? ერთა ლიგის საბჭოს ეს „წამოწყება“ მისთვის სასკანდალოდ დამთავრდა. თუმცა ბოლივია და პარაგვაი ლიგის წევრები არიან, მაგრამ მათ უარყვეს მისი შუამავლობა. ეს კიდევ არაფერი: ისინი დასთანხმდნენ ვაშინგტონის არბიტრაჟზე. ამის შემდეგ რა უნდა უწოდოთ საფრანგეთის ბურჟუაზიულ პრესის აღტაცებას ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტში ერთა ლიგის ჩარევის „წარმატებით“. ეს წარმატება კი არა, მაგარი სილის გაწნაა ლიგისათვის. მხოლოდ ჟურნალისტი პერტინაქსი იჩენს „მოქალაქეობრივ გამბედაობას“ და აღიარებს ერთა ლიგის სრულ უძლურებას კონფლიქტის წინაშე, რომლის „გადამჭრელ ძალას წარმოადგენს არა ლიგა, არამედ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთ. შტატები“-ო. ვაშინგტონი ჩაერია საქმეში და აუკრძალა თავის ფაქტიურ კოლონიებს, ბოლივიასა და პარაგვაის, ერთა ლიგის წინადადების მიღება და თვითონ იკისრა კონფლიქტის „მოწესრიგება“.

გამოვიდა სრულებით იმის წინააღმდეგ, რასაც ერთა ლიგა ფიქრობდა: მისი ავტორიტეტი უფრო დაეცა, ხოლო ვაშინგტონმა აგრძნობინა ლონდონს, რომ ის ერთად-ერთი ბატონი უნდა იყოს ლათინურ ამერიკაში.

ის გამძაფრებული ქიშპობა ინგლის-ამერიკას შორის, რამაც გამოხატულება ჰპოვა ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტში, წარმოებს მთელი მსოფლიო პოლიტიკის ხაზით, და აძლიერებს ამ ორი იმპერიალისტური გიგანტის შეიარაღებული შეტაკების საფრთხეს. იმპერიალისტები და მათი აგენტები სოციალ-დემოკრატები მშვიდობიანობაზე თვალთმაქცური ლაყბობით ვერ შესძლებენ ასეთი მდგომარეობის მიფუჩეჩებას და მშრომელ მასების სიფხიზლის მიძინებას.

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის

მრეწველობის ხაგეგმო ორგანოები ამჟამად მუშაობენ მრეწველობის ხუთწლიანი კონკრეტული გეგმის შესადგენად ეს გეგმა შემადგენელ ნაწილად შევა მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში, რომელიც განსახილველად და დასადასტურებლად წარედგინება საბჭოების მორიგ ყრილობას.

პროლეტარიატის სამეურნეო პოლიტიკის მთავარი ამოცანები მკაფიოდ არიან ჩამოყალიბებულნი მე-15 ყრილობის დადგენილებებში. ჩვენ გვესაჭიროება სახალხო მეურნეობის განვითარების ისეთი ხუთწლიანი გეგმა, „რომელიც ხანგრძლივ უზრუნველჰყოფს განვითარების სწრაფ ტემპს“ იმ მიზნით, რომ სწრაფად განხორციელდეს ინდუსტრიალიზაცია, ამაღლდეს მშრომელთა ცხოვრების ნივთიერი და კულტურული დონე, განმტკიცდეს ეკონომიური კავშირი გლეხობასთან დამოუკიდებელნი ვიყვეთ კაპიტალისტური ქვეყნებისაგან და ყოველმხრივ გავაძლიეროთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობა. ჩვენთვის ეს დიდი და სწრაფი ტემპი საჭიროა იმისათვის, რომ შევასრულოთ დირექტივა: „დავეწიოთ და შემდეგ გავუსწროთ კაპიტალისტური ქვეყნების დონეს“, რომ სახალხო მეურნეობაში უზრუნველვყოთ სოციალურ-კლასობრივი სექტორების ისეთი თანაშეფარდება, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი ჩვენი ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნას. ეს დიდი ტემპი რეალურად უნდა გავითვალისწინოთ, მის საფუძველს უნდა შეადგენდეს მრეწველობის გაშლა-განვითარებისა და სოფლის მეურნეობის წინსვლის მკვიდრი და თანდათან გაღრმავებული კავშირი და არა მათი გათიშვა. მრეწველობის ხელმძღვანელმა და სოციალისტურად გარდამქმნელმა როლმა უნდა უზრუნველჰყოს სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების განვითარება, სახელდობრ: სოფლის მეურნეობისა, ტრანსპორტისა, ბიუჯეტისა და სხვ.

თვით მრეწველობის შიგნით სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარებაზე, რადგან იგი შეასუსტებს ჩვენს დამოკიდებულებას კაპიტალიზმის ქვეყნებისაგან. უზრუნველჰყოფს მეურნეობის განვითარებას ბლოკადის დროსაც კი, შექმნის მთავარ პირობებს მთელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ასაყვანად უფრო მაღალ ტეხნიკურ საფეხურზე. სწორედ მძიმე ინდუსტრიის ტემპის წინ გასწრება წარმოადგენს მრეწველობის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ჩვენმა პარტიამ გადაჭრით დაჰგმო და უარჰყო იმ პირთა წინადადებანი, ვინც შეუშინდნენ სიძნელეებს და მზად იყვნენ შეეცვალათ მრეწველობის განვითარების გენერალური ხაზი.

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ ყველას თვალნათლად დაანახვა, რომ ჩვენი ინდუსტრიალური განვითარების რეალურმა პროცესმა გადაამეტა ჩვენი განვითარების ყველა საპერსპექტივო ვარაუდს. ამის მიზეზები იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ხუთწლიანი გეგმების შედგენაზე გავლენას ახდენდნენ იმ წლის და ხშირად წლის იმ კვარტალების სამეურნეო პირობები, როდესაც ეს გეგმები ხდგებოდა, რომ გავლენას ახდენდნენ წარმოების მატერიალური და ორგანიზაციული პირობები, რომლებიც ახასიათებდნენ სწორედ არსებულ პერიოდს. საჭიროა გავითვალისწინოთ ეს წარსული გამოცდილება. ხუთწლიანი გეგმა ვერ დაემყარება დღევანდელი დღის ამ „კონიუნქტურულ“ მომენტებს. რასაკვირველია, ეს სრულებითაც იმას არ გულისხმობს, რომ შესაწყნარებელი იყოს წინააღმდეგი გადახრა და გეგმის მოწყვეტა სინამდვილისაგან, [illegible] იყოს აბსტრაქტული გეგმა ხუთწლიანი გეგმისა, რომელიც დაკავშირებული არ იქნება განვითარების საფუძვლებთან. მატერიალური და ტეხნიკური რესურსების გაუთვალისწინებლობის, ჩვენი განვითარების შესაძლებელი ტემპის გაუთვალისწინებლობის მიზეზები იყო ის, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ ვახერხებდით მეურნეობის გაძღოლას, საკმაოდ ვერ ვიყენებდით ჩვენ რესურსებს, ყველა ჩვენს უპირატესობას. ამ მიზეზთა შორის უნდა დავასახელოთ აგრეთვე საერთო და კულტურული ჩამორჩენილობა.

მრეწველობის განვითარების გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ მხარეებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას საწარმოო დახმარებას უწევენ, ქმნიან პირობებს მოსავლიანობის გასადიდებლად, სოფლის მეურნეობის ტეხნიკური დონის ასამაღლებლად და ამით საჭირო პირობებს უქმნიან მის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. მაქსიმალური ტემპით უნდა იზრდებოდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანების, კერძოდ ტრაქტორების დამზადება, ქიმიურ სასუქთა მრეწველობა, მავნე მწერებთან საბრძოლველ საშუალებათა წარმოება, სოფლის ელექტრო სადგურების განვითარება და სხვ. უნდა გვახსოვდეს, რომ მრეწველობის განვითარების გეგმას საფრთხე მოელოდება და შეიძლება იგი არარეალური გამოდგეს, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება სოფლის მეურნეობის საჭირო ზრდა, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება, მსუბუქი ინდუსტრიის განვითარების ნავარაუდევი ტემპის შესაფერად, სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზის განვითარება, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება სასურსათო კულტურების ის ზრდა, რომელიც საჭიროა ქალაქებისა და რიცხვობრივად თანდათან გადიდებული პროლეტარიატის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ჩვენი ექსპორტის გასაფართოებლად და სხვ.

ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მეურნეობის გაძღოლის სისტემატიურად გაუმჯობესებული წესები და მეთოდები, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ყველა არსებული რესურსები, კულტურული დონის სისტემატიური ზრდა და წარმოების თანდათან გაუმჯობესებული ორგანიზაცია. მეურნეობის გაძღოლის ასეთი ყოველმხრივი რაციონალიზაცია ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი და სავალდებულოა. მრეწველობის გაშლა-განვითარება დაფუძნებულია უდიდესი კაპიტალური თანხების დაბანდებაზე ახალ მშენებლობაში და არსებულ წამოწყებათა რეკონსტრუქციაზე. ამ კაპიტალური თანხების თვალსაჩინო ნაწილი მიღებულ უნდა იქნას თვით მრეწველობის შიგნით, თვითღირებულების შემცირების გზით.

მთელი ხუთი წლის განმავლობაში თვითღირებულების შემცირება ცენტრალურ პრობლემად რჩება, როგორც კაპიტალური მშენებლობის ფონდის შექმნის თვალსაზრისით, ისე იმ თვალსაზრისით, რომ მოისპოს სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტების ფასების შეუფერებლობა. მრეწველობის მუშაობის თვისებრივ გაუმჯობესებას გვავალებს უდიდესი მნიშვნელობის პრობლემა: ხუთი წლის დამლევს ყველა საწარმოო მუშის გადაყვანა 7 საათის სამუშაო დღეზე და ამავე დროს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის სერიოზულად გაუმჯობესება.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენა უდიდესი მნიშვნელობის საქმეა. ეს ყველაზე ნაკლებ შეიძლება იყოს ვიწრო კაბინეტური საქმე. პირიქით, მან უნდა მიიზიდოს ფართო საზოგადოებრივი აზრი. ხუთწლიანი გეგმა მთელი მუშათა კლასის უაღრესად არსებით ინტერესებს ეხება. ეს გეგმა წარმოადგენს პარტიის გენერალური ხაზის ციფრობრივ გამოხატვას სამეურნეო განვითარების მთელი პერიოდისათვის.

ამ გეგმის საბოლოო დამუშავების დროს ჩვენ აუცილებლად უნდა მოველოდეთ მემარჯვენე გადახრის იმედდაკარგული ელემენტების წინააღმდეგობას, რომლებიც გაზვიადებულად აფასებენ ჩვენს სიძნელეებს, უმოქმედობას იჩენენ სოციალისტური შეტევის წინაშე და არა სჯერათ წარმატებითი ბრძოლა სოციალისტური განვითარებისათვის.

ჩვენ გადაჭრილ წინააღმდეგობას გაუწევთ წვრილბურჟუაზიულ „მემარცხენე“ ზეინდუსტრიალურ სულისკვეთებას, რომელიც გვიქადის პროლეტარიატის კავშირის გაწყვეტას გლეხობის ძირითად მასებთან.

სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა ფართოდ უნდა იქნას განხილული, ყოველმხრივ უნდა იქნას შესწავლილი.

სავსებით ცხადია, რომ სწორი და სოციალისტური განვითარების ამოცანებთან შეფარდებული საპერსპექტივო გეგმების შედგენა დასახული ამოცანის მხოლოდ ერთ ნაწილს სწყვეტს. დასახული გეგმების სავსებით დამთავრება და შესრულება შეადგენს ამოცანის მეორე და ამასთანავე უმთავრეს ნაწილს თანმიმდევრობითი და განუწყვეტელი წინსვლა დასახული გზით და ზრდის სიძნელეთა დაძლევა ჩვენი პარტიის—სოციალისტური გარდაქმნის და საბჭოთა ეკონომიკის ხელმძღვანელის,—ძირითად ამოცანას შეადგენს. ამ ამოცანის შესრულება დამოკიდებულია თვით მუშების აქტივობის ზრდაზე და მათ შემოქმედებით მონაწილეობაზე სოციალისტურ მშენებლობაში. ამის მიღწევას უნდა მიაქციოს ყურადღება მთელმა პარტიულმა და საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

„პრავდა“, 21 დეკემბერი.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხი თემთა პალატაში

ბოლდუინის განცხადება ინგლისის ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ

„ეს წელი ჩვენი ქვეყნისათვის იმედების გაცრუების წელიწადი იყო“.

პეკინელი სტუდენტები მოითხოვენ ნანკინის გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრების გადაყენებას

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 20 დეკემბერი. რეიტერი იუწყება:

„თემთა პალატის სხდომაზე ლიბერალმა გარო ჯონსმა აღძრა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხი. გარო ჯონსმა სთქვა:

„ჩემბერლენმა ამ დღეებში განაცხადა, რომ მოლაპარაკება ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის არ შეიძლება განახლდეს მანამ, სანამ რუსები ხელს არ აიღებენ მტრულ პროპაგანდაზე ინგლისის წინააღმდეგ“.

ამის გამო ჯონსი ჩემბერლენს შეეკითხა—გააკეთებს თუ არა ჩემბერლენი გარკვეულ განცხადებას რაიმე მოქმედების შესახებ, რომელსაც კიდევ აქვს ადგილი და მოიპოვება თუ არა მას ამის დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც შეუძლია წარუდგინოს პალატას.

„ერთად ერთი დამამტკიცებელი საბუთი, რომელსაც მე ვემყარები,—განაცხადა ჩემბერლენმა,—ეს არის მოსკოვში წარმოთქმული სიტყვები. თუ წაიკითხავთ ამ სიტყვებს, დაინახავთ, რომ არავითარი ცვლილება არ მომხდარა იმ ხელმძღვანელთა გულსა და გონებაში, რომლებიც ხელისუფლების სათავეში არიან იქ“ (ადს).

რემნანტის განცხადება

ლონდონი, 20 დეკემბერი. „მანჩესტერ გარდიენ“-ში დაბეჭდილია „ინგლიშ რევიუ“-ს რედაქტორის რემნანტის განცხადება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის საკითხის შესახებ. განცხადება შეეხება იმ მოლაპარაკებას, რომელსაც რემნანტი აწარმოებდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველთან პარიზში ბესედოვსკისთან ინგლისის საქმიანი წრეების დელეგაციის საბჭოთა კავშირში გამგზავრების შესახებ. რემნანტის განცხადებაში ნათქვამია:

„ბუტბის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ იმდენად ფართო ინტერესი გამოიწვია საკითხისადმი, რომ სასურველია გარკვეულად იქნას აღნიშნული ფაქტები, რადგან შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პირველი ნაბიჯი უნდა გადასდგას მოსკოვმა, მე მოვალედ ვსთვლი თავს განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკვე გადადგა მეტად გარკვეული ნაბიჯი. ივლისში საბჭოთა მთავრობამ მაცნობა, რომ იგი მიესალმება ინგლისის მრეწველთა და ფინანსისტთა წარმომადგენლების დელეგაციის გამგზავრებას საბჭოთა კავშირში ეკონომიური მდგომარეობისა და საწარმოო დაწესებულებათა შესასწავლად. სექტემბერში მე ვიკისრე დელეგაციის გამგზავრების საქმის მოგვარება, რადგან საბჭოთა კავშირის ოფიციალურ წარმომადგენლებთან (პარიზში) მოლაპარაკების დროს დავრწმუნდი, რომ ამ წინადადებას დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მრეწველობისათვის და რომ საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურს გამონახოს საფუძველი თანამშრომლობისათვის მე შევხვდი, საბჭოთა კავშირის, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველს პარიზში ამხ. ბესედოვსკის. მან გამომიცხადა, რომ დელეგაციას ოფიციალურად მიესალმება მოსკოვი და მას მიეცემა საშუალება თავისუფლად გაეცნოს ყველა საჭირო მასალას, ისეთ მასალასაც კი, რომლის გაცნობაც წინედ არ შეიძლებოდა. ბესედოვსკიმ განაცხადა, აგრეთვე, რომ საბჭოთა მთავრობა მართლაც იწვევს ინგლისის საფინანსო წრეებს—კისრონ ხელმძღვანელი როლი რუსეთის ეკონომიურ აღორძინებაში.

ამის შემდეგ მოხდა წერილების გაცვლა-გამოცვლა, რომლებიც ადასტურებენ შეთანხმებას; მე გადმომცეს იმ წარმოებათა სია, რომლებიც აუცილებლად ითვლებიან რუსეთის ეკონომიური განვითარებისათვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და რომლებსაც ამზადებს სამუშაოთა სახელმწიფო დეპარტამენტი (რემნანტს ალბად მხედველობაში აქვს სახელმწიფო საგეგმო კომისია); ეს წარმოებანი, გამოანგარიშების თანახმად, მოითხოვენ 460 მილიონი ფრანკის კაპიტალურ ხარჯებს.

მე ეჭვი არ შემდის, რომ შეიქმნა მდგომარეობა, რომლიდანაც ინგლისს ამჟამად შეუძლია სარგებლობა მიიღოს. მე ეჭვი არ შემდის, რომ გავლენიან წრეებს მოსკოვში მართლაც სურთ მიიღონ ინგლისის დახმარება; ამასთანავე მათ კარგად იციან ის აუცილებელი პირობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება აღმოეჩინოს ეს დახმარება“ (ადს).

ჩემბერლენი უპასუხებს

ლონდონი, 20 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ჩემბერლენმა მიცემული შეკითხვების პასუხად, სხვათა შორის, განაცხადა:

„დიდად პატივცემული დეპუტატი ამბობს, რომ ყალბი სიამაყე ორივე სახელმწიფოს ერთმანეთს აშორებს და ხელს უშლის, რომ ერთერთმა მათგანმა მეორეს მიმართოს. მთავრობის პოზიცია უაღრესად პრაქტიკულია. ყალბი სიამაყე კი არ გვიშლიდა ხელს, რომ აღგვედგინა ურთიერთობა, არამედ იმის რწმენა, რომ არავითარი ისეთი ფაქტები არ მომხდარა, რომ თუ ჩვენს შორის ურთიერთობა განახლდება, წინანდელი ისტორია არ განმეორდება“.

ჩემბერლენის პასუხი ყალბი თავმოყვარეობის გამო შეეხებოდა მუშათა პარტიის წევრის დალტონის სიტყვებს. შემდეგ მუშათა პარტიის წევრი ტეილორი შეეკითხა ჩემბერლენს: ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკებას ამჟამად მხოლოდ პროპაგანდის საკითხი აბრკოლებს თუ არა? ჩემბერლენმა უპასუხა: „არა, მე ეს არ მითქვამს. რასაკვირველია, არსებობს სხვა საკითხებიც, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს“.

ქაბულის ამბების გარშემო

ნამდვილი მდგომარეობა ქაბულში

ქაბული, 20 დეკემბერი. იმის გამო, რომ ევროპის პრესაში ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თითქოს ქაბული აჯანყებულებმა დაიჭირეს, ხოლო ფადიშაჰი და მთავრობა ქალაქიდან გავიდნენ, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ოფიციალურად განუცხადეს, რომ ეს ცნობები სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ფადიშაჰი ამანულა და მთავრობა ქაბულში იმყოფებიან და არც აპირებენ მის დატოვებას. მთავრობის ჯარებმა აჯანყებულებს ქაბულის განაპირა უბნებიდან [illegible] დაახევინეს, ჩალიგარის მიმართულებით. 20 დეკემბერს მთავრობის ჯარებს იერიში მიჰქონდათ იმ გორაკებზე, რომელიც ისევ მოწინააღმდეგის ხელშია. შეტევა წარმატებით მიმდინარეობს. საბუთი არსებობს ვიფიქროთ, რომ უახლოეს დღეებში აჯანყებულთა ამ დასაყრდნობი პუნქტის ლიკვიდაცია მოხდება. 20 დეკემბერს ინგლისის ჰაეროპლანმა ისევ ჩამოყარა პროკლამაციები. ინგლისელების ასეთი საქციელი საყოველთაო აღშფოთებას იწვევს (ადს).

ჰაეროპლანი ქაბულიდან

თერმეზი, 21 დეკემბერი. 20 დეკემბერს ქაბულიდან მოფრინდა მორიგი სამგზავრო ჰაეროპლანი, რომელიც საბჭოთა და ავღანისტანის საჰაერო ხაზით მოქმედებს—ქაბულ-ტაშკენტს შორის. ხვალ ჰაეროპლანი ტაშკენტში წავა (ადს).

რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ავღანისტანის ამბების შესახებ

ბერლინი, 21 დეკემბერი. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბიულეტენში გამოქვეყნებულია წერილი ავღანისტანის ამბების შესახებ. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ ამანულას რეფორმატორული მოღვაწეობის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას ზურგს უმაგრებს ინგლისი, რომელსაც ავღანისტანის დაახლოვება საბჭოთა კავშირთან, გერმანიასთან და თურქეთთან თავისი პოლიტიკის ხელშემშლელ დაბრკოლებად მიაჩნია შუა აზიაში. ინგლისი რომ მხარს უმაგრებს ამანულას საწინააღმდეგო მოძრაობას, ამით იგი ცდილობს, ხელახლა დაუმორჩილოს ავღანისტანი თავის გავლენას.

სტამბოლი, 20 დეკემბერი. „მილიეთ“-ს ატყობინებენ ანგორიდან, რომ მეამბოხეთა წინააღმდეგ ქაბულის დაცვაში მონაწილეობას იღებენ თურქი ოფიცრები, რომლებიც ავღანისტანის მთავრობის სამსახურში იმყოფებიან. ანგორაში დარწმუნებულნი არიან, რომ ამბოხება მალე იქნება ჩაქრობილი და ამანულა ხანის ირგვლივ თავმოყრილი პროგრესიული ელემენტები დაამარცხებენ იმ რეაქციონურ მოძრაობას, რომელსაც ხელმძღვანელობს ფანატიკური სასულიერო წოდება (ადს).

ჩემბერლენი ავღანისტანის შესახებ

ლონდონი, 20 დეკემბერი. თემთა პალატაში 19 დეკემბერს ჩემბერლენი შეეხო მდგომარეობას ავღანისტანში მან განაცხადა, რომ მას არ მოეპოვება სწორი ინფორმაცია.

იმ მფრინავის მოხსენებიდან, რომელიც გუშინ პეშავარიდან მოფრინდა ბრიტანეთის მისიასთან კავშირის დასამყარებლად და სხვა მიზნებისათვის, სჩანს, რომ აეროდრომი სასახლის მახლობლად კვლავ მთავრობის ხელშია. მისიაში ყველაფერი რიგზეა.

დასასრულ ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ ტომების მეთაურებმა 14 დეკემბერს დაარწმუნეს ინგლისის რწმუნებული, რომ მათ არავითარი მტრული განზრახვა არა აქვთ მისიის მიმართ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგლის-ინდოეთის მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ინგლისის ქვეშევრდომთა უშიშროება ქაბულში. გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ქაბულში ჩამოაგდეს ინგლისის ერთი აეროპლანი.

ბოლდუინის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 20 დეკემბერი. რეიტერი იუწყება:

„ბოლდუინმა, რომელიც თემთა პალატაში გამოვიდა ქვა-ნახშირის რაიონებში მშიერ მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხის გამო, განაცხადა, რომ ყოველკვირეულად 1.250 კაცი გადადის სამუშაოდ მრეწველობის დარგში“.

ვაჭრობის საერთო მდგომარეობის შესახებ ბოლდუინმა განაცხადა:

„სამეურნეო აღორძინების განთიადი ჯერ არ დამდგარა. ეს წელი ჩვენი ქვეყნისათვის იმედების გაცრუების წელიწადი იყო. ეჭვს გარეშეა, რომ მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის დაცემამ, რაც შედეგად მოჰყვა სამუშაო ხელფასის დაკარგვას 1926 წლის გაფიცვის შემდეგ, გავლენა იქონია მთელი ქვეყნის სყიდვითი უნარიანობაზე“-ო. (ადს).

გერმანიის კომპარტიის სილეზიის საოლქო ორგანიზაციის ყრილობა

ბერლინი, 21 დეკ. 16 დეკემბერს მოხდა გერმანიის კომპარტიის სილეზიის საოლქო ორგანიზაციის საგანგებო ყრილობა.

ც. კ.-ის სახელით მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ტელმანი. 75 ხმის უმრავლესობით 17 წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც საოლქო კომიტეტს წინადადება მიეცა პარტიიდან გამორიცხოს მემარჯვენე ჯგუფის ლიდერი გაუზენი. გაუზენი პასუხისმგებელია მემარჯვენეთა ფრაქციული ორგანოს „მიმდინარეობის წინააღმდეგ“-ის ანტიპარტიული შინაარსისთვის. თავიანთი მოქმედება თავშეკავებულებმა დაასაბუთეს იმით, რომ მათ არ სურთ წინ წაუსწრონ საოლქო კომიტეტის დადგენილებას. შემდეგ, 62 ხმის უმრავლესობით 14 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა დადგენილება ელიზერის და გერტელის გამორიცხვის შესახებ (ადს).

მთავრობის კრიზისი ფინეთში

ჰელსინგფორსი, 20 დეკემბერი. კოალიციური (მონარქისტული) პარტიის ლიდერმა ინგმანმა აცნობა პრეზიდენტს, რომ იგი უარს ამბობს კაბინეტის შედგენაზე, რადგან აგრარიები უარყოფითად უყურებენ ფინეთის ბურჟუაზიული პარტიებისაგან კოალიციის შექმნის პროექტს. მთავრობის შედგენა პრეზიდენტმა მიანდო პროგრესიული პარტიის ლიდერს მანტერეს (ადს).

პეკინის სტუდენტთა კავშირის მოთხოვნა

პეკინი, 20 დეკ. პეკინის სტუდენტთა კავშირმა გომინდანის ცენტრალურ კომიტეტს ნანკინში გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც მოითხოვს საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ჩუენტინის და ფინანსთა მინისტრის სუნ ცზე-ვიანის დაუყოვნებლივ გადაყენებას. ამ მინისტრებს სტუდენტთა კავშირი ბრალს სდებს იმაში, რომ მათ უცხოელ სახელმწიფოებთან მოლაპარაკების დროს მსხვერპლად შესწირეს ჩინეთის სუვერენული უფლებები (ადს).

ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტი

საფრანგეთის პრესა ხოტბას ასხამს ერთა ლიგას

პარიზი, 20 დეკ. ბურჟუაზიული პრესა აღტაცებას გამოსთქვამს „ერთა ლიგის ნაყოფიერი ჩარევის გამო ბოლივია-პარაგვაის კონფლიქტში“. ბოლივიასა და პარაგვაის შორის სამხედრო მოქმედების შეჩერება პრესას ერთა ლიგის მიმართვის შედეგად მიაჩნია. მხოლოდ პერტინაქსი „ეკო დე პარი“-ში გულახდილად აცხადებს, რომ უკანასკნელი დღეების ამბებმა ნათელი გახადეს ლიგის სრული უძლურება იმ კონფლიქტის წინაშე, რომელშიც გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს არა ერთა ლიგა, არამედ შეერთებული შტატების რესპუბლიკა

უკანასკნელი ცნობები

ნანკინისა და ინგლისის სატარიფო შეთანხმების ხელის მოწერა

შანხაი, 21 დეკემბერი. დღეს, 21 დეკემბერს ნანკინის მთავრობამ და ინგლისმა ხელი მოაწერეს სატარიფო შეთანხმებას. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამ შეთანხმებით ინგლისი სცნობს ჩინეთის სრული სატარიფო ავტონომიის პრინციპს. შეთანხმებაზე ხელის მოწერა გულისხმობს ნანკინის მთავრობის აღიარებას. ხელმოწერილია აგრეთვე სატარიფო შეთანხმებანი პორტუგალიასთან, ჰოლანდიასთან და შვეციასთან. საფრანგეთთან და ესპანეთთან შეთანხმებაზე ხელის მოწერას ამ დღეებში მოელიან (ადს).

სტიქიური გაფიცვა ლვოვის რკინის გზის სახელოსნოებში

ვარშავა, 20 დეკემბერი. მიუხედავად პოლ. სოც. პარტიის წევრთა წინააღმდეგობისა, ლვოვის რკინის გზის სახელოსნოებში წარმოიშვა სტიქიური გაფიცვა. გაიფიცა 2000 კაცი, მუშები მოითხოვენ ერთი თვის ჯამაგირს მოახლოვებული უქმეების გამო (ადს).

ბელორუსთა სკოლის მოღვაწეების თათბირის მონაწილეთა დაპატიმრება

ვარშავა, 21 დეკემბერი. ვილნის ბელორუსთა გიმნაზიის შენობაში გამართა ბელორუსთა სკოლის მოღვაწეების თათბირი, რომელიც დეპუტატმა ვოლოშინმა მოიწვია. პოლიციამ დააპატიმრა თათბირის 19 მონაწილე, მათ შორის მასწავლებელი სავიცკიც. სავიცკი დაუყოვნებლივ მიიყვანეს საბჭოთა კავშირის საზღვარზე და მის ტერიტორიაზე გადასვეს, რადგან სავიცკი პოლონეთის მოქალაქე არ არის (ადს).

მემარცხენე ფრთის გამარჯვება

ბერლინი, 21 დეკემბერი. რურის ოლქის სამთამადნო მუშების კავშირის არჩევნებში გაიმარჯვა მემარცხენე ოპოზიციონურმა ფრთამ. მემარცხენეებმა მოიპოვეს 32 თანამდებობა, მათ შორის 9 ახალი. ზემო სილეზიაშიც სამთამადნო მუშების კავშირის არჩევნები წარმატებით მიმდინარეობს მემარცხენე ფრთისათვის (ადს).

ადამსონის კავშირის მიღება შოტლანდიის გაერთიანებაში

ლონდონი, 20 დეკემბერი. მემაღაროეთა შოტლანდიის გაერთიანების აღმასკომმა მოიწონა ფაიფის ოლქში ადამსონის მიერ შექმნილი გათიშულთა კავშირის შუამდგომლობა მისი შოტლანდიის გაერთიანებაში მიღების შესახებ. ადამსონის კავშირის გაერთიანებაში მიღება ავტომატიურად გამოიწვევს ფაიფის ძველი კავშირის გაერთიანების გამორიცხვას, რომლის მდივნადაც წინად ადამსონი იყო და რომლის მემარცხენე ფრთის წინააღმდეგაც ჩამოაყალიბა ადამსონმა ახალი დამოუკიდებელი კავშირი (ადს).

სასტიკი ზომები დემონსტრანტების წინააღმდეგ

ბერლინი, 20 დეკემბერი. 20 დეკემბერს ჰამბურგის ქალაქის სამმართველოს წინ გაიმართა უმუშევართა და გაფიცულ გემთმშენებელი მუშების დიდი დემონსტრაცია. დემონსტრანტები გამოვიდნენ კომპარტიის ლოზუნგებით გაფიცულთათვის მხარის დაჭერისა და უმუშევართათვის დახმარების გაწევის შესახებ. ჰამბურგის პოლიციის უფროსმა სოციალ-დემოკრატმა შლეფერდეკერმა პოლიციას უბრძანა, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიეღო. ბევრი დემონსტრანტი დაპატიმრებულია (ადს).

ახალი შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის

ბერლინი, 21 დეკემბერი. კასელში ახალი შეტაკება მოხდა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის. მასებმა მოაწყვეს დემონსტრაციის გამართვა ქალაქის თვითმმართველობის შენობის წინ. დემონსტრანტები მხოლოდ მაშინ გაფანტეს, როცა პოლიციის ახალი რაზმი მოვიდა. მუშების დემონსტრაციები მოხდა აგრეთვე ლიუნებურგსა და ჰაგენში. (ადს).

ზევერინგის გადაწყვეტილება

ბერლინი, 21 დეკემბერი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა (სოციალ-დემოკრატი) თავისი აზრი გამოსთქვა, როგორც სამედიატორო მოსამართლემ რურ-ვესტფალიის რკინის მრეწველთა და მუშათა შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტის საქმეში. ზევერინგის გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულოა დამქირავებლებისათვისაც და მუშებისათვისაც, გულისხმობს მეტალისტთა მდგომარეობის აშკარად გაუარესებას, სამედიატორო ინსტანციის წინანდელ გადაწყვეტილებასთან შედარებითაც კი. ზევერინგის გადაწყვეტილება ითვალისწინებს ხელფასის გადიდებას 1—6 ფენინგამდე. ნარდით მომუშავეთა ხელფასი არ დიდდება, თუმცა წინანდელი გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ხელფასის გადიდებას 2 ფენინგით. სამუშაო დღე მუშების ზოგიერთი მეორეხარისხოვანი კატეგორიისათვის შემოკლებულია 48 საათამდე კვირაში. მუშების 90 პროცენტისათვის სამუშაო კვირა შემოკლებულია 57 საათამდე. პროფკავშირების რევოლიუციონური უმცირესობის წრეებში ზევერინგის გადაწყვეტილება მიაჩნიათ სრულ კაპიტულიაციად და მუშების დაცინვად (ადს).

გაზის აფეთქება

ლონდონი, 20 დეკემბერი. ლონდონის ცენტრალურ რაიონ ჰოლბორნში იფეთქა გაზმა და იქაურობას თვალსაჩინო ნივთიერი ზარალი მიაყენა. დაშავდა 17 კაცი. (ადს).

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე

მუშგლეხინის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 21 დეკემბერი. „ამ ორი წლის წინად—ამბობს ამხ. ორჯონიკიძე—მე მოხსენება გავუკეთე პროფკავშირთა მე-7 ყრილობას ჩვენი საბჭოთა აპარატის დეფექტების შესახებ. მე მაშინ მომიხდა ლაპარაკი ჩვენი აპარატის სიძვირეზე, გაბერილ შტატებზე, ბიუროკრატიზმზე, საქმის გაჭიანურებაზე, უზომოდ გაბერილ ანგარიშგებაზე და ყოველგვარ სხვა უმსგავსოებაზე. წარსულში ჩვენი სახელმწიფო აპარატის შტატები წლითი-წლობით იზრდებოდა. ჩვენ დავისახეთ ამოცანა ოდნავ მაინც შეგვემცირებია შტატები და გაგვეიაფებია აპარატი. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩვენ შევსძელით შტატების შემცირება 108.000 საშტატო ერთეულით. ამ რიცხვში არ შედის შტატის კონტინგენტის ის შემცირება, რომელიც გატარდა მრეწველობაში, ვაჭრობაში და კოოპერაციაში. სმუს საბჭოს ცნობებით, 1926—27 წელს ფაქტიური ხარჯების შემცირებამ 1925—26 წლის ხარჯებთან შედარებით საბჭოთა კავშირის მრეწველობაში მოგვცა 26 მილიონი და 1927—28 წელს 58 მილიონი მანეთი. უნდა ვთქვა, რომ 1926—27 წელს მიღწეული ეკონომიის რაოდენობა ჩვენ—მუშათა და გლეხთა ინსპექციას—სადავოდ მიგვაჩნია და ვამბობთ, რომ ხარჯები 26 მილიონით კი არ შემცირდა, არამედ 18 მილიონით. რაც შეეხება 1927—28 წელს, აქ შეიძლება ლაპარაკი არა 58 მილიონზე, არამედ დაახლოვებით 40 მილიონზე. ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მომუშავე ამხანაგები ამტკიცებენ, რომ ჩვენი საქონლის გამტარი ქსელი უფრო იაფია ევროპისა და ამერიკის ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის საქონლის გამტარ ქსელზე. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მოძრაობის ღირებულება ჩვენ არა თუ იმაზე უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე ამერიკაში და დასავლეთში არამედ იმაზე უფრო ძვირიც, ვიდრე ომის წინა დროს ჯდებოდა. ამის მაგალითს წარმოადგენს მარცვლის დასამზადებელი ფასებისა და ფქვილის გასაყიდი ფასების განსხვავება.

საქონლის გამტარი ქსელის რაციონალიზაციისათვის ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა, მაგრამ დღემდე მაინც აქვს ადგილი ასეთ აღმაშფოთებელ სურათებს: ცემენტის მოუწესრიგებელი გადაზიდვის გამო ზედმეტად იტვირთებოდა ტრანსპორტი და ძვირდებოდა ცემენტის ღირებულება. წინა ყრილობაზე მე ყურადღება მივაქციე უმსგავსოდ გაბერილ ანგარიშგებას და მაშინ მაგალითისათვის მოვიყვანე გზათა სახალხო კომისარიატის ანგარიშგება. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური ანგარიშგება ეხლაც საქმეს გვიჭირვებს ზოგიერთი მიღწევა ამ საქმეში მაინც გვაქვს. იმავე გზათა სახალხო კომისარიატში ანგარიშგება ხელახლა გადაისინჯა. უფრო რაციონალური ანგარიშგების შესასწავლად გერმანიაში გავგზავნეთ კომისია, რომელიც შედგებოდა გზათა სახალხო კომისარიატის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლებისაგან. შემდეგ ვცადეთ შემოგვეღო გერმანული ანგარიშგება და მისი შეფარდება ჩვენს პირობებთან, ამან ერთბაშად შეამცირა ანგარიშგება დაახლოვებით 50 პროცენტით. იმ გარემოებას, რომ გზათა სახალხო კომისარიატის აპარატი 1927—28 წელს გაიაფდა 35 მილიონი მანეთით, ბევრი იმით ხსნის, რომ თვალსაჩინოდ შემცირდა ქაღალდის სრულიად ზედმეტი ჯღაბნა. ანგარიშგება მცირდება მრეწველობაშიაც, მაგრამ აქ ადგილი აქვს ყოველგვარ ცდებს, რომ ისევ შეიქმნას გაბერილი ანგარიშგება. ჩვენ მრავალი ამხანაგის მონაწილეობით გამოვიკვლიეთ 844 ობიექტი და მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ ამ 844 შემოწმებულ დაწესებულებასა და წარმოებაში ანგარიშგების შემცირების გამო კანცელარიის შემადგენლობა შემცირდა 31.000 კაცით. რამაც ერთი წლის განმავლობაში მოგვცა დაახლოვებით 21.600.000 მანეთის ეკონომია. ამ ორი წლის განმავლობაში მიღებული საერთო ეკონომია, თუ ფრთხილად ვიანგარიშებთ, უდრის 300 მილიონ მანეთს. ამ თანხაში არ შედის ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში, კერძოდ უკრაინაში, მიღებული ეკონომია, ამ საკითხების გარდა ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა ტრანსპორტის, კაპიტალური მშენებლობის, მოსავლიანობის, წარმოების რაციონალიზაციის და სხვა საკითხების ირგვლივ“.

ამხ. ორჯონიკიძე ეხება მოძრავი შემადგენლობის გამოყენების დეფექტებს და მთელი რიგი მასალებით ამტკიცებს, რომ შესაძლებელია იმ ამოცანების განხორციელება, რომლებიც დგანან ტრანსპორტის წინაშე მოძრავი შემადგენლობის უკეთესი და რაციონალური გამოყენების დარგში. მხოლოდ მუშებმაც, პროფკავშირებმაც და სამეურნეო მუშაკებმაც უნდა შეიგნონ, რომ, როდესაც ვამბობთ—უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპას, ამას ლამაზი სიტყვისა და ხუმრობისათვის კი არ ვამბობთ, არამედ სავსებით სერიოზულად.

შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე გადადის კაპიტალური მშენებლობის საკითხზე და აღნიშნავს, რომ ჩვენი მშენებლობის ძირითად ნაკლს წარმოადგენს უპროექტო მშენებლობა. ჩვენში უპროექტოდ აწარმოებენ მშენებლობას. გადასწყვეტენ, რომ მშენებლობა 4—8 მილიონი დაჯდება. მაგრამ როდესაც პროექტს შეადგენენ, ირკვევა, რომ 4—8 მილიონი კი არა, ჯდება 10—20 მილიონი და კიდევ მეტი. ავიღოთ თუნდაც ქერჩის მეტალურგიული ქარხანა. ნავარაუდევი იყო, რომ მისი აგება დაჯდებოდა 18 მილიონი, შემდეგ კი ეს ციფრი 40 მილიონამდე გაიზარდა. ასეთი მაგალითი მრავალი შეგვიძლია მოვიყვანოთ. მთავრობამ მიიღო დეკრეტი კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგების შესახებ, თუ ყოველი ზომა არ მივიღეთ იმისათვის, რომ ეს დეკრეტი შესრულდეს, და თუ მშენებლობის დაწყებამდე დამტკიცებული პროექტები არ გვექნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ განმეორდება ისეთი ისტორიები, როდესაც ნავარაუდევი 5 მილიონის ნაცვლად მშენებლობა დაჯდება 15 მილიონი, 15 მილიონის ნაცვლად—40 მილიონი და სხვ. ჩვენი მშენებლობა მეტად ძვირი ჯდება. ჩვენს შენობებს ისე ვაგებთ, რომ ყველა დაგვცინის. ამერიკელმა კუპერმა, რომელიც ჩვენში ჩამოვიდა და დაათვალიერა ერთი ჩვენი ელექტრო სადგური, სთქვა:

„მშვენიერი, საუცხოვო სადგურია. მაგრამ სათბობი მასალა, რომლითაც სადგურმა უნდა იმუშაოს, 40 წელიწადს გეყოფათ, ის შენობა კი, რომელიც სადგურისათვის აგიგიათ, 400 წელიწადს გასძლებსო“. ჩვენ შესაძლებლად ვსცანით წინადადება მიგვეცა მთავრობისათვის, რათა მას დაევალებინა მშენებელი ორგანიზაციებისათვის, რომ მათ მშენებლობის ღირებულება შეემცირებინათ 15 პროცენტით. მთავრობამ ეს წინადადება მიიღო. საქმე ის არის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ასეთი შემცირება. ამ შემცირების განხორციელება მარტო სმუს საბჭოში მოგვცემს 60—70 მილიონის ეკონომიას. გასულ წელს სმუ საბჭომ შესძლო 15 პროცენტით შემცირებია პროდუქციის თვითღირებულება. მაგრამ ამავე დროს გამოირკვა, რომ შესაძლებელია განხორციელდეს შემდგომი შემცირებაც. და მიმდინარე წელს მთავრობამ დაავალა სმუ საბჭოს 7 პროცენტით შეამციროს თვითღირებულება. თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადაწყვეტილებას, ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ თვითღირებულების შემცირების ყოველი ერთი პროცენტი უდრის 100 მილიონ მანეთს. ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება უნდა გადაიქცეს ჩვენი პროფკავშირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

„მიმდინარე წელს—განაგრძობს ამხ. ორჯონიკიძე—ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისათვის გადავდევით 5.400.000.000 მანეთი, საჭიროა, რომ სახსრების გამოყენებას საუკეთესო შედეგები მოჰყვეს. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი სამრეწველო აპარატი, რომელიც სწრაფად უნდა იყენებდეს პროლეტარულ სახელმწიფოს მიერ მრეწველობისათვის გადადებულ სახსრებს. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი ტეხნიკური აპარატი, რომელიც სწრაფად უნდა ითვისებდეს დასავლეთ-ევროპისა და ამერიკის ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევებს და ჩვენში იყენებდეს მათ. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი სავაჭრო აპარატი, რომელიც სწრაფად უნდა ბრუნავდეს და კარგად აკმაყოფილებდეს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი სამმართველო აპარატი, რომელიც ფართო ინიციატივას უნდა აძლევდეს ადგილებს და ამავე დროს ხელიდან არ უშვებდეს მართვა-გამგეობისა და ხელმძღვანელობის სადავეს. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი აპარატი, რომელიც ჩვენს გადაწყვეტილებებს უნდა ატარებდეს სწრაფად, გაუჭიანურებლად, შეუფერხებლად და ამ გადაწყვეტილებათა კლასობრივი ხასიათის დაუმახინჯებლად. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი აპარატი, რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მასებთან და თავის გადაწყვეტილებებს მათი მეშვეობით ახორციელებდეს. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი აპარატი ჯერ კიდევ ვერ არის ასეთი. ჩვენი აპარატის ძირითადი ნაკლია ან გადაწყვეტილებათა შესრულების საშინელი დაგვიანება, ან ამ გადაწყვეტილებათა სრულიად უყურადღებოდ დატოვება, ან მათი კლასობრივი შინაარსის დამახინჯება“.

ამ დებულებას ამხ. ორჯონიკიძე ასურათებს მთელი რიგი მაგალითებით.

„რა აზრი აქვს ჩვენს გადაწყვეტილებებს, თუ ისინი ცხოვრებაში არ გატარდნენ?—ამბობს ამხ. ორჯონიკიძე. ჩვენ ფულს ვიძლევით ღარიბი გლეხობისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ეს სახსრები ხშირად ვერც კი აღწევენ ღარიბ გლეხობამდე. გასულ წელს ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეტარებია კულაკების უფრო მდიდარი ნაწილის ინდივიდუალური დაბეგვრა, ხოლო დავბეგრეთ არა მარტო კულაკი, არამედ საშუალო გლეხიც. ამრიგად მივიღეთ ჩვენი პოლიტიკის გამრუდება, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ურთიერთობის გაუარესება საშუალო გლეხთან. აი კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ ამახინჯებდნენ ჩვენს პოლიტიკას. მოსკოვში მოსკოვის საფინანსო განყოფილების ფინინსპექტორმა როჟდესტვენსკიმ 26 კერძო წარმოების ბრუნვა შეამცირა 7,520.000 მანეთიდან 3.268.000 მანეთამდე, ე. ი. 4.257.000 მანეთით. ფინინსპექტორმა შეპელევიჩმა კერძო ვაჭარი [illegible] გაანთავისუფლა საგუბერნიო. საუბნო და სარაიონო საგადასახადო კომისიებში და ორი წლის განმავლობაში სისტემატიურად იღებდა ქრთამს კერძო ვაჭრებისაგან მათი ბრუნვის შემცირებისათვის და გადასახადისაგან განთავისუფლებისათვის. როდესაც ვლაპარაკობთ ამა თუ იმ დავალებისა ან გადაწყვეტილების შეუსრულებლობაზე, უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ ვინ არის და როგორია შემსრულებელი. ამას მივყევართ იმ საკითხთან, თუ რას წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა აპარატი და მისი პირადი შემადგენლობა, ვინ არიან ისინი, ვინც უნდა ასრულებდეს ჩვენს დეკრეტებს, ჩვენს გადაწყვეტილებებს“.

ამხ. ორჯონიკიძეს მოჰყავს მრავალი აღმაშფოთებელი მაგალითი თუ როგორ არიან შემძვრალნი ჩვენს საბჭოთა აპარატში უცხო ელემენტები (სასულიერო პირები, აზნაურები, მემამულეები, ყოფილი თავადები; თეთრი ოფიცრები), და ამბობს:

„ჩვენი აპარატის შემადგენლობა შეიძლება გაიყოს მუშაკების სამ ტიპად. ერთ ჯგუფს შეადგენენ შახტის ტიპის დამაზიანებელნი, რომელნიც ყოველნაირად იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ, ესენი არიან ჩვენი აშკარა მტრები, ისინი სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ, მათი ადგილი სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოშია.. ჩვენი აპარატის მეორე ნაწილს შეადგენენ ჩინოვნიკები, რომლებიც სხედან, იღებენ ჯამაგირს და სოციალიზმისათვის მაინცდამაინც ძალიან არ იტკივებენ თავს

მესამე ჯგუფს შეადგენენ ძველი და ახალი სპეციალისტები და მოსამსახურენი, რომლებიც ენთუზიაზმით იბრძვიან სოციალისტური მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში. როგორ უნდა მოვიქცეთ? უნდა გავწმინდოთ აპარატი უვარგისი და მავნე ელემენტებისაგან. შახტის ტიპის ხალხი პირდაპირ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში უნდა გავგზავნოთ, ისინი კი ვინც დაუდევრად მუშაობს, ვინც ბიუროკრატობას იჩენს და საქმეს აჭიანურებს, უნდა განვდევნოთ აპარატიდან და შევცვალოთ ახალი მუშაკებით. მუშათა დაწინაურების საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დაისვას, დაწინაურების საქმეს სერიოზულად უნდა მივუდგეთ. აქ ამხანაგებო, უდიდესი მუშაობა მართებთ პარტიას, პროფკავშირებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს, მათ გარდა ამ სამუშაოს ვერავინ შეასრულებს. შეხედეთ ამხანაგებო, ჩვენი პროფესიონალური და პარტიული უჯრედების მუშაობას წარმოებებში, ქარხნებში და ფაბრიკებში, ტრესტებში და სინდიკატებში, სახალხო კომისარიატებში და სხვ. რას აკეთებენ ეს უჯრედები? ძალიან ხშირად ისინი ყველაფერს აკეთებენ, მხოლოდ აპარატის გასაჯანსაღებლად კი არ მუშაობენ“.

შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე ეხება მუშაობას სახელმწიფო აპარატის შესამცირებლად და სხვათა შორის აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დახურულ იქნა 29 საბაჟო, რომელთა შტატები შემცირდა 39 პროცენტით; საბაჟო აპარატის ღირებულება შემცირდა 15 პროცენტით

„რამდენი ბრძოლა და პოლემიკა იყო ეგრედწოდებული სპეციალური ბანკების შესახებ,—განაგრძობს ამხ. ორჯონიკიძე. ამ რამდენიმე ხნის წინედ ყოველ ქალაქში იყო თითქმის 10—15 ბანკი. მშვიდობიანად დაამთავრა თავისი სიცოცხლე ელექტრო-ბანკმა, სავაჭრო-სამრეწველო ბანკმა, საგარეო ვაჭრობის ბანკმა და როგორია შედეგები? ბანკების შენახვის ხარჯები შემცირდა 25 მილიონი მანეთით და თითქოს არავინ არ სჩივის იმაზე, რომ ამ ბანკებმა ნაადრევად შესწყვიტეს თავისი არსებობა. საბჭოთა აპარატის შემდგომი [illegible] და მისი შეფარდება ჩვენს გაზრდილ სოციალისტურ ეკონომიკასთან, არამც თუ არ შეიძლება იქნას მოხსნილი ჩვენს მუშაობის დღის წესრიგიდან, არამედ პირიქით, მთელი თავისი სერიოზულობით უნდა დაისვას. გადაჭრით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, საბჭოთა აპარატის შემდგომი გაიაფებისათვის და მისი გამარტივებისათვის. ეს ბრძოლა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩატარდეს წარმატებით, თუ ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მუშათა კლასი. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის უძლიერესი საშუალებაა თვითკრიტიკის ნამდვილად გატარება ცხოვრებაში. თუ თვითკრიტიკა დაკავშირებული არაა შინაპარტიული, შინასაკავშირო და საბჭოთა დემოკრატიის გატარებასთან, ბიუროკრატ-ჩინოვნიკის, ჩვენი დეფექტების წინააღმდეგ ბრძოლასთან და სხვ., მაშინ თვითკრიტიკა მხოლოდ ცარიელი ლაპარაკი იქნება. მაგრამ, ამხანაგებო, თვითკრიტიკაც არის და თვითკრიტიკაც. კრიტიკა ასეთი ხასიათის შეიძლება იყოს: მე ვაკრიტიკებ და ვხედავ თქვენს დეფექტებს, ვხედავ ამა თუ იმ ორგანიზაციის, დაწესებულების ნაკლოვანებებს და კრიტიკას ვაწარმოებ იმ მიზნით, რომ სახელი გაუტეხო ამ დაწესებულებას, ამ პირებს, იმ ხელისუფლებას, რომელსაც წარმოადგენენ ეს პირები და დაწესებულებანი, კრიტიკას ვაწარმოებ მუშათა მასებში აღშფოთების გამოწვევის მიზნით, რათა დავამხო ეს ხელისუფლება.

ჩვენი დეფექტების და ჩვენი ხელისუფლების ასეთი კრიტიკა არის მენშევიკების კრიტიკა, ტროცკისტების და თეთრგვარდიელების კრიტიკა. ასეთ კრიტიკოსებს ჩვენ სახელმწ. პოლიტსამმართველოში ვგზავნით. მაგრამ როცა მუშა ხედავს ჩვენი ორგანოების დეფექტებს და ის ამ დეფექტებს აკრიტიკებს იმისათვის, რომ დაჩქარებით აიცილოს თავიდან ისინი და ამით აწიოს საბჭოთა ორგანოების ავტორიტეტი, როცა მუშა ააშკარავებს ამა თუ იმ სისაძაგლეს და აკრიტიკებს ამაში დამნაშავეებს, — ის მხოლოდ აძლიერებს მუშათა ხელისუფლებას. ზოგჯერ ამბობენ, რომ თვითკრიტიკა ქვევიდან უნდა დაიწყოსო. ეს მართალია. ყველაზე ჯანსაღი და სასარგებლო კრიტიკა იქნება ქვევიდან, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკა არ უნდა ვაწარმოოთ ზევიდანაც. ცალკე გადახრებს აქ ჰქონდა ადგილი და ალბად მომავალშიაც ექნება, მაგრამ ეს არაფერია. თვითკრიტიკა უნდა გავაღრმავოთ და განვავითაროთ, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში დიდი როლი შეუძლია ითამაშოს კომკავშირს, მაგრამ ამ ბრძოლაში უმთავრესია მუშათა კლასი და პროფკავშირები“ (ადს).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობა

კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 21 დეკემბერი. 20 დეკემბრის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო. მრეწველობის განვითარების ხუთწლიანმა გეგმამ გაცხოველებული კრიტიკა გამოიწვია. კამათში გამოსულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გეგმა უნდა გადაეცეს განსახილველად მუშათა ფართო მასებს და იგი დამუშავებული უნდა იქნას საწარმოო თათბირებზე, ქარხნებში და ფაბრიკებში. დელეგატების აზრით, მრეწველობის განვითარების ცენტრი გადატანილია მძიმე ინდუსტრიაზე, განსაკუთრებით საწარმოო საშუალებათა წარმოებაზე.

ამხ. გუტინი (ბაქო) აღნიშნავს, რომ გეგმაში გაშუქებული არ არის საკითხი გამოკვლევითი მუშაობის შესახებ. კავკასიაში, მაგალითად, არის ვერცხლისა და ტყვიის მადნების უდიდესი ბუდობები, მაგრამ საკითხი გამოკვლევითი მუშაობის შესახებ ჯერ არ დასმულა. აუცილებელია აგრეთვე დაჩქარებული იქნას გამოკვლევითი მუშაობა ნავთის მრეწველობაში, რადგანაც, ამხ. გუტინის აზრით, ერთმანეთს დაშორდა ნავთის ამოღების საქმე და ბურღვის სამუშაოები.

კამათის დროს გამოვიდა საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე ამხ. გინზბურგი, რომელმაც მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში აღნიშნა მთელი რიგი დეფექტები, კერძოდ კი მან სთქვა, რომ საჭირო იყო გეგმის გატარება პროფკავშირებში და მუშათა ფართო მასების კრებებზე. მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი მასში მუშათა კლასის უდიდესი საწარმოო გამოცდილების შეტანა.

შემდეგ ამხ. გინზბურგმა აღნიშნა, რომ გეგმაში სისწორით არაა გამოხატული საერთო პროდუქციის ზრდა. მისი აზრით, კაპიტალის უდიდესი დაბანდების პირობებში საერთო პროდუქციის ზრდა გაცილებით მეტი უნდა იყოს.

დასასრულ, ამხ. გინზბურგი აღნიშნავს, რომ საჭიროა ჩატარებული იქნას სერიოზული ბრძოლა იმ სამეურნეო მუშაკებთან, რომლებიც ცდილობენ გააბათილონ საწარმოო თათბირების მუშაობა.

კამათის დროს დიდი ყურადღება მიექცა აგრეთვე შრომის დაცვისა, საბინაო მშენებლობისა და მუშათა კადრებიდან ტეხნიკური ძალების მომზადების საკითხებს.

დღის სხდომის ბოლოს გამოვიდა ამხ. რუძუტაკი, რომელმაც ყრილობის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტრანსპორტის საკითხებს. ამხ. რუძუტაკმა აღნიშნა, რომ სატრანსპორტო მეურნეობის შემდგომი განვითარება დამყარებული უნდა იქნას მოძრავი შემადგენლობისა და რკინის გზის რაოდენობის ზრდაზე და უფრო გაუმჯობესებულ თანამედროვე ტეხნიკაზე.

„ჩვენ ვდგევართ,—ამბობს ამხ. რუძუტაკი,—ჩვენი მოძრავი შემადგენლობის, უმთავრესად, საბარგო ვაგონების, სრული ტეხნიკური რეკონსტრუქციის ამოცანების წინაშე. მხოლოდ ერთი გარემოება, ვაგონების მოწყობა ავტომატიური მუხრუჭებით, შესაძლებლობას მოგვცემს ორჯერ გავადიდოთ ტვირთბრუნვა არსებული მოძრავი შემადგენლობით.

შემდეგ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს საგზაო მეურნეობის გაუმჯობესება“.

ამხ. რუძუტაკი აღნიშნავს, რომ სატრანსპორტო მეურნეობის გადასვლა უფრო მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე დასრულებული უნდა იქნას უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში, ამისათვის, რასაკვირველია, საჭირო იქნება მრეწველობის ყველა იმ დარგის ძალთა დაძაბვა, რომელიც სატრანსპორტო მეურნეობის საჭიროებათ აკმაყოფილებს.

ყრილობის 20 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო. ბევრმა ორატორმა თავის გამოსვლის დროს ილაპარაკა ტრანსპორტის მუშაობის შესახებ და აგრეთვე საბინაო პირობების შესახებ სამრეწველო რაიონებში.

ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა

საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა. ამხ. კუიბიშევი ეთანხმება დელეგატების მითითებებს, რომ გეგმა არ იქნა გამოტანილი მუშათა ფართო მასების განსახილველად. იგი აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მწვავედ გრძნობს გეგმის დამუშავების ამ ნაკლს, მაგრამ ფიქრობს, რომ საბჭოთა ყრილობამდე, რომელზედაც უნდა დამტკიცდეს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, მუშათა აქტივი ჩაბმული უნდა იქნას იმ საკითხთა კონკრეტულ დამუშავებაში, რომლებსაც გეგმა შეიცავს.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი გადადის გეგმის კონკრეტულ საკითხებზე და აღნიშნავს, რომ კამათის დროს სისწორით დაისვა საკითხი საგამოკვლევო სამუშაოთა შესახებ. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ამ სამუშაოთა განვითარება. სულ ხუთი წლის განმავლობაში გამოკვლევის სამუშაოებში დაბანდებული იქნება ას მილიონ მანეთზე მეტი. გარდა ტრესტების ხარჯებისა, რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ გამოკვლევებს.

დასასრულ, ამხ. კუიბიშევი მოუწოდებს ყრილობას, რომ მახლობელ ორი თვის განმავლობაში ხუთწლიანი გეგმის დამუშავებას პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება.

ამხ. გინზბურგის (საკავშირო პროფკავშირთა საბჭო) წინადადებით, ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი გეგმის საფუძვლები შეეფერება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური მშენებლობის უდიდეს ამოცანებს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას ხუთწლიანი გეგმის დამუშავება ადგილებზე. განსაკუთრებით საწარმოო თათბირებზე და კონფერენციებზე ამა თუ იმ წარმოებისა და ტრესტის კონკრეტული გეგმის ფარგლებში.

შემდეგ ყრილობამ აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის მთავარ საკითხებზე რეზოლიუციის გამომუშავება.

საკავშირო მუშგლეხინის დადგენილება
დაწესებულებ ბიდან და წარმოებებიდან ქაღალდის მაკულატურის გატანის წესების შესახებ

მოსკოვი, 21 დეკემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წლის 28 ნოემბრის დადგენილების თანახმად, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა, საბჭოთა კავშირის მთავრობასთან მყოფ მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით, დაადგინა:

1. დაევალოს საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ცენტრალურ დაწესებულებას და საწარმოს, აგრეთვე ყველა ადგილობრივ დაწესებულებას და საწარმოს დაამზადონ ქაღალდის სინდიკატისთვის ან მისი კონტრაგენტებისთვის ჩასაბარებლად მთელი უსარგებლო საარქივო მაკულატურა.

საარქივო მასალა, რომელსაც არავითარი მეცნიერულ-ისტორიული ღირებულება არა აქვს და საჭირო არ არის დაწესებულების ოპერატიული მუშაობისათვის (პირველი რიგი), ჩასაბარებლად უნდა დამზადდეს ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ის მასალა, რომელსაც წინასწარი გადასინჯვა სჭირია მის მეცნიერულ-ისტორიული ღირებულების განსაზღვრის თვალსაზრისით (მეორე რიგი), ჩასაბარებლად უნდა დამზადდეს ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში.

2. დაევალოს იმავე დაწესებულებებსა და საწარმოებს ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში შეადგინონ პირველი და მეორე რიგის საარქივო მასალის გადასარჩევი სიები. ეს სიები დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ: მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა დაწესებულებებმა—სათანადო რესპუბლიკების ცენტრალურ არქივებს, ხოლო ადგილობრივმა დაწესებულებებმა—ადგილობრივ ორგანოებს. საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებები ვალდებულნი არიან გადასარჩევი სიები წარუდგინონ საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ არქივებს, იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხსენებული დაწესებულებები იმყოფებიან.

3. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს და სამხედრო-საზღვაო კომისარიატს—ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში ცენტრში დაამუშაონ საარქივო მასალის გადასარჩევი სიები, რომლებიც უნდა შეუთანხმონ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ არქივებს და დაუგზავნონ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს სახელმძღვანელოდ.

4. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ არქივებს: ა) მისცენ თავიანთ ადგილობრივ ორგანოებს უფლება დაამტკიცონ ადგილობრივ დაწესებულებათა პირველი რიგის საარქივო მასალის სიები, კონკრეტულად მიუთითონ, თუ როგორ უზრუნველყონ იმ მასალის დატოვება, რომელსაც ნამდვილად მეცნიერულ-ისტორიული ღირებულება აქვს; ბ) ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშავონ ღონისძიებები იმისათვის, რომ გამარტივებულ იქნას ტეხნიკური მუშაობა მეორე რიგის საარქივო მასალის გადარჩევისათვის; გ) გამარტივებულ იქნას გადამრჩევი კომისიების ოქმების დამტკიცების წესი იმ კომისიების, რომლებსაც დაარსებენ დაწესებულებანი მეორე რიგის საარქივო მასალის გასარჩევად; გამარტივება მოხდეს იმ მხრივ, რომ ამ ოქმებს ამტკიცებდნენ იგივე საარქივო ორგანოები, რომელთა წარმომადგენლებიც მონაწილეობას იღებდნენ მეორე რიგის საარქივო მასალის გადარჩევაში.

შენიშვნა: 1. გადამრჩევი კომისიების ოქმებს საოლქო და მის თანაბარ დაწესებულებებთან ამტკიცებენ საოლქო საარქივო ორგანოები, ხოლო გადამრჩევი კომისიების ოქმებს თემის, მაზრისა და სხვა თანაბარ დაწესებულებებთან ამტკიცებენ საგუბერნიო საარქივო ორგანოები.

შენიშვნა 2: დადგენილება საარქივო მასალის ჩაბარების შესახებ არ ვრცელდება იმ სოფლებზე, რომელნიც დაშორებულნი არიან რკინის გზასა და სანაოსნო გზებს.

5. დაევალოს საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურსა და ადგილობრივს საარქივო ორგანოებს: ა) განიხილონ საარქივო მასალის პირველი რიგის სიები (რომელსაც ისინი მიიღებენ) სამი დღის განმავლობაში, დღიდან მიღებისა; ამ ხნის განმავლობაში, დღიდან სიები ჩაითვალოს დამტკიცებულად; ბ) ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან სამი დღის განმავლობაში განხილულ იქნას ყველა წინა დროის სია, რომელიც მათ აქვთ, გ) არა უგვიანეს შვიდი დღისა, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, მიავლინონ თავიანთი წარმომადგენლები მეორე რიგის საარქივო მასალის გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად; აღნიშნულ ვადაში საარქივო ორგანოების წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა ვერ შეაჩერებს კომისიის მუშაობას დაწესებულებაში არქივების გასარჩევად. გადამრჩევი კომისიების ოქმები დასამტკიცებლად წარედგინება სათანადო საარქივო ორგანოს.

6. იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს საარქივო მასალის გადარჩევა, ნება დაერთოს დაწესებულებებსა და საწარმოებს, აგრეთვე საარქივო ორგანოებს, დაიქირაონ ამ სამუშაოსთვის დროებითი მომუშავენი. ამ მომუშავეთ ხელფასი მიეცეთ იმ თანხიდან, რომელიც საარქივო მაკულატურის გაყიდვით შემოვა.

7. დაევალოს ქაღალდის სინდიკატსა და მის კონტრაგენტებს მისცენ ავანსი იმ დაწესებულებებს, რომელნიც ბიუჯეტზე იმყოფებიან და რომელსაც სახსარი არა აქვთ, რომ არქივის გადარჩევის სამუშაო მოაწყონ. ავანსი დაწესებულებებს მიეცეს განსაზღვრული პარტიების ჩაბარებისთვის: 50 ტონასთვის მაკულატურის ღირებულების 10 პროცენტი, 50 ტონაზე ნაკლები პარტიისთვის ღირებულების 25 პროცენტი.

8. თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, მაკულატურის გადარჩევისა, გამოყოფისა და ჩაბარებისათვის პრემიების გაცემა უნდა სწარმოებდეს შემდეგი წესით: ა) თვითეულს დაწესებულებაში უნდა შესდგეს საპრემიო ფონდი, რომელშიაც უნდა ჩაირიცხოს ქაღალდის მაკულატურის გაყიდვიდან შემოსული მთელი თანხის 10 %. ბ) პრემია უნდა მიეცეს ცალკე პირთ, აგრეთვე ჯგუფებს, რომელნიც უფრო მიზანშეწონილად მოაწყობენ საარქივო მასალის გამოყოფას, თავის დროზე დაამზადებენ ქაღალდის მაკულატურას ჩასაბარებლად და გადაარჩევენ მას სისწორით, დამტკიცებული სიების მიხედვით, გ) პრემია უნდა მიეცეთ აგრეთვე იმ ცალკე პირებს და ჯგუფებს, რომელნიც გამოიჩენენ თაოსნობას ახალი დაწესებულებათა და წარმოებათა მიერ აღურიცხავი, მაკულატურის, მათ შორის საარქივო, ფონდების გამონახვაში, დ) პერსონალურად გამორკვევა იმ პირთა, რომელთაც პრემია უნდა მიეცეს, აგრეთვე პრემიის რაოდენობის განსაზღვრა, ევალება სათანადო დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელს ადგილობრივი პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად.

9. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატებს და ადგილობრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციებს—თვალყური ადევნონ ამ დადგენილების დროზე და სავსებით შესრულებას.

10. მიენდოს ამხ. გროსმანის ჯგუფს 1929 წლის 20 აპრილს შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულება.

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარის მოადგილე

ლებედი.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟი

მოსკოვი, 21 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველ ტირაჟს მართავს ლენინგრადში 1929 წლის 26—28 იანვარს (ადს).

ლუდორვაის კულაკების პროცესის გამო

იჟევსკი, 21 დეკემბერი. 19 დეკემბერს სასამართლოს საღამოს სხდომაზე გაგრძელდა ბრალდებულთა დაკითხვა. დაკითხვის დროს სასამართლოში შემოვიდა ლუდორვაის ღარიბი გლეხის ამხ. კოსარევის განცხადება, რომელიც აჩვენებს, რომ 1921 წელს გლეხების ცემის ორგანიზატორები—შეძლებული გლეხები სერგეევი, მემატოვი და ტიხონი, მონაწილეობას იღებდნენ სამი კომუნისტის მოკვლაში, მოკლულთა შორის ერთი—ამხ. კოსარევის შვილი იყო. შემდეგ ამხ. კოსარევმა განაცხადა, რომ ლუდორვაიში შეძლებული ნაწილი მართავდა დახურულ კრებებს, რომლებზედაც ღარიბ გლეხებს არ უშვებდნენ.

შესდგა იჟევსკის ქარხნების უპარტიო მუშათა კონფერენცია, რომელიც ლუდორვაის გლეხების ცემის ორგანიზატორების სასტიკად დასჯას მოითხოვს (ადს).

წყალდიდობა ლენინგრადში

ლენინგრადი, 21 დეკემბერი. 19 დეკემბერს, ღამით ნევაზე ყინული დაიძრა. ელექტრო-სადგურ „წითელ ოქტომბერ"-ში წყალმა დენა დაიწყო საქვაბე ნაწილში. წყალდიდობის გამო შეჩერებული იქნა უსტ-სლავიანსკის ხე-ტყის სახერხი ქარხანა. წყალი შევიდა აგრეთვე ნოგინის სახელობის ფაბრიკის საქაჩავ სადგურში. წყალი შევიდა ფაბრიკა „რაბოჩი"-ში, კარტონის ფაბრიკაში და ვოლოდარსკის სახელობის ფაბრიკაში (ადს).

პარტიაში

მოსკოვის ორგანიზაციის ზრდა

მოსკოვი, 21 დეკემბერი. მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია ერთი წლის განმავლობაში 20 პროცენტით გაიზარდა. პარტიაში მიღებული იქნა 25.000-მდე დაზგის მუშა. ამჟამად მოსკოვსა და მოსკოვის გუბერნიაში ითვლება 165.000 კომუნისტი, მოსკოვის პარტორგანიზაციაში დაზგის მუშათა ხვედრითი წონა ერთი წლის განმავლობაში 41 პროცენტიდან 47 პროცენტამდე გაიზარდა (ადს).

ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგების დამუშავება

ქალაქის ორგანიზაციის უჯრედების ჯგუფური კრებები

ავტოკლუბის შენობაში

გუშინ, საღამოს 6 საათზე ავტოკლუბის შენობაში ამხ. მორჩილაძის თავმჯდომარეობით შესდგა საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის უჯრედების ჯგუფური კრება. ჯგუფურ კრებაში მონაწილეობას იღებდა შემდეგი უჯრედები: ავტოკლუბის, ქართული მუშფაკის, სამხედვაჭრობის, ლუდის ქარხნის „საქართველოს ღვინოს". „მწყემსის" ფოსტის, მუშათა სასახლის, „სამშენის", მეხუთე და პირველი სტამბის, მუშკოოპის, მუშკოოპის ტრანსპორტის, და ზაკავტოპრომტორგის.

კრების დღის წესრიგში დასმული იყო ნოემბრის პლენუმის შედეგების განხილვა. ხსენებული საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ს. მამულიამ.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო პლენუმის მიერ განხილულ საკითხებს, უმთავრესად შეჩერდა 1928—29 წლის სამეურნეო საკონტროლო ციფრებზე და პარტიის ზრდის მოწესრიგებაზე.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ფრუიძემ, სიხაშვილმა, სეხნიაშვილმა, ფეიქრიშვილმა, გოდერძიანმა და სხვებმა.

კამათის დასრულების შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე და წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სავსებით იწონებს ნოემბრის პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებსა და აღუთქვამს ამ დადგენილებათა მთლიანად ცხოვრებაში გატარებას.

ქალაქის ორგანიზაციის უჯრედების ასეთი 30 ჯგუფური კრებები შესდგება აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის სამხარეო სამმართველოს შენობაში, განათლების მუშაკთა კავშირის ბინაზე, მუშათა ახალ კლუბში, ალმასკომის დარბაზში და კლუბ „კატორის" შენობაში. ყველა კრებებზე მიღებულ იქნა რეზოლუციები, რომელშიაც უჯრედები სავსებით უერთდებიან ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს.

მუშკოოპის წითელ კუთხეში

გუშინ, მუშკოოპის წითელ კუთხეში შესდგა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, სახკომსაბჭოს, სახელგამის, რუსთაველის თეატრის, ცეკავშირის, საქართველოს სტატსამმართველოს, შრომის სახ. კომისარიატის, ტელეგრაფის, სახ. კვების, „სოფლის კავშირი"-ს ა. ქ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და გინეკოლოგიურ ინსტიტუტის კ. პ. (ბ) უჯრედების წევრთა გაერთიანებული კრება კომკავშირის აქტივთან ერთად, რომელსაც დაესწრო 300-ზე ამხანაგი.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი.—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები.— რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ურუშაძემ—

მომხსენებელი შეეხო რა იმ საკითხებს, რომელიც განხილულ იქნა ს. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმზე აღნიშნა შემდეგი:—საკითხი. რომელიც სდგას დღეს ჩვენს წინაშე არის ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპი და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია. ამაზე პარტიას ე. წ. „მემარცხენე" და მემარჯვენე გადახრებმა თავიანთი „რეცეპტები" გამოუწერეს. ეს კი მდგომარეობს იმაში, რომ შევანელოთ ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპი და აგრეთვე ხელი ავიღოთ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების შექმნაზე. ცხადია, ასეთი „რეცეპტების" მიღება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გამაგრება-განმტკიცების საქმეს ვერ შეუწყობს ხელს. ამაზე პლენუმმა სათანადო პასუხი გასცა მათ. უნდა გაძლიერდეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების შექმნა. გლეხობა უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ კოლექტივებში შეხვლით ის უფრო მეტ სარგებლობას ნახავს და გააუმჯობესებს თავის მდგომარეობას, ვიდრე კოლექტივების გარეშე ყოფნით. უნდა გაძლიერდეს სოფლად მუშაობა და ხელმძღვანელობა განმტკიცდეს ქალაქის კავშირი სოფელთან. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველა მათ, ვინც ამახინჯებს პარტიის ხაზს. უნდა სწარმოებდეს ბრძოლა, როგორც „მემარცხენე", აგრეთვე მემარჯვენე გადახრების და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. ასეთია პლენუმის დადგენილება აღნიშნულ საკითხებზე.

ნოემბრის პლენუმმა განიხილა რა საკითხი პარტიის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ, საჭიროდ სცნო პარტიის რიგების გადასინჯვა. პარტია უნდა გაწმენდილ იქნეს უღირსი ელემენტებისაგან. პარტიის რიგებში ჩაბმულ უნდა იქნენ რაც შეიძლება მეტი რიცხვი წარმოებაში ჩაბმული მუშების;

წარმოებების 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა უნდა ხდებოდეს გეგმა შეწონილად ისე, რათა უფრო გაუმჯობესდეს და ნაყოფიერი შეიქნეს წარმოების მუშაობა.

მოხსენების შემდეგ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს,—რომ კოლექტიურ მეურნეობების საქმეს არ უნდა ედგნენ სათავეში, ისეთი ამხანაგები, რომლებიც თვით ეძებენ კოლექტიური მეურნეობების სარგებლიანობაში. გარდა ამისა, კოლექტიურ მეურნეობათა გაძლიერებისათვის საჭიროა კანტროლის გაძლიერება ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებზე, რათა მათ ხელი შეუწყონ კოლექტივებს კრედიტების მიწოდებით და სხვა.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ ჯგუფურმა კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც ის იწონებს ცეკას ხაზს და უერთდება ს. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს.

ლენრაიონის მეთერთმეტე პარტკონფერენცია

მერვე სხდომა

ლენინის რაიონის მეთერთმეტე პარტკონფერენციის მერვე სხდომა გაიხსნა ამხ. მეშველიანის თავმჯდომარეობით.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. დ. ფანცულაია. ორატორმა თავის სიტყვაში ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვებს და კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ აღძრულ საკითხებს.

— ჩვენი კონფერენცია,—სთქვა ამხ. ფანცულაიამ,—იყო მეტად საქმიანი. კამათში გამოსულ ამხანაგების აქტივობა მოწმობს იმას, რომ ჩვენი ორგანიზაცია ჯანსაღია პოლიტიკურად გამობრძმედილი და მომზადებული. ამხანაგების უმრავლესობა აქ აყენებდა არა საერთო თეზისებს, საერთო ლოზუნგებს, არამედ კონკრეტულად ეხებოდენ ფაქტებს და შემოქონდათ სათანადო პრაქტიკული მითითებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

რაიონულ კომიტეტის ახალ შემადგენლობამ ჯამი უნდა გაუკეთოს კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ აღძრულ საკითხებს და მიიღოს ზომები მათი ცხოვრებაში გასატარებლად.

ამხ. ფანცულაიას უკანასკნელ სიტყვებმა დელეგატებში აღფრთოვანება გამოიწვია.

ამხ. ფანცულაიას საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია სათანადო რეზოლუციის შესამუშავებლად რაიონული კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

დასასრულ დელეგატებს აჩვენეს კინო-სურათი „პარიზის კომუნა". დღეს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგება კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, სადაც აირჩევენ რაიონულ კომიტეტის ახალ შემადგენლობას, სარევიზიო კომისიას და დელეგატებს თბილისის კონფერენციაზე დასასწრებლად.

გაერთიანებულ სახელ. პოლიტსამმართველოს 11 წლისთავი

რევოლუციის სადარაჯოზე

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ პროლეტარიატის დიქტატურის მებრძოლ ორგანოს — გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს არსებობის 11 წლის თავს.

სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოების მნიშვნელობა ეხლა ნათელია ყველასათვის, ვისაც ცოტათი მაინც ესმის კლასობრივი ბრძოლის ლოღიკა. მაგრამ იყო დრო, როცა საგანგებო კომისიის არსებობის წინააღმდეგ ილაშქრებდა ბევრი, თვით ზოგიერთი ჩვენი პარტიული ამხანაგიც კი. ეს იყო პერიოდი ილიუზიებისა, იმის შესახებ, რომ ჩვენი კლასობრივი მტრები შეურიგდებიან საბჭოთა ხელისუფლების არსებობას და არ შეუშლიან ხელს მუშების და გლეხების მშვიდობიან შრომას. შემდგომმა ამბებმა და დაწყებულმა სამოქალაქო ომმა ულმობელად დაამსხვრიეს ეს ინტელიგენტურ-პლატონური ილიუზიები და ცხადყვეს, რომ კლასობრივ წინააღმდეგობებს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის სწყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იარაღი და სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის ძალა. ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა იმაშიც გამოიხატა, რომ მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა საგანგებო კომისიის ორგანოები.

დეე, მენშევიკებმა და სხვა სოციალ-არამზადებმა ილაყბონ საგანგებო კომისიის მხეცობაზე; მათ არავინ არ დაუჯერებს. ყოველმა მშრომელმა იცის, რომ ისინი აღშფოთებული არიან არა ამ მოჭორილი მხეცობით (რასაც არასოდეს არ ქონია ადგილი და არც ექნება ჩვენს ორგანოებში), არამედ იმით, რომ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო მოხერხებულად სპობს ყველა მათ ხრიკებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ტემპის გაძლიერებას თანდათან უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები. კულაკი სოფლად, ნეპმანი და „ობივატელი" ქალაქში, ცდილობენ, სადაც კი შესძლებენ, ზიანი მიაყენონ სოციალისტური მშენებლობის საქმეს და ძირს გვითხრიან ჩვენ ხან აშკარად და ხან ფარულად.

კიდევ უფრო აქტიურად გამოდის ჩვენს წინააღმდეგ მსოფლიო ბურჟუაზია. ინგლისი და საფრანგეთი ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის ინიციატორები არიან. წარმოებს გაძლიერებული მუშაობა მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე. ამავე დროს აუარებელი ფული იხარჯება ანტისაბჭოთა ემიგრაციის მუშაობას გასაცხოველებლად, ჩვენს ქვეყანაში დამზიანებელთა და ჯაშუშთა ორგანიზაციის მოსაწყობად და ათასგვარ ხრიკებზე და ბნელ საქმეებზე.

ამ გართულებულ საშინაო და საგარეო პირობებში, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. მტერს არ სძინავს. ჩვენ ეს ვიცით მთელ რიგ ჯაშუშურ და სადივერსიო ორგანიზაციების გასამართლებიდან, შახტის დამზიანებელთა პროცესიდან, მრავალრიცხოვან ცნობებიდან კულაკების ძალადობის შესახებ სოფლად და სხვ. ჩვენ ეს ვიცით ამიერ-კავკასიის ანტისაბჭოთა პარტიებთან ბრძოლის გამოცდილებიდან. ყველა ეს მენშევიკები, მუსავატელები, დაშნაკები არაფერს არ ზოგავენ, რათა დაუმტკიცონ თავის ბატონებს—ინგლისს, საფრანგეთს, რომ მათი არალეგალური მუშაობა უბრალოდ არ ჩაივლის, რომ მათ დაიმსახურეს თანხები, რომლებიც მათზე იხარჯება.

და ბოლოს ეს ჩვენ ვიცით ამას წინად გამოქვეყნებულ დოკუმენტებიდან, რომლებიც ამჟღავნებენ ქართველ მენშევიკების სამხედრო ჯაშუშობას, ვინაიდან არ არსებობს ისეთი სისაძაგლე, რომელსაც ანტისაბჭოთა პარტიები მოერიდებიან პროლეტარიატის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამხ. ლ. ბერია

საქ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე

მტერს არ სძინავს, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოც ფხიზლად არის! მუშების და გლეხების მშვიდობიანი შრომის ჩაშლის ყოველგვარი ცდა, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის შეფერხების ყოველგვარი ცდა—ულმობელად იქნება აღმოფხვრილი.

ბევრი მსხვერპლი გაიღეს ჩვენმა ორგანოებმა რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში. მძიმეა ჩეკისტის ყოველდღიური მუშაობა. ყველამ იცის, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველომ აღმოაჩინა არა ერთი ანტისაბჭოთა და ჯაშუშთა ორგანიზაცია, მაგრამ ბევრმა არ იცის, რამდენ უძილო ღამეს და მუშაობას მოითხოვს ეს, რამდენი საფრთხეა დაკავშირებული ასეთ მუშაობასთან! მხოლოდ რევოლუციის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება, მხოლოდ ყველა მშრომელთა თანაგრძნობა აძლევს საშუალებას ჩვენს ჩეკისტთა შემადგენლობას თავის მხრებზე გადაიტანოს ამ მუშაობის მთელი სიმძიმე.

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოები, რომელნიც მიდიან ჩვენი ბელადის და ორგანიზატორის ამხ. ძერჟინსკის მიერ ნაჩვენები გზით და იცავენ მის ანდერძს, თავისი არსებობის 12 წლის თავზე კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლებენ კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ მის სრულ ლიკვიდაციამდე.

დაე, იცოდნენ რევოლუციის მტრებმა—მენშევიკებმა, დაშნაკებმა, მუსავატელებმა და მათმა დამქაშებმა, რომ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს არ სძინავს!

ლ. ბერია.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ბრძანება

ა. წ. 20 დეკემბერს შესრულდა 11 წელი, რაც გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო მედგრად იბრძვის პროლეტარული დიქტატურის დაცვის ფრონტზე.

კომუნისტური პარტიისა და შეუპოვარი რევოლუციონერის—კომუნისტური პარტიის უძველესი წევრის ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასის და გლეხობის ფართო მასების უშუალო დახმარებით, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ—გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ არა ერთხელ დაამარცხა თავისი კლასიური მტერი და მედგრად გაუმკლავდა შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციის იერიშებს, მიმართულთ საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, აღკვეთა მთელი თავისი სისასტიკით საბოტაჟი, შეთქმულებები, აჯანყებები და სხვ.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და ყველა კლასობრივ მტრების მიერ გაწეულ წინააღმდეგობისა, საბჭოების ქვეყანა წარმატებით მიიწევს წინ სოციალიზმისაკენ. გაიზარდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი—სოციალისტური მრეწველობა. მომაგრებულ მრეწველობის საფუძველზე მუშათა და გლეხთა მთავრობამ განავითარა მუშაობა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნისათვის. შენდება მარცვლეულის ფაბრიკები—საბჭოთა მეურნეობები, ღარიბ და საშუალო გლეხებისაგან ეწყობა კოლექტიური მეურნეობები.

ჩვენი კლასობრივი მტრები, რომელნიც სოციალისტური მშენებლობის წარმატებაში ხედავენ თავისი დაღუპვის მოახლოებას,— უფრო და უფრო აძლიერებენ თავის კონტრრევოლუციონურ მუშაობას, შეთქმულებას და ჯაშუშობას, რათა ეკონომიური ბლოკადით, სხვადასხვა ანტი-საბჭოთა გაერთიანებათა შექმნით საბჭოთა კავშირის გარედ და აშკარა თუ ფარული მავნებლობით ჩაშალონ ჩვენი მშენებლობა.

ამხ. სტანსკი

საქ. სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოების როლს და ამოცანებს სახალხო მეურნეობის გაძლიერებულ მშენებლობის და გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვიდრე სამოქალაქო ომის პერიოდში. ამჟამად გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოების მუშაკებს მოეთხოვებათ უფრო მეტი ძალების დაძაბვა, მეტი სიმტკიცე და ყურადღება დაკისრებულ სამუშაოსადმი.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოები უდიდეს ამოცანებს ასრულებდნენ და ასრულებენ საქართველოს სოციალისტური მშენებლობის დასაცავად ბურჟუაზიის გაკოტრებულ წარმომადგენლების—მენშევიკების აშკარა და ფარულ შემოტევისაგან. მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ენერგიულად აშენებენ ახალ ფაბრიკებს, ქარხნებს, ელექტრო-სადგურებს, ნავთსადენს, ქმნიან ახალ კოლექტიურ მეურნეობებს.

ამხ. რედენსი

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიაში და ამ.-კავკ. გაერთიანებულ სახელმწ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე

სამოქალაქო ომის წლებში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ჯარები, ისევე როგორც წითელი არმია, იყო სამედო დასაყრდენი შეიარაღებული ძალა რევოლუციის მტრების ასალაგმავად და რევოლუციის ინტერესების მედგარი დამცველი.

საზღვრებისა და ქარხნების ფხიზელი დაცვა, სამსახურის სისწორით შესრულება, სამხედრო ცოდნისა და პოლიტიკურ შეგნების დონის ამაღლება, ბრძოლა კულტურული დონის ამაღლებისათვის მეცადინეობაში, მუშაობაში და ყოფა-ცხოვრებაში, მუშათა კლასის საქმისადმი ერთგულება და პროლეტარულ სახელმწიფოს დაცვისათვის მზად ყოფნა ყოველ წუთში—აი ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დაბეჯითებით და ენერგიულად უნდა გაატარონ მებრძოლმა სანაპირო რაზმელებმა და ჯარის ნაწილებმა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს არსებობის მეთორმეტე წელს.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგია ულოცავს ორგანოების ყველა თანამშრომლებს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს 11 წლის თავს და მოუწოდებს ახალი ენერგიით, ახალი ძალებით, მჭიდრო რიგებით გასწიონ წინ ახალ მიღწევებისაკენ, ახალ გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურის მებრძოლ ორგანოს—გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამართველოს!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურის ბელადს და ხელმძღვანელს—საკავშირო კომპარტიას (ბ) და გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს!

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე:

ბერია.

საერთო ადმინისტრატიული ნაწილის უფროსის მოადგილე მიქელაძე.

ისევ შენობების აგების ირგვლივ

უდავო ფაქტია, რომ სახლების აგებამ ჩვენში ამ უკანასკნელ დროს მეტად მახინჯი სახე მიიღო. ჯერ იყო და მოგვახვიეს თავზე ჩვენდა უნებურად ყოვლად უმსგავსი და ყოვლად შეუფერებელი სტილი იმ მოსაზრებით, რომ ასე აშენებდნენ სახლებს ძველ საქართველოში. მაგრამ ამ ახირებულმა ხალხმა არ მიიღო მხედველობაში ის უბრალო გარემოება, რომ ძველად როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიაც აშენებდნენ უმთავრესად ეკლესია-მონასტრებს და ციხე-კოშკებს რა თქმა უნდა, ასეთ შენობებისთვის საჭირო იყო თავისებური სახუროთ-მოძღვრებო სტილი, რაც შეესაბამებოდა მაშინდელ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათ და რამაც ჩვენ დროში უკვე დაკარგა ყოველივე აზრი და მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, ამ უბრალო ფაქტს ვერ გაუწიეს ანგარიში ჩვენმა ხუროთმოძღვრებმა და მშენებელ-ინჟინრებმა. იმათ მოინდომეს ხუროთმოძღვრების ამ ძველი სტილის აღდგენა ჩვენ დროში, და ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს თითქო საბჭოთა ხელისუფლების სასიამოვნოდ. და შედეგათ მივიღეთ მთელი რიგი ყოვლად უმსგავს შენობებისა, რომლებიც ქმნიან სრულ შეუსაბამობას თანამედროვე ცხოვრების პირისპირ. იმათ აგვიგეს ჩვენ ისეთი შენობები, რომლებიც დანგრევის ღირსი არიან. როგორც მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ შემდეგ შენობებზე: სახლი, აგებული ლენინის და წყნეთის ქუჩების კუთხეში, ტრამვაის მუშების სახლები პლეხანოვის პროსპექტზე, იქვე სახელმწიფო კინო-მრეწველობის შენობა და ბოლოს საქართველოს მუზეუმის ახალი შენობის ფასადი. სხვა აღარ შენობებს, რომლებიც აგებულია ამ უკანასკნელ დროს ძველებური ეკლესიური სტილით, მე აქ აღარ შევეხები. საჭიროა ვიცოდეთ, განზრახ ჩაიდინეს მშენებლებმა ასეთი საეჭვო საქმე თუ ეს მათ უვიცობით მოუვიდათ. მაგრამ ეს ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ, არ ვიცი ვისი უყურადღებობით ან დაუდევრობით. როგორც ირკვევა, აქ უწინარეს ყოვლისა პირველ როლს თამაშობს ვინმე ინჟინერი ჩისლიევი, რომელსაც ცოტა ხნის განმავლობაში ასეთი დამსახურება მიუძღვის: რუსთაველის პროსპექტზე მისი ხელმძღვანელობით გაზ. „ზარია ვოსტოკა"-თვის" მისივე პროექტით დაწყებული შენობის კედლები ჩამოინგრა, შემდეგ მას ანდობენ ტრამვაის მუშების სახლების აგებას პლეხანოვის პროსპექტზე. მანვე შეადგინა ლენინის და წყნეთის ქუჩების კუთხეში აგებული საშუალო საუკუნოების კოშკის მსგავსის შენობის გეგმა. შემდეგ ამისა იგი გადაბარგდა სომხეთში, და როგორც ჩანს, იქაც „უახლებია" თავი, რა თქმა უნდა. სომხეთში უკვე „ძველებური" სომხური ეკლესიური სტილით აგებული შენობებით. რა თქმა უნდა ჩისლიევი მარტო არაა. ავიღოთ მაგ., საქართველოს მუზეუმის ფასადი. ეს ხომ საშუალო საუკუნოებში აგებულ ჰანარიკის ციხე გავს, ვინემ მეოცე საუკუნეში აგებულ შენობას. რისთვის იყო ეს საჭირო,—ჩვენ ეს ვერ გავიგეთ. ვისი გემოვნება სურდათ ამ შემთხვევაში დაეკმაყოფილებიათ? ჩვენ ვიცით, რომ თავის დროს ასეთ სტილს ქონდა გასავალი, ქონდა ერთნაირი მნიშვნელობა, მაშინ იმას თხოულობდენ, მაგრამ მან უკვე თავისი დრო დიდი ხანია რაც მოჭამა, რადგან თითოეულ ეპოქას თავისი სოციალურ-ეკონომიური პირობების მიხედვით და ამ პირობებთან შეგუებული თავისი საკუთარი ხუროთმოძღვრება აქვს, და, მაშასადამე, თავისი საკუთარი სტილიც. და აი სწორედ ასეთ საშუალო საუკუნოების შენობები ჩვენ ახლა მოგვახვიეს თავზე; ეს შენობები დიდი ხნის განმავლობაში დარჩებიან, როგორც მაჩვენებელნი საბჭოთა ხელისუფლების კულტურისა და შემოქმედებისა. განა ეს დასაშვებია? თავის თავად იგულისხმება, რომ არა. მაგრამ იმათი აგება კიდევ უფრო დაუშვებელი ხდება სხვა მხრითაც. 1) ისინი არ ვარგან საცხოვრებლად. ამას წინად ამის შესახებ საჩივარი განაცხადეს ტრამვაის მუშებმა და ისინი ამაში სავსებით მართლები არიან. ამის შესახებ მე უკვე ვწერდი ამ რამოდენიმე თვის წინად, როცა დავათვალიერე ტრამვაის მუშებისთვის ახლად აგებული სახლები. რა თქმა უნდა, ეს სახლები რომ ძველი ყოფილიყო, მუშები ასეთ საჩივარს არ განაცხადებდნენ, მაგრამ ისინი, ხომ მათთვის საბჭოთა ხელისუფლებამ გააკეთა საგანგებოდ; მაშასადამე, ისინი უნდა გაეკეთებინათ თანამედროვე მუშის კულტურულ და ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით. აი რისთვის უნდა ეზრუნათ მშენებლებს და არა დრომოჭმული საშუალო საუკუნოების ხუროთმოძღვრების სტილის ყოვლად უაზრო განახლებისათვის. და აი ამ სტილს იმათ ანაცვალეს მუშების ინტერესები. 2) ძველმა სტილმა გამოიწვია შენობების აგების გაძვირება, რაც აგრეთვე არაფრით დასაშვებელია, არამედ პირდაპირ დანაშაულის [illegible]. რაში გამოიხატება ეს გაძვირება კონკრეტიულად, ამის თქმა აქ არ შეიძლება,—ეს საჭიროებს დაწვრილებით გამოანგარიშებას. მაგრამ რომ გაძვირებას ქონდა ადგილი, ეს ყოველივე ეჭვს გარეშეა. მეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ეს პირდაპირი დარღვევაა პარტიის და ხელისუფლების ყველა დადგენილებების და დირექტივების მშენებლობის დარგში რაც შეიძლება მეტი მომჭირნეობის და ეკონომიის გაწევის შესახებ.

ამიტომ სახლების მშენებლობის საქმე უნდა იქნას შესწავლილი და სათანადოდ გამორკვეული და დამნაშავეებმა უნდა აგონ პასუხი. გარდა ამისა ყველა სათანადო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა ამიერიდან მაინც აცილებულ იქნას ის უთაურობა, უყაირათობა და უყურადღებობა, რასაც აქამდის ადგილი ქონდა ჩვენში შენობების აგების საქმეში.

ყოველივე ზემონათქვამი თითქო არ ეხება გაზ. „ზარია ვოსტოკას" სახლს, რომლის აგება დაიწყო დაახლოვებით ამ ექვსი წლის წინად და რომლის დამთავრება ჯერ არავინ უწყის, როდის მოხდება. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ამ სახლის შენება გაგრძელდა იმავე ტემპით, როგორც აქამდის,—რაც უფრო მოსალოდნელია,—იმ შემთხვევაში მის დამთავრებას ალბად კიდევ რამდენიმე წელიწადი მოუნდება. ან კი რისთვის უნდა იჩქარონ? რა აწუხებთ? არა მგონია, რომ ამ სახლის მშენებლები გრძნობდენ თავს ამ ჩვენ ცოდვილ დედამიწაზე. ისინი ალბად გრძნობენ თავის თავს დროისა და სივრცის გარეშე. ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ გაამართლებს იმ გარემოებას, რომ სახლის კეთება გრძელდებოდეს 6-7 წელიწადს; ამ საქმეში დაბანდებული თანხა ხომ მკვდარია. მაშინ, როცა ამ ხნის განმავლობაში იმავე თანხით რამდენიმე სახლის აგება შეიძლება, რასაც იმ საბინაო კრიზისის დროს, რომელსაც ჩვენ დღის განვიცდით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ განა ვინმე ამას ანგარიშს უწევს?

ამაზე იმათ შეუძლიათ გვიპასუხონ აი რა: ჩვენ სრულებით ფიქრადაც არ გვქონია საბინაო კრიზისის შემსუბუქება, ჩვენ ვაკეთებთ შენობას გაზ. „ზარია ვოსტოკა"-სთვისო. ეს კიდევ უარესი. მაგრამ ის შენობა, რომელშიაც ახლა მოთავსებულია „ზარია ვოსტოკა", ახალი შენობის დამთავრების შემდეგ, ხომ უნდა განთავისუფლდეს! ეს უკვე თავისთავად ნიშნავს ქალაქში არსებულ საცხოვრებელ ფართობის გადიდებას. გარდა ამისა, ჩვენ ყურადღებას იქცევს ამ შენობის „ხასიათი", თუ ასე შეიძლება ვთქვათ. რა არის ეს, ვისი ფანტაზიის ნაყოფია? გვეტყვიან, შენობა ლამაზიაო. ჯერ ერთი ის, რომ ეს „სილამაზე" ამ შემთხვევაში მეტის მეტად ძვირად გვიჯდება. და გვაქვს კი ჩვენ დღეს ამის უფლება? ვგონებ, რომ არა. თუ სადმეა უყაირათობა, ზედმეტი ხარჯები და გადახარჯვები,—ეს სწორედ ამ შენობის აგების საქმეში. მე მაკვირვებს ის გარემოება, რომ არც ერთ საკონტროლო ორგანომ ამ საქმეს არ მიაქცია დღემდის ყურადღება. 5-6 წლის განმავლობაში სწარმოებს თითქმის გაუმუდმებული მუშაობა და კეთება. მაგრამ დამთავრებას არა ეშველა რა. ნეტავი ვიცოდე, რაშია ასეთი მშენებლობის საიდუმლოება? ეს გარემოება შეუძლებელია არ აღაშფოთებდეს საბჭოთა საზოგადოებრიობას.

საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას. დეე ხმა ამოიღონ იმათ, ვისაც ეს უშუალოდ ეხება. და მაშინ ყველა გაიგებს, თუ რათ ხდება ყოველივე ეს დაუდევრობა და უყაირათობა, და ვის მიუძღვის ამაში ბრალი.

შ. მახარაძე.

საქართველოს საექსპორტო ამოცანები და აღმოსავლეთის ბაზრები

საბჭოთა კავშირის თანამედროვე ეკონომიკის პირობებში მეორე ხარისხოვანი საქონლის ექსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ჩვენი კავშირის ხვედრითი წონის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს საგარეო ბაზრებზე. თუ 1926—27 წელს, როცა თვალსაჩინოდ შემცირდა პურის პროდუქტების გატანა, ჩვენი ექსპორტის საერთო რაოდენობა თითქმის უდრიდა 1925—26 წლის ექსპორტს და მან 612 მილიონ მანეთს მიაღწია, ეს—ექსპორტის წინანდელი დონის შენარჩუნება უნდა მივაწეროთ, პირველ ყოვლისა, ჩვენი გატანილი საქონლის ნომენკლატურის გაფართოებას და მეორე ხარისხოვანი საქონლის გადაქცევას ექსპორტის საგნად. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატის ცნობები გვიჩვენებენ, რომ 1926—27 წლის პირველ ნახევარში გატანილია 11 მილიონი მანეთის მეორეხარისხოვანი საქონელი, ხოლო 1927—28 წლის იმავე პერიოდში 32 მილიონი მანეთისა.

მეორეხარისხოვანი საქონლის ექსპორტის შემდგომ განვითარებას წინ ედობება ახალი საექსპორტო საქონლის გამსაღებელი ბაზრების არასაკმაოდ გამორკვეული კონიუნქტურა. ამიტომ, რამდენადაც ამჟამად კონკრეტულად არის დასმული ახალი საექსპორტო საგნების გატანის პრობლემა, უნდა სწარმოებდეს გასაღების ყველა მხარისა და პირობების შესწავლა. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატის სპეციალურმა თათბირმა სრულიად გარკვეული გადაწყვეტილება მიიღო ამ საკითხზე: ეს გადაწყვეტილება შეიცავს კონკრეტულ დირექტივებს ამ მუშაობის შესახებ, რომელიც საჭიროა თვითეული მეორეხარისხოვანი საექსპორტო საქონლისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლავე უნდა შეუდგეთ საგარეო ბაზარზე გასატანი თვითეული საქონლის ცალკე ბაზრების კონიუნქტურის შესწავლას.

ცხადზე უცხადესია, რომ მეორეხარისხოვანი საქონლის ექსპორტის წარმატება დამოკიდებულია ყველა რესპუბლიკების სამეურნეო ერთეულის მუშაობის მეტ-ნაკლებობაზე. ცენტრის სადირექტივო დადგენილებამ განსაზღვრეს ცალკე რესპუბლიკების მუშაობა ამ დარგში და საჭიროდ სცნეს, რომ ხელი შეეწყოს გასატანად გამოსადეგი თვითეული საქონლის ექსპორტს. მეორეხარისხოვანი საქონლის ექსპორტის პრობლემის წარმატებით გადაჭრა დამოკიდებულია ადგილობრივი საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციების თაოსნობასა და მუშაობაზე; მათ ამ შემთხვევაში ფართო ინიციატივა მიეცათ.

მეორეხარისხოვანი საქონლის ექსპორტში ამიერ-კავკ. რესპუბლიკების მონაწილეობის შესახებ არსებობს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მაისის პლენუმის მითითებანი, რომლებიც პლენუმმა შეიმუშავა ამხ. ელიავას მოხსენების მიხედვით. ამ მითითებათა თანახმად კერძოდ საბჭოთა საქართველომაც უნდა შეისწავლოს გამსაღებელი ბაზრების კონიუნქტურა და საკუთარი წარმოების თვითეული საქონლის ექსპორტისათვის საჭირო მუშაობა უნდა მოაწესრიგოს.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო პროცესში სამრეწველო სექტორის განვითარებამ თვალსაჩინოდ გაუსწრო სახ.-სამეურ. სექტორს (ომის წინა დროსთან შედარებით); 1928—1933 წლების საგარეო ვაჭრობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, რომელიც ამა წლის აგვისტოს შეიმუშავა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატმა, თვალისწინებს მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის ზრდას უფრო გაძლიერებული ტემპით, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა ხდება, მრეწველობის პროდუქციის გამსაღებელ პუნქტებს, უმთავრესად, აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრები წარმოადგენენ, ამიტომ მათი კონიუნქტურის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მოხერხებული სატრანსპორტო მიმოსვლის მხრით საბჭოთა საქართველომ, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიაქციოს ახლო აღმოსავლეთის ბაზრებს—შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის სანაპიროებს, რადგან ნავთსადგური ბათომი იაფი საზღვაო გზით არის დაკავშირებული ახლო აღმოსავლეთის ნავთსადგურებთან. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო ტევადია ეგვიპტე; მისი ტევადობა უდრის თურქეთისა და სპარსეთის სამომხმარებლო ტევადობას ერთად. საქართველოს საექსპორტო ამოცანებისათვის ეგვიპტე წარმოადგენს განსაკუთრებულ ინტერესს, რადგან ეგვიპტის ბაზარზე, წინააღმდეგ სპარსეთის და თურქეთის ბაზრებისა, შეიძლება თვალსაჩინოდ გასაღდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებიც, რომლებსაც, იმის გამო, რომ საქართველოს სამეურნეო სტრუქტურა წააგავს სპარსეთისა და თურქეთის (აღმოსავლეთის პროვინციების) სამეურნეო სტრუქტურას, ან შეიძლება სხვა მიზეზების გამოც. ნაკლები გასავალი აქვთ მეზობელ აღმოსავლეთის ბაზრებზე. ამიტომ ეგვიპტის ბაზრის შესწავლა საქართველოსათვის წარმოადგენს სრულიად გარკვეულ პრაქტიკულ ინტერესს.

ეგვიპტის სტატისტიკის ცნობებით, საბჭოთა კავშირის საექსპორტო ნომენკლატურა ეგვიპტეში 1927—28 წლის 9 თვის განმავლობაში, სხვათა შორის, შეიცავდა შემდეგ საგნებს: ხილი (414 ტონა 94 ათასი მანეთისა), ბოსტნეულობა (158 ტონა 3 ათასი მანეთისა), თივა და ბზე (125 ტონა 3 ათასი მანეთისა), თესლეულობა (671 ტონა 129 ათასი მანეთისა) და სხვ. ეგვიპტეში გასატან საქონლიდან საქართველოსათვის ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენენ შემდეგი საგნები: თამბაქო, ვაშლი, ცერცვი, ხე-ტყე, მინერალური წყალი და კარტოფილი.

რანაირია ეგვიპტის ბაზრის კონიუნქტურა ჩამოთვლილი საგნების მიმართ, რომ რეალურად დაისვას საკითხი საქართველოს პროდუქციის ექსპორტისა ეგვიპტის ბაზარზე?

ჩვენი სტატისტიკის ცნობებით, 1927 წელს ეგვიპტეში შეტანილია 6.727 ტონა თამბაქო 1.163 ათასი ეგვიპტური გირვანქისა. 1913 წელს კი ეგვიპტეში შეტანილია გაცილებით ნაკლები თამბაქო, სახელდობრ 1.958 ტონა 284 ათასი ეგვიპტური გირვანქისა. ამგვარად, თამბაქოს სამომხმარებლო ტევადობა ეგვიპტეში თვალსაჩინოდ გაიზარდა, რაც პერსპექტივებს ჰქმნის იმისათვის, რომ ეგვიპტის ბაზარზე გატანილ იქნას საბჭოთა კავშირის თამბაქო, კერძოდ საქართველოს თამბაქო. თუ გაუქმდება ამჟამად მოქმედი დეკრეტი, რომელიც საბჭოთა თამბაქოზე 4 ნახ. შილინგით მეტ ბაჟს აწესებს, ვიდრე სხვა თამბაქოებზე, მაშინ სრულიად ხელსაყრელი პირობები შეიქმნება იმისათვის, რომ ეგვიპტეში შეტანილ იქნას სოხუმის თამბაქო 150,000 ინგლისური გირვანქის ღირებულების.

საბჭოთა კავშირს ეგვიპტის ბაზარზე შეუძლია ყოველწლიურად გაიტანოს 7.000 ტონა ვაშლი—130,000 ინგლისური გირვანქისა. საქართველოს ვაშლს (ზოგიერთი უმაღლესი ხარისხისას) შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა ვაშლის ექსპორტში ეგვიპტის ბაზარზე.

1928 წელს შეიძლებოდა 2.000 ტონა კარტოფილი გაგვეტანა 10.000 ინგლისური გირვანქისა. კარტოფილი უნდა იყოს მსხვილი, თეთრი, „იმპერატორკის" ტიპისა.

1926 წელს ეგვიპტეში ხმელი ცერცვი შეიტანეს 7.516 ტონა 93.200 ეგვიპტური გირვანქისა, 1927 წელს კი 3.043 ტონა 38.700 ეგვიპტური გირვანქისა. 1928 წელს საბჭოთა კავშირიდან შეიძლებოდა გაგვეტანა 2.000 ტონა ცერცვი 24.000 ინგლისური გირვანქისა.

1927 წელს ეგვიპტეში შეიტანეს 651,000 კუბიკური მეტრი ხე-ტყე 1.461 ათასი ეგვიპტური გირვანქისა. ხე-ტყე უმთავრესად შემოქონდათ რუმინეთისა, ფინეთისა და შვეციიდან, რაკი საქართველოში ტყე საკმარისად მოიპოვება და სხვა ხელშემწყობი პირობებიც არსებობს სატყეო მრეწველობის განვითარებისათვის, ამიტომ ეგვიპტის ბაზარი ჩვენი რესპუბლიკის ხე-ტყისათვის უდავო ინტერესს წარმოადგენს, დასავლეთ საქართველოში ტყის მდიდარი მასივები მდებარეობენ ბათომის ნავთსადგურის ახლოს, ხოლო ბათომ-ალექსანდრიის საფრახტო განაკვეთები გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე საქონლის გადატანის ღირებულება ბალტიის ზღვის ნავთსადგურებიდან ეგვიპტეში. რადგან ეგვიპტის ბაზარი საჭიროებს მესამე და მეოთხე ხარისხის ხე-ტყეს და აგრეთვე ყუთების თვალსაჩინო რაოდენობას (ბენზინისა, საპნისა, შაქრისა, კვერცხებისათვის და სხვ.) წელიწადში — 1.000.000 კომპლექტამდე, ამიტომ ჩვენს სატყეო მრეწველობას უახლოეს მომავალში შეეძლო გაეჩინა თვალსაჩინო ბაზარი ეგვიპტეში, საქმის დასაწყებად მიზანშეწონილი იქნება, რომ ხე-ტყე გავგზავნოთ პატარა პარტიებად. ეგვიპტის ბაზარზე წლიურად შეიძლება გატანილ იქნას 200 ათასამდე ინგლისური გირვანქის ხე-ტყე.

რაც შეეხება მინერალურ წყლებს, ეგვიპტის ბაზარზე შეიძლება ყოველწლიურად გავიტანოთ 10,000 ინგლისური გირვანქის „ნარზანი", „ესენტუკი" და „ბორჯომი".

მოყვანილი ცნობები, რომლებიც ამოღებულია ავტორიტეტიან წყაროებიდან, აშკარად გვიდასტურებენ, რომ საბჭოთა საქართველომ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ეგვიპტის ბაზარს, რადგან იგი ფართო პერსპექტივებს უქმნის საქართველოს პროდუქციის ექსპორტს.

თუ ეგვიპტის ბაზარი ინტერესს წარმოადგენს საქართველოს სასოფლო მეურნეობის პროდუქტებისათვის, სპარსეთი და თურქეთი სამაგიეროდ გასაღების პერსპექტივებს ჰქმნის საქართველოს მრეწველობის პროდუქციისათვის. 1927—28 წელმა ბევრი ახალი შეიტანა სპარსეთის ბაზრის კონიუნქტურაში და თვალსაჩინოდ შესცვალა იგი საქართველოს ექსპორტის სასარგებლოდ. ამავე დროს მან თვალსაჩინოდ დაუახლოვა ერთმანეთს ამიერ-კავკასიისა და თურქეთის აღმოსავლურ ვილაეტების ეკონომიური ინტერესები; ამიტომ სპარსეთისა და თურქეთის მიმზიდველ ბაზრებს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს საექსპორტო ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს სოხუმის თამბაქოდან დამზადებული საქართველოს პაპიროსების მოხმარების გაძლიერება სპარსეთში, სახელდობრ, სპარსეთის აზერბეიჯანში. სპარსეთში ჩვენი თამბაქოს გავრცელებამ დიდი ევოლუცია განიცადა და ბოლოს საქართველოს პაპიროსმა („საბჭოთა პაპიროსი", „ოცნება", „შოთა") გასავალი მოიპოვა სპარსელ მომხმარებლებს შორის. უკანასკნელი წლის წარმატება შესაფერად უნდა გამოიყენოს საქართველოს თამბაქოს ტრესტმა და გააძლიეროს იგი, მით უმეტეს, რომ პაპიროსების ექსპორტი არამც თუ შედის საქართველოს საექსპორტო ამოცანათა რკალში, არამედ იგი ეხება საწარმოო საკითხებსაც, აფართოებს გამსაღებელ ბაზარს და ეკონომიურად ამართლებს თამბაქოს წარმოების შემდგომ ცენტრითმსრბოლ ზრდას, რომელიც დროებით შეაჩერა გამსაღებელი ბაზრების სიმცირემ.

აქვე უნდა დავსვათ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „ლითონტრესტის" ნაწარმოებთა ექსპორტის საკითხი, განვლილმა წელმა საქართველოს ლითონის ნაწარმოებთა ექსპორტის საქმეშიაც შეიტანა ახალი და მნიშვნელოვანი რამ. საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „ლითონტრესტის" სახნისების პირველი პარტია (9 ცალი) 1928 წელს შეიძინა სპარსელმა ვაჭარმა საექსპორტოდ (ექსპორტის ახალი სახეა) ამიერ-კავკასიისა და აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის ნიმუშების გამოფენის საშუალებით შემდეგ მეორე პარტია გაიგზავნა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე. ექსპორტის ეს ახალი სახე, უდიდესად სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. პირველი ნაბიჯი ნაყოფიერი გამოდგა; ეს წარმატება უნდა გაამაგროს სტანდარტის შემუშავებამ, რომელიც სრულიად შესაფერი იქნება სპარსელი მოსახლეობის გემოვნებისა და მოთხოვნილებისათვის (ფორმა, ზომა, შეღებვა და სხვ.)

სპარსეთის ბაზარზე ძნელად ეკიდება ფეხს საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის სკამი, უმთავრესად მაღალი ფასებისა და ორგანიზაციული მოუწესრიგებლობის გამო ექსპორტის საქმეში. მარელისის ფაბრიკის სკამების ფასის შემცირება (დაახლოებით 20 პროცენტით) ხელს შეუწყობს ექსპორტის რენტაბელობისათვის საჭირო პირობების შექმნას, ხოლო ორგანიზაციული ხასიათის დამაბრკოლებელი მიზეზები, იმედი უნდა ვიქონიოთ, დამდეგ წლის თავიდან იქნება აცილებული. ბორჯ. წყლის ექსპ. სპარსეთში ჯერ კიდევ აფერხებს დიდი ფასები, რაც მას მოხმარებას მხოლოდ სამკურნალო ხასიათს აძლევს, დიდი ფასებისავე წყალობით ფერხდება ძირულის აგურის ექსპორტი სპარსეთში.

კარგად გასაღდებოდა სპარსეთში „საპონქონის" წარმოების საპონი, როგორც მისი ფასისა, ისე მისი ღირსების გამო. საპნის კრიზისს აფერხებს ნედლეულობის კრიზისი საპნის წარმოებაში.

იზრდება მაგარი სასმელების ექსპორტი სპარსეთში. ამ საგნების ექსპორტი უნდა გაფართოვდეს საქართველოს პროდუქციის გადიდებით; ლუდის სახდელი ქარხნის გახსნა თბილისში საშუალებას მოგვცემს, რომ შევქმნათ ექსპორტის ახალი სახე სპარსეთის ბაზარზე—საქართველოს ლუდის ექსპორტი. თუ დღევანდლამდე რენტაბელური იყო ლუდის გატანა სპარსეთში ოდესიდან, მით უფრო რენტაბელური იქნება მისი გატანა თბილისიდან.

როგორც პრობლემა, შეიძლება დაისვას საკითხი ბარიტის ექსპორტისა სპარსეთში.

თურქეთში (აღმოსავლეთ ვილაეტებში) დიდი მოთხოვნილება აქვს საპონ „პეტუხს", რომლის ექსპორტი ვერ განხორციელდება ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო. ბორჯომის წყლის ექსპორტს აფერხებს თურქეთის მფარველობითი პოლიტიკა საკუთარი სამკურნალო წყლების მიმართ, ისევე როგორც მაგარი სასმელების ექსპორტს.

საჭიროა შეუდგეთ ინგლისური ტიპის საწოლების, სკამების და აგრეთვე საქართველოს შინამრეწველობის სხვადასხვა საქონლის ექსპორტს თურქეთში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ექსპორტის ზრდას აღმოსავლეთ ქვეყნებში თვალსაჩინოდ აფერხებს ის გარემოება, რომ აღმოსავლეთის ვაჭრები არ იცნობენ საქართველოს პროდუქციას. ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ამიერ-კავკასია—აღმოსავლეთის სავაჭრო პალატამ, ისე საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ. საჭიროა აღმოსავლეთის ვაჭრებს გავაცნოთ ჩვენი საექსპორტო საქონელი და ამ მიზნით მოვაწყოთ ნიმუშების გამოფენა როგორც სანაპირო პუნქტებში, ისე სხვადასხვა ბაზრობაზე, ამ მხრით მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული საბჭოთა საექსპორტო საქონლის გამოფენა, რომელიც მოეწყობა ბაქოს მომავალ მუშთაიდ ბაზრობაზე.

მაგრამ საქართველოს საექსპორტო ამოცანები მანამდე ვერ გადაწყდება კონკრეტულად, სანამ შესწავლილი არ იქნება ის პირობები, რომლებმაც საწარმოო ერთეულებისათვის უნდა უზრუნველჰყონ საქონლის გატანის რენტაბელობა. ახალი საგნების ექსპორტს პირველ ხანებში ხშირად თან სდევს ზარალი, რომლის ანაზღაურება გაცილებით უფრო ადვილად მოხერხდება სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით, ვიდრე ნაწარმოებზე ფასების მომატებით. რასაკვირველია, ზარალის ანაზღაურების დაკისრება მწარმოებლებზე არამც თუ ხელს შეუწყობს ექსპორტს, არამედ შეაფერხებს მას.

ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებანი განსაზღვრულ დირექტივებს გვაძლევენ ამ საკითხში: ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სპეციალური საექსპორტო ფონდი იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებიც დაკავშირებული, ექსპორტთან. საექსპორტო ფონდის შექმნა წარმოებას დაიცავს დეფიციტისაგან საექსპორტო პროდუქციის გასაღების დროს და ამით მოსპობს იმ მიზეზებს, რომლის წყალობითაც საწარმოო ორგანიზაციები გაურბიან საექსპორტო მუშაობას. ამიტომ საექსპორტო ფონდის შექმნამ ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭიროს იმ ღონისძიებათა შორის, რომლებმაც უნდა გადასჭრან საქართველოს საექსპორტო ამოცანები. ამასთანავე ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საექსპორტო პროდუქციის ღირსებას და სტანდარტის შემუშავებას. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მაისის პლენუმის დირექტივა ლაპარაკობს აგრეთვე იმ საუკეთესო საწარმოო ორგანოების გამოყოფის შესახებ, რომლებიც საექსპორტო საქმისათვის მუშაობენ, ასეთ შერჩევას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ.

ჩვენი ექსპორტის ყველა მხარის სრული გამოყენების საშუალებით მოხერხდება ისეთი რთული ამოცანის გადაჭრა, როგორიცაა საქართველოს მრეწველობის პროდუქციის გატანა აღმოსავლეთის ბაზრებზე. იმ მომენტში, როდესაც საქართველოს სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია ხდება მტკიცე სამრეწველო საფუძველზე.

დ. ზავრიევი.

საბჭოთა არჩევნებისათვის

მხოლოდ კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ საბჭოები იყვნენ და იქნებიან პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოები, სოციალისტური მშენებლობის ორგანიზატორები.

გააფთრებული ბრძოლა ბიუროკრატიზმის, დაუდევრობის, უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ, პროლეტარიატის, ღარიბი და საშუალო გლეხობის ინტერესებისადმი უყურადღებობის წინააღმდეგ.

თბილისის საშეფო საზოგადოება იწვევს ბაქოს საშეფო ორგანიზაციებს

თბილისის საშეფო საზოგადოების საბჭომ შემდეგი წერილი გაუგზავნა ბაქოს საშეფო ორგანიზაციებს და მათ საბჭოს:

ღარიბ გლეხობის და მოჯამაგირეების ორგანიზაციული დარაზმვა, საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცება კულაკობაზე იერიშის მისატანად—საშეფო საზოგადოებათა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა ამ საბჭოთა-საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ამ ამოცანის შესრულების შესაძლებლობა მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ ჩვენ თქვენთან ერთად ფეხზე დავაყენებთ ყველა რაიონულ საბჭოებს, ყველა საშეფო უჯრედებს და ჩვენი საზოგადოების ყველა წევრებს საბჭოების გადარჩევის წარმატებით ჩატარებისათვის. ამის გამო, თბილისის საშეფო საზოგადოება გიწვევთ თქვენ შეჯიბრებაში, რომელმაც უნდა გამოამჟღავნოს თვითეული ჩვენგანის უკეთესი მონაწილეობა ამ კამპანიაში.

ჩვენი ორგანიზაცია კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

ფართოდ გააშუქოს თავის წევრებს შორის ამ კამპანიის ამოცანები; ჩააბას არჩევნებში ამრჩეველთა რაც შეიძლება მეტი მასები; მოაწყოს სემინარები—სოფლად გასაგზავნ მუშების მოსამზადებლად. დაგზავნოს ერთი თვის ვადით 70 აქტიური მუშა საზოგადოების წევრი) არჩევნების ჩასატარებლად სოფლებში; აწარმოოს მუშაობა ღარიბთა ჯგუფებს შორის მათ დასარაზმავად კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ ამ ელემენტებმა ვერ შესძლონ თავიანთი კანდიდატების გაყვანა საბჭოში, რომ წესიერად შესდგეს საარჩევნო სიები და სხვა. გარდა ამისა, ჩვენი საზოგადოება კისრულობს გაგზავნოს მუშათა ჯგუფები და ბრიგადები ქარხანა-ფაბრიკებიდან საშეფო თემებსა და სოფლებში საანგარიშო საარჩევნო კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად; მოაწყოს წარმოებებში თათბირები, სადაც გაშუქებული იქნება კამპანიის მიმდინარეობა სოფლად, წამოაყენოს აქტიურ შეფმუშაკებიდან კანდიდატები ქალაქის ახალ საბჭოში გასაყვანად, მოაწყოს საანგარიშო საარჩევნო პერიოდში სათანადო მხატვრული დადგმები სოფლად; სისტემატიურად გააშუქოს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა სოფლად პერიოდულ პრესაში და კედლის გაზეთებში და აგრეთვე აწარმოოს ჩატარებული მუშაობის სწორი აღრიცხვა.

თბილისისა და ბაქოს საშეფო ორგანიზაციების შორის შეჯიბრების შედეგების გამოსარკვევად ჩვენი ორგანიზაცია შეჯიბრების პრეზიდიუმში ირჩევს შემდეგ ამხანაგებს: სტეფანოვს, მეიფარიანს, საყვარელიძეს, ჩილოჩავას, აკრეწუაშვილს, ანა ზაბაიანს, ძნელაძეს და წინადადებას გაძლევთ თქვენც გამოჰყოთ ამხანაგები ზემოხსენებულ პრეზიდიუმში.

საშეფო ორგანიზაციების თბილისის საბჭო დარწმუნებულია, რომ ბაქოს საშეფო ორგანიზაციები ჩვენს გამოწვევას მიიღებენ და თავისი აქტიური მონაწილეობით ამ არჩევნებში სათანადო პასუხს გასცემენ ამ გამოწვევას.

ვიწვევთ ოზურგეთის ძაფ-სახვევი ქარხნის მუშებს

გუშინ, შესდგა პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის მუშა-მოსამსახურეთა და გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციის თანამშრომელთა მიტინგი. მიტინგს ამხ. ნაზარეტიანმა გააცნო „თემქა"-ს (თბილისის ელექტრო-მექანიკური ქარხნის) მუშების გამოწვევა და მოუწოდა თავის მხრივ გამოიწვიონ სხვა რომელიმე წარმოების მუშები. საბჭოების გადარჩევის წარმატებით ჩასატარებლად

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, მიტინგმა დიდი აღფრთოვანებით მიიღო „თემქა"-ს მუშების გამოწვევა და საბჭოების გადარჩევის კამპანიის უკეთ ჩასატარებლად თავის მხრივ გამოიწვია ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხნის მუშები. მიტინგმა, ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხნის მუშებს წაუყენა შემდეგი პირობები: საარჩევნო კამპანიაში ჩაბმულ იქნან მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა მთელი ასი პროცენტი, გაგზავნილი იქნენ სოფლად საკმაოდ მომზადებულ მუშები საბჭოების გადარჩევის წარმატებით ჩასატარებლად, საბჭოებში არჩეული იქნენ აქტიური მუშები, ჩაბმული იქნან საბჭოების მუშაობაში მეტი მშრომელი ქალები, ფართოდ გააშუქონ პრესაში საბჭოების მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები და თვით საბჭოთა საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა, დღევანდელ ახლად არჩეულ დეპუტატებს მტკიცედ და ურყევად შეასრულონ მუშების და გლეხების მიერ მიცემული დავალებანი და სხვ.

მიტინგმა იმედი გამოსთქვა, რომ ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ქარხნის მუშები აღფრთოვანებით მიიღებენ მე-5 სტამბის მუშა-მოსამსახურეთა და გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციის თანამშრომლების გამოწვევას და თავის მხრივ გამოიწვევენ სხვა წარმოების მუშებსაც.

მ.

კრება გლეხთა ცენტრალურ სახლში

გუშინ, გლეხთა ცენტრალური სახლის კლუბში შესდგა ამავე სახლში დროებით მცხოვრებ გლეხების კრება. კრებას დაესწრო სხვადასხვა მაზრებიდან ჩამოსული 200 გლეხი. კრების საგრძნობ ნაწილს შეადგენდენ გლეხი ქალები, რომელთა შორის იყო 15-მდე აჭარელი ქალი. კრებაზე საბჭოთა არჩევნების პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. ცაკის ინსტრუქტორმა გრ. კიზირიამ.

გლეხებმა აუარებელი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს. შეკითხვები განსაკუთრებით შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: როგორ უნდა გავარჩიოთ კულაკი და საშუალო გლეხი ერთი მეორისაგან, ვის არ უნდა მიეცეს საარჩევნო ხმის უფლება და სხვ. მომხსენებელმა ყველა შეკითხვებზე გასცა პასუხი, რის შემდეგ კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლუცია.

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა ჭიათურაში

(წერილი ჭიათურიდან)

არჩევნების მოსამზადებელი მუშაობის პირველი პერიოდი (საორგანიზაციო და ტექნიკური) უკვე დამთავრებულია.

შედგენილია საარჩევნო კომისია, ქალაქი დაყოფილია საარჩევნო უბნებათ, შედგენილია საარჩევნო უფლებათა მქონე და უფლება მოკლებულთა სიები. ჯერ-ჯერობით ეს სიები არ არის გამოქვეყნებული, რადგან შორაპნის სტამბამ დროზე ვერ მოასწრო მათი დაბეჭდვა.

არჩევნების კამპანიის მეორე პერიოდი დაიწყება 1929 წლის 1-ლ იანვრიდან.

ამ დროისათვის ქალაქის საბჭო გამოაქვეყნებს თავისი განვლილი მუშაობის ანგარიშს. ანგარიში დაბეჭდილი იქნება ცალკე წიგნებათ და აგრეთვე გამოიკვრება ჭიათურასა და ქარხანა-მაღაროებში.

საარჩევნო უბნების მიხედვით მოწვეულ იქნება ამომრჩეველთა კრებები, რომელთა დღის წესრიგში დასმული იქნება შემდეგი საკითხები: 1) საარჩევნო ინსტრუქციის გაცნობა, 2) ქალაქის საბჭოს და პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება და ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებების თანამოხსენება.

კამპანიის მესამე პერიოდი დაიწყება 8 თებერვლიდან და გასტანს 8 მარტამდე.

8 თებერვლიდან დაიწყება საარჩევნო კრებების ჩატარება, სადაც მოხდება საბჭოს დეპუტატების არჩევა და „ნაკაზის" განხილვა-დამტკიცება.

შ. ხ—ლი.

გორის მაზრაში

(წერილი შინდისის თემიდან)

ამას წინად შინდისის თემში ჩატარდა ღარიბ ჯგუფების კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 66 დელეგატი. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) საბჭოთა გადარჩევები და მასში ღარიბ გლეხთა მონაწილეობა, 2) კოლექტიური მეურნეობა და ღარიბების როლი კოლმეურნეობაში.

კონფერენციის დელეგატებს შორის მოხსენებებმა ინტერესი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო 17 გლეხმა, რომლებმაც აღნიშნავდნენ კულაკების ბრძოლის გაძლიერებას ორი მიმართულებით. ერთის მხრივ კულაკები ცდილობენ მოატყუილონ ღარიბი გლეხობა და ჩამოაშორონ ისინი კოლექტივებს და ამით ხელი შეუშალონ სოფლად კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას. მეორე მხრივ კულაკები ახერხებენ კოლექტივებში შეძრომას და შემდეგ ხელს უწყობენ კოლექტივებში შიგნიდან არევ-დარევის შეტანას. კამათში გამოსული გლეხი ბერიკაშვილი აღნიშნავდა წარსულ საბჭოთა არჩევნებში ღარიბთა სუსტ დარაზმვას, გლეხ ქალების და მოჯამაგირეთა ნაკლებ მონაწილეობას არჩევნებში და მოსახლეობის არა სათანადო რიცხვის გამოცხადებას საარჩევნო კრებებზე.

ღარიბთა კონფერენციის ჩატარების შემდეგ მოწვეულ იქნა თემის პარტ და კომკავშირის გაერთიანებული კრება, სადაც დამუშავებული იქნა საკითხი საბჭოთა არჩევნების შესახებ. მთავარი ყურადღება ექცეოდა საარჩევნო ინსტრუქციის ფართო განხილვას.

თემში გამოყოფილი არის სათემო საარჩევნო კომისია, რომელიც შეუდგა თეთრი და შავი სიების შედგენას. არჩევნების სამზადისისათვის მიმდინარეობს მუშაობა კოოპერაციის ხაზით კოოპერაციის წევრებს შორის, პროფკავშირებს მიცემული აქვთ სათანადო დირექტივები დაამუშაოს თავიანთი ხაზით პროფკავშირის წევრებ შორის ხსენებული საკითხი, დავალებული აქვთ სამკითხველოებს და წითელ კუთხეების გამგეებს აწარმოონ ხმამაღლა კითხვა სისტემატიურად ყოველდღიური ცნობებიდან საბჭოთა გადარჩევების შესახებ; 15 დეკემბერს განზრახულია მასწავლებელთა, გლეხკორთა და აგრონომთა გაერთიანებული კრების მოწვევა, სადაც დამუშავდება საკითხი საბჭოთა გადარჩევების შესახებ. 20 დეკემბერს მოწვეულია სათემო ქალთა კონფერენცია და განზრახულია ხსენებული საკითხის და საარჩევნო ინსტრუქციის ფართოდ დამუშავება.

წარსულ წლებთან შედარებით დიდი გამოცოცხლება ეტყობა ყველა ორგანიზაციებს. ყველა მათგანი ცდილობს თავისი ხაზით საბჭოთა არჩევნებში ჩააბას ფართო მშრომელი მასები.

ლ. კალანდაძე.

სენაკის მაზრაში

(წერილი სენაკიდან)

სამაზრო საარჩევნო კომისიამ შეიმუშავა მტკიცე სამუშაო გეგმა საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად. ამ გეგმის მიხედვით საარჩევნო კამპანია იყოფა სამ პერიოდათ: სამზადისის პერიოდი—1 იანვრამდე, საანგარიშო კამპანიის პერიოდი—1-დან 31 იანვრამდე და საარჩევნო პერიოდი—1-დან—28 თებერვლამდე.

თემებში უკვე ჩამოყალიბებულია სათემო საარჩევნო კომისიები, მაზრა დაყოფილია 202 უბნად.

ამ პერიოდული დაყოფის მიხედვით შესდგა თემებში სამუშაო გეგმები. ამ გეგმებში ჩამოყალიბებულია შემდეგი: 1. რამდენ უბნებად არის დაყოფილი თემი, 2. როდის, რომელ უბნებში და რომელ შენობებში ჩატარდება ესა თუ ის კრება, 3. რომელ უბანში რამდენი დეპუტატი და კანდიდატი უნდა აირჩეს, 4. როდის და სად გამოიფინება სიები, 5, როდის, რომელ უბნებში დაიგზავნება საარჩევნო უწყებები, 6. როდის დამზადდება მუშაობის ანგარიში და ვინ, როდის რომელ კრებაზე გააკეთებს მოხსენებას მუშაობის ანგარიშზე, 7. ვინ დაინიშნებიან სათემო კომისიის მიერ რწმუნებულად უბნებში და სხვა.

თვითეულ პერიოდში კი ადგილებზე უნდა იქნეს შესრულებული შემდეგი სამუშაოები:

I-ლ პერიოდში გაკეთდება: ა) მუშაობის გეგმის შედგენა, ბ) თემის დაყოფა საარჩევნო უბნებად, გ) ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებამოკლებულ პირთა სიის შედგენა, დ) ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბება, ე) საბჭოს მუშაობის ანგარიშის შედგენა, ვ) საარჩევნო კომისიის მოხსენების შედგენა.

მე-2 პერიოდში შესრულდება: ა) საანგარიშო კრებების ჩატარება, ბ) განაწესის პროექტის შედგენა, გ) საარჩევნო უფლება ართმეულ მოქალაქეთა სიების გამოფენა უბნებში, დ) შედგენა საარჩევნო უწყებებისა, ე) საბჭოს კანდიდატთა წინასწარი სიის შედგენა.

საანგარიშო კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საბჭოს მუშაობის შეფასებას, გაბედულ კრიტიკას, მითითებებს და აგრეთვე მშრომელი მოსახლეობის ფართოდ დასწრებას.

საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება ჩატარებულ იქნება თვითეულ საარჩევნო უბანში აუცილებლად, რაც წინდაწინ უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო ნაწილის დასწრებას კრებებზე.

გარდა საბჭოს და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებისა—საანგარიშო კრებებზე დასმული იქნება მოხსენებები სხვადასხვა სამეურნეო, სასამართლო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისა.

მე-3 პერიოდში ჩატარდება: ა) საარჩევნო კრებები უბნებში, ბ) არჩევნები, გ) ახალი საბჭოს საორგანიზაციო სხდომების მოწვევა და აღმასრ. ორგ. არჩევა.

საარჩევნო კრების დრო ეცნობება თვითეულ ამომრჩეველს 5 დღით ადრე სპეციალური უწყებით.

საარჩევნო კრებებზე დაისმება შემდეგი საკითხები: ა) კრების პრეზიდიუმის არჩევა, ბ) საარჩევნო ინსტრუქციის 1—9 და 41—66 მუხლების მოსმენა, გ) თემსაბჭოს წევრების არჩევა, დ) თემსაბჭოს კანდიდატების არჩევა, ე) სარევ. კომ. არჩევა, ზ) განაწესის განხილვა.

ამნაირად, მტკიცედ, ურყევად, ჩვენს მაზრაში ტარდება ის სამუშაო, რომელმაც მომავალი წლის მარტში უნდა მოგვცეს ახალი—მუშათა და გლეხთა საბჭო.

გ. უჩანეიშვილი.

არჩევნების ქრონიკა

მოსამზადებელი მუშაობის შემოწმება მაზრებში

ვინაიდან მოსამზადებელ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის, ცენტრ. საარჩევნო კომისიამ დაადგინა მიღებული იქნეს სათანადო ზომები ადგილებზე მოსამზადებელ მუშაობის გამოსაცოცხლებლად და დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად.

ამ მიზნით ადგილებზე მოსამზადებელ მუშაობის ყოველმხრივ შესამოწმებლად გაიგზავნენ: აჭარისტანში—ამხ. პ. ალნიაშვილი, ახალციხის მაზრაში — ციხელაშვილი, თბილისის მაზრაში—არუთინოვი, გურიაში—დ. ქურულოვა, კახეთის მაზრაში—ვ. კვირიკაშვილი.

როგორ მიმდინარეობს რიონჰესის და ახალი ქარხნების მშენებლობა

(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისში ჩამოვიდა საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, რომელმაც რიონჰესის და ახალშენებათა სამუშაოების შესახებ თქვენ თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

მე დავათვალიერე რიონჰესის, ქუთაისის ახალშენებათა სამუშაოები და აბესის ელვადამცემი ხაზი.

რიონჰესის სამუშაოების მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. შედარებით ხელი ტემპით მიმდინარეობს გვირაბის გაყვანა, ვინაიდან დიდგვიანი საზღვარგარეთიდან გამოწერილმა ელექტრომოწყობილობამ. რომელიც შეკვეთილი იყო გვირაბის სამუშაოებისთვის ჯერ კიდევ ერთი წლის წინედ. ელექტრო-მოწყობილობის მიღებისთანავე გვირაბის გათხრის სისწრაფე საგრძნობლად გაიზრდება.

დიდი ინტენსიობით სწარმოებს საგუბარის სამუშაოები მდინარის მარჯვენა ნაპირზე, რომელიც დამთავრებული უნდა იქნეს აუცილებლად მარტის შუა რიცხვებამდე, სანამ წყალდიდობა დაიწყება. ამიტომ ამ სამუშაოებს აქვს დაკვრითი ხასიათი და მიღებული იქნება ყოველი ზომები, რომ ეს საპასუხისმგებლო სამუშაოები არაფერმა შეაფერხოს.

ბარიტის, აბრეშუმის და კირის ქარხნების სამუშაოების დამთავრება დაგვიანდა სხვადასხვა მიზეზების გამო. ყოველ შემთხვევაში ამჟამად სამუშაოების მდგომარეობა ისეთია, რომ იანვრის განმავლობაში ამუშავებული იქნება სამივე წარმოება.

აბეს-ქუთაისის ელექტრო-ხაზის სამუშაოები თითქმის დამთავრებულია. სწარმოებს მავთულების დაჭიმვა უკანასკნელ სამი კილომეტრის მანძილზე. მოსალოდნელია, რომ იანვრის 1-ლ ნახევარში დაიწყება ელექტრონის მიწოდება აბესიდან ქუთაისის წარმოებათა და რიონჰესის სამუშაოებზე. დღეს შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა აბესის ელექტრო-ენერგიის ტექნიკური მიწოდება რიონჰესის და ახალშენებათა წარმოებებისათვის.

ქიმიკოს-მწარმოებელთა თათბირი

20 დეკემბერს საღამოს შესდგა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ინიციატივით მოწვეულ ქიმიკოს-მწარმოებელთა თათბირი, რომელზედაც დასმული იყო საკითხი საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან ქიმიური სექციის დაარსების შესახებ. თათბირს დაესწრნენ ქიმიური წარმოებების და ლაბორატორიების წარმომადგენლები და ქიმიის დარგის პროფესორები სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ინჟენერ-ქიმიკოსი სმოლკა, რომელმაც განმარტა ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა მშვიდობიანობისა და ომის დროს. მან აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფოებში ქიმიური მრეწველობა ისეა დაყენებული, რომ ომის დაწყებისთანავე შეიძლება მისი გადაყვანა ომის შესაფერ მდგომარეობაზე.

მეორე მოხსენებით გამოვიდა ქიმიკოსი ტუროვეცი, რომელმაც დაახასიათა თავდაცვა-ავიაქიმის ქიმიური სექციის მიზნები და ამოცანები. სექციის დაარსების მიზანია—ქიმიის პოპულარიზაცია მოსახლეობაში, ქიმიური მრეწველობისათვის ხელისშეწყობა, ქიმიური თავდაცვის საშუალებების სწავლება მოსახლეობისათვის და სხვა.

სექციის მომავალი სამუშაო პროგრამის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის წარმომადგენელმა ამხ. ბოლეტაძემ.

დასასრულ, თათბირმა აირჩია ქიმიური სექციის პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ—პროფ. მოსეშვილი, პროფ. ქუთათელაძე, ქიმიკოსი ტუროვეცი, სმოლკა და ქიმიკოსი გვერდწითელი.

საქართველოს მეაბრეშუმეთა თათბირი

მეათე სხდომა

თათბირის მეათე სხდომაზე განხილული იქნა დებულება აბრეშუმის ფაბრიკა-ბაზის ადმინისტრაციის უფლებამოვალეობის შესახებ რის შემდეგ გაიმართა კამათი აგრონომიულ მუშაობისა და მეაბრეშუმეობაში კონტრაქტაციის ჩატარების საკითხზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს კიკოლაძემ, ოთ. ხიზოვმა, ჭეიშვილმა, ლუკავამ და წილოსანმა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს რომ საჭიროა საგრენიო სადგურების მუშაობის კვალიფიკაციის ამაღლება. რათა ყოველ წლიურათ საჭირო არ გახდეს მიკროსკოპისტების ძიება; მიკროსკოპისტები [illegible] მუშაობის სეზონის დამთავრების შემდეგ, არ უნდა დაითხოვონ, არამედ გადაყვანილ უნდა იქნან სხვა სამუშაოზე.

ორატორების ნაწილი იმ აზრისაა, რომ კონტრაქტაცია გამოიღებს დადებით შედეგს ვინაიდან წაახალისებს მეაბრეშუმეობას.

ზოგიერთი ორატორი კი შიშობს, რომ სახ. სამ. საკრ. ამხანაგობები ვერ შესძლებენ იმის გამორკვევას, თუ ვის რამდენი თუთის ხე და როგორი ბინა აქვს. ხოლო მეაბრეშუმეები წაიღებენ მეტ თესლს, ვიდრე შეუძლიათ შეინახონ და გამოკვებონ. ამ ნიადაგზე მოსალოდნელია ჭიის დასნეულება და მოსავლის გაფუჭება. ხოლო იმის გამორკვევა, თუ რა მიზეზით დასნეულდა ჭია, შეუძლებელი იქნება, ვინაიდან ამისათვის საჭირო შეიქნებოდა მეტად დიდი შტატი. ამრიგად მოსალოდნელია რომ ბევრი მეაბრეშუმე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებას და საჭირო გახდება საჩივარის აღძვრა მათ წინააღმდეგ.

ქუნთრუშისა და ხუნაგის ეპიდემია

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილებაში მიღებული ცნობებით, უკანასკნელი კვირების განმავლობაში ქუნთრუშასა და ხუნაგის ეპიდემიამ თავი იჩინა რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში და სოფლებში.

თბილისში ეპიდემიას არ ეტყობა შესუსტება. სტატისტიკური ცნობებით, იმ დროს, როდესაც მატულობს ქუნთრუშით დაავადებულთა რიცხვი — კლებულობს ხუნაგით დაავადების შემთხვევები და პირიქით. ეს მოვლენა, სპეციალისტების დასკვნით, იმის მომასწავებელია, რომ თბილისში ეპიდემია ჯერ კიდევ მწვავე განვითარების პერიოდშია და საჭიროა უფრო გაძლიერებული ეპიდემიებთან ბრძოლა.

რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებიდან ქუნთრუშით და ხუნაგით დაავადების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია მანგლისში და ახალქალაქში. დანარჩენი ადგილებიდან ქუნთრუშისა და ხუნაგის ეპიდემია გავრცელებულია ახალციხეში, ბათომში, ქუთაისში, სოხუმში და სხვაგან. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს ეპიდემია აფხაზეთში და აჭარისტანში.

ეპიდემიებთან საბრძოლველად ყველა დასახელებულ ადგილებში მიღებულია სათანადო ზომები. გარდა აცრის ჩატარებისა, გადაწყვეტილია მოხდეს დაავადებულთა გოსპიტალიზაცია და მიღებული იქნეს ღონისძიებები, რომ ეპიდემიები კიდევ უფრო არ გავრცელდეს.

სასამართლო

მიხ. ფადავას გასამართლება

(საჩვენებელი პროცესი).

პირველ სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 20 დეკემბერს საღამოს ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა კლუბში, სასამართლომ მოასწრო ბრალდებულის და რამდენიმე მოწმის დაკითხვა.

ბრალდებული ფადავა სცნობს თავს დამნაშავედ იმაში, რომ თბილისის ტრამვაის დირექციის საქმეთა მმართველად ყოფნის დროს სისტემატიურად ჰყიდდა ყალბ წლიურ სამგზავრო ბილეთებს რითაც ზარალმიყენებული აქვს 2.400 მანეთი.

ბრალდებული ფადავა გაფლანგვის მიზეზად ასახელებს იმას, რომ პირველ ხანებში მას ჯამაგირი არ ჰყოფნიდა.

ხოლო შემდეგში, როცა ჯამაგირი მოუმატეს მაშ მაინც ვერ დაანება (!) თავი სახაზინო ფულების ფლანგვას იმიტომ, რომ ფართოდ ცხოვრობდა (ცხოვრება) (!)

ბრალდებული ლაპარაკობს, რომ მას ბილეთებს ხშირად მოეწყო ქეიფი თავის ბინაზე. თუმცა არ ასახელებს იმ პირებს, რომლებიც ასე „დაუზოგავდა" ფადავა „პურ-მარილით".

ფადავა სასამართლოშიაც აცხადებს რომ ყალბი ბილეთების გაყიდვაში მისი თანამონაწილე იყო ბუხჰალტერი ჯაფარიძე, რომელიც თითქოს ფულსაც უნაწილებდა.

მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა, რომ თბილისის ტრამვაის სამმართველოში ყველაფერი რიგზე ვერ ყოფილა. საქმის წარმოებაში და ბუხჰალტერიაში არ სჩანდა კონტროლის ფხიზელი თვალი. ფადავა აკეთებდა ყველაფერს, რაც კი მოეპრიანებოდა.

პროცესს დიდძალი ხალხი ესწრება, კლუბის შენობა გაჭედილია დამსწრე საზოგადოებით. განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

არაყით მოვაჭრე მილიციელები

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გაასამართლა მესამე სამილიციო უბნის ყოფილი თანამშრომლები ივანე ზაქარიასძე სხიერელი და კასიანე სამსონისძე ბაზლაძე.

საქმის შინაარსი ასეთია:

მილიციელმა კასიანე ბაზლაძემ საგუშაგოზე დგომის დროს ერთ გლეხს დაუჭირა 3 ფუთ-ნახევარი უაქციზო არაყი. ბაზლაძემ გლეხი წარადგინა კომისარიატში თავისი არაყით. კომისარიატში გლეხს შეუდგინეს ოქმი და საქმეს მიეცა კანონიერი მსვლელობა

ცოტა ხნის შემდეგ კომისარიატში ხდება ასეთი „გარიგება". ბაზლაძე იმავე კომისარიატის მილიციელს ივანე სხიერელს უზიარებს თავის აზრს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ დაჭერილ არაყის ნაწილის მითვისება.

თურმე ეს ადვილი შესაძლებელი ყოფილა. ივანე სხიერელმა დასწერა ყალბი ოქმი, რომელშიაც არაყის რაოდენობა შეამცირა 2 ფუთით, ე. ი. სამ ფუთნახევრის მაგიერ ჩასწერა ფუთნახევარი.

ნამდვილი ოქმი დახიეს, ხოლო ეს „გადარჩენილი" ორი ფუთი არაყი გაიტანეს ბაზარზე და მიჰყიდეს მიკიტანს.

სასამართლომ ივანე სხიერელს და კასიანე ბაზლაძეს მიუსაჯა თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

ზურ.

შემთხვევები

ბავშვის პოვნა

გუშინ ტროცკის ქუჩაზე (სახლი № 1-ის ეზოში), იპოვნეს მამრობითი სქესის ბავშვი (ორი თვისა), რომელიც გახვეული იყო საბანში, ბავშვი გადაგზავნეს ბავშვთა თავშესაფარში.

დაჯახება

21 დეკემბერს დილით ტრამვაის ვაგონი რომელსაც მართავდა ვატმანი არშაკ ნაჯაროვი რუსის ქუჩაზე დაეჯახა ფირალ გრიგოლისძე ფირალოვს და მძიმედ დააშავა. ფირალოვს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. როგორც ირკვევა, დაჯახებაში, ვატმანს ბრალი არ მიუძღვის.

— გუშინწინ ღამით, ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი თედო ლაზარიშვილი საბჭოთა ქუჩაზე დაეჯახა სურენ ავდალოვის „ტაჩკას".

ქურდების დაპატიმრება

უკანასკნელ ხანებში ქალაქში გახშირდა კარების გატეხვის და მორგებული გასაღების საშუალებით საცხოვრებელი ბინების გაქურდვის შემთხვევები. გამოირკვა, რომ ბინების გატეხვას ახდენდა ქურდების ერთი ჯგუფი.

ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ზოგიერთი ბოროტმოქმედთაგანი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: გასპარ ამაიაკისძე გასპაროვი, გრიგოლ იოანესძე არღევანიძე და პეტრე სტეფანესძე შაროევი.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ

„კომუნისტი"-ს № 295-ში „შემთხვევებ"ში სწერია:

„გუშინ მოქალაქე იოსებ ზაქარიასძე იმედაშვილმა რევოლვერის ტყვიით მოჰკლა თავისი ყოფილი სიძე" და სხვ.

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ზემოხსენებული ცნობა მე არ მეხება, არავითარი საიმისო არ ჩამიდენია და არც არავის დაუპატიმრებივარ.

იოსებ ზაქარიასძე იმედაშვილი.

ქრონიკა

პენსია დამსახურებულ მასწავლებლებს

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა გახსნილა დამსახურებულ მასწავლებელთათვის პენსიის დანიშვნის საკითხი და დაადგინა—პენსია დაენიშნოს შემდეგ დამსახურებულ მასწავლებლებს: ბარბალე ქართველიშვილს (თბილისი), მალაქია გძელიშვილს (რაჭა) ლე ჩხაიძეს (აჭარისტანი) საბა თორდიაშვილს (თელავის მაზრა), ელისაბედ სირბილაძეს (ქუთაისი), კოპალეიშვილს (ოზურგეთი), ოპატია ჯაშს (ოზურგეთი), არტემ ლეჟავაძეს (სენაკის მაზრა), კონსტანტინე ჩრიხუაძეს (თბილისი), ანტონინა სახაროვას (აფხაზეთი), ანა კიკნაძეს (შორაპანი), გაიანე ხანიკიძე-ბერელიძეს (ქუთაისი), ალექსი ბეიშვილს (ქუთაისი), ევა ივანეს ასულ ნატროშვილს (კახეთი), ერასტი როდონაიას (ზუგდიდი), ხათუნა კაჭარავას (აფხაზეთი), პავლე სოფრომიძეს ლომთათიძეს (ოზურგეთი), მარიამ იოსების ასულ რჩეულიშვილს, და გიორგი დავითიძეს არაშიძეს.

„შობის" წინააღმდეგ

20 დეკემბერს მუშაობის დამთავრების შემდეგ შესდგა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და სახ. მამულთა ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც დაადგინა ეთხოვოს შრ. სახ. კომისარიატს, რათა დასასვენებელი დღე 7 იანვრის („შობა" ძველი სტილით) მაგიერ გადმოტანილი იქნეს 31 დეკემბერს.

მე-2 შრ. სკოლის უფროსი ჯგუფის მოწაფეებმა დაადგინეს აღძრან შუამდგომლობა განსახკომის წინაშე, რათა 7 იანვარს („შობა" ძვ. სტ.) მეცადინეობა სკოლებში სწარმოებდეს ნორმალურად. 7 იანვრის ნაცვლად კი დაისვენონ სხვა დღეს.

ლითონის ნატეხების შეგროვება

1-ლი დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე თბილისში შეგროვებულია 208 ტონა (12.896 ფუთი) სხვადასხვა ლითონების ნატეხები.

ამავე ხნის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში შეგროვილია 635 ტონა (38.370 ფუთი) ნატეხები.

თბილისის აღმასკომში

◆ **სკოლის შეკეთება.** განათლების განყოფილებას დაევალა შეაკეთოს და გააფართოოს მე-24 შრომის სკოლის შენობა.

◆ **უძრავ-ქონებათა სამმართველოს გაუქმება.** თბ. აღმასკომის განზრახული აქვს გააუქმოს უძრავ ქონებათა სამმართველო.

◆ **აღმასკომის 5-წლიანი გეგმა.** დღეს შესდგება თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება აღმასკომის მუშაობის 5 წ. გეგმა.

განათლების კომისარიატში

◆ პროფტექნიკურ განათლების მთავარ მმართველობის გამგედ დაინიშნა თ. ჭუმბურიძე.

◆ **კურსები.** პოლიტგანათლების მთავარმა მმართველობამ გადასწყვიტა გახსნას მოძრავ კინო-ტექნიკოსების მოსამზადებელი კურსები.

კრებები და მოხსენებები

◆ **კვირას, 23 დეკემბერს, დილის 12 საათზე** თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმში (დამოს ქ., № 70), შესდგება საქართველოს ტექნიკური საზოგადოების კრება. რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ი. ს. ტყეშელაშვილი.

◆ **შაბათს, დეკემბრის 22-ს,** სახ. მუზეუმის აუდიტორიაში საღ. სრულ 7 საათზე შესდგება საქ. საფსიქოლოგიო საზოგადოების მორიგი სხდომა, რომელზედაც ზ. ხოდაკია წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ბინე-სიმონის მეთოდის ქართული რედაქცია". დასწრება თავისუფალია.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„ლიანდაგი ზუზუნებს"—კირშონის, დადგმა რეჟ. შ. აღსაბაძის, მხატ. ირ. გამრეკელი

კირშონის პიესის მსგავსი დრამატული ნაწარმოები ძალიან ცოტა მოგვეპოვება. ამ პიესის სიძლიერე მდგომარეობს მასში, რომ აქ ნაჩვენებია „ცოცხალი ადამიანი", მშრომელთა აუდიტორია სცენაზე ხედავს როგორც თავის თავს, ისე თავის მტერ-მოყვარეს და ამით პიესის ძალა აღმზრდელობით-ორგანიზატორის მნიშვნელობას წარმოადგენს.

ამ პიესის დადგმის სიძნელეც იმაშია, რომ რეჟისორმა არ დაჰკარგოს ცოცხალი ადამიანი და არ [illegible] რეალისტურ სტილის კომპოზიცია. თვით ავტორი ამ მხრივ [illegible] დამდგმელს: უამრავ მასალას აწვდის ორთქლმავლის სახელოსნოს ფონზე.

ინტრიგის განსავითარებლად გამოყენებულია წითელი დირექტორის მოუქნელობა და გულუბრყვილობა. და მოხერხებული სიუჟეტით მაყურებლის თვალწინ მოქმედობენ, ახალი [illegible] ხალხთან ერთად, ის ძალები, ვინც ტკბილი სიტყვებით და ბნელი საქმეებით ამჟღავნებენ „შორს დამიზნების პოლიტიკას".

აი ინჟინერი პოტოცკი (ა. ხორავა) დიდი მტერია ახალი წყობილების. იმას კარგად ესმის, თუ რას ნიშნავს წითელი დირექტორი, თუ ის საქმის მცოდნე იქნება. მის სიარულში, ტკბილ საუბარში და თავდაჭერილ ქცევაში მოსჩანს შურით აღვსილი ცივი სახე.

პოტოცკის მარჯვენა ხელია პარშინი (მ. აფხაიძე), ის არ არის ვიწრო ჰორიზონტის მეწვრილმანე. ფულსაც არ დაზოგავს თუ მისი მხრით საქმე და „შორს დამიზნება" როდისმე გამოდგება. მას მისდევს პაველ პავლოვიჩი (გ. დავითაშვილი), პარტიის წევრი, მაგრამ მოვლენების გაგებაში ინტელიგენტურ მეშჩანური მისწრაფებებით. ზნეობრივი მოვალეობის შეგნებით შუა გზაზეა შემდგარი.

მოვალეობის შეგნება და „შორს დამიზნების" გაგება არ არსებობს ბოროტმოქმედისათვის (ლორთქიფანიძე). ის ყველაფერს ჩაიდენს ოღონდ ძვირი წარმატება მიიღოს.

ამ მავნებელთა ბრძოლას, საქმეების დროს შესაფერი გამოთხი ჰყავს. ეს არის ზლობინი (გოძიაშვილი) „ჩიროტკის ინსტრუქტორი" ამ მავნებლებს კვალში უდგიან ქარხნის ნამდვილი ქვაბტორნები. მათი მეთაურია წითელი დირექტორი მუშა ნოვიკოვი (ა. ვასაძე). წარსულმა არავითარი განვითარება არ მისცა მას. საკუთარი ნიჭით და შრომისადმი თავდადებული სიყვარულით ის ხდება მუშებისათვის [illegible] ოღონდ მასში. მაგრამ მოვალეობის შეგნება მაინც პირველ ადგილზეა მისთვის.

მას ზურგს უმაგრებენ მთელი რიგი კეთილსინდისიერი მუშაკები. ამავე გარემოს რკალში ვითარდება თვით სახელოსნოს მუშების მოქმედებაც. ავტორი, როგორც პერსონალურ, აგრეთვე მასიურ სახეების გადმოცემაში ამჟღავნებს ცხოვრების დიდ ცოდნას და დაკვირვების უნარს.

ახალგაზრდა რეჟისორს არ დაუზოგავს არც ენერგია და არც ფანტაზია, რომ ეს სახეები გამოსულიყვნენ სცენიურად სრული და დამაჯერებელი. თუ ზოგიერთ შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პიესის საერთო კომპოზიციაში მტკიცედ არ არის დაცული მთლიანობის სტილი. შარჟის და გროტესკის ჟანრი მოთავსებულია დრამატულ ნატურალიზმთან ერთად. (ერთის მხრივ პარშინი, გრინკოვი, ზლობინი და მეორეს მხრივ პოტოცკი, პაველ პავლოვიჩი, ნოვიკოვი). მიუხედავად ამისა პიესის საერთო გაგებაში მოსჩანს თავისებური და, ჩვენის აზრით, მეტად თამამი და დადებითი რეჟისორული ალღო.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის პროცესი სახელოსნოში და ფიზ-კულტურის გამოყენება. ცნობილია, რომ გლეხი უმძიმეს შრომას სიმღერით ამსუბუქებს. რეჟისორმა ეს მომენტი შრომის წარმოებაში გამოიყენა და ჩაქუჩების რიტმიულ გუგუნს შეერთდება მწყობრი სიმღერა მუშებისა. სიმღერა, როგორც ორგანიზატორი ფიზიკური ენერგიის მიზანშეწონილად არის გამოყენებული.

ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ ყოველი მძიმე შრომის დამთავრება აღინიშნება ხოლმე სიხარულით, დღეობით. აქაც რეჟისორულ ხერხისათვის მიუმართავს დამდგმელს. ორთქლმავლის დასრულების აღსანიშნავად კომკავშირელი მუშა ახალგაზრდობა, ქარხნის ეზოში აწყობს თავის დღეობას ფიზკულტურას. ამით მაყურებელიც განიცდის იმ სიხარულს, რომლითაც გამსჭვალულნი არიან მუშები მეოცე ორთქლმავლის აგებულობით. ამ პიესის დადგმით რუსთაველის თეატრმა ისეთივე აღტაცება გამოიწვია მაყურებლებში, როგორც გასულ სეზონში „რღვევის" დადგმით.

პიესა დასრულდა ნაშუადღევის ორის ნახევარზე. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. მით უფრო, რომ ამ პიესის წარმოდგენებს უმთავრესად მუშა-მოსამსახურენი ესწრებიან.

გ. გ.

მომღერალთა გუნდების ოლიმპიადა

განათლების განყოფილებასთან არსებულ სახელოვნო დაწესებულებების მთავარმმართველობამ გადასწყვიტა მომავალ წელს აპრილის ბოლო რიცხვებში თბილისში გამართოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადა.

გუნდების ხელმძღვანელებმა, რომელთაც შეუძლიათ და სურთ მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადაში სახელოვნო დაწესებულებების მთავარმმართველობას იანვრის დამდეგამდე უნდა აცნობონ: გუნდის სახელწოდება, გუნდის ხელმძღვანელის ვინაობა, რეპერტუარი შემადგენლობა ხმების მიხედვით და სხვ.

◆ **„კარმენ".** კვირას ოპერის თეატრში მუსტაფაევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „კარმენ".

◆ **რუსთაველის თეატრში** დღის მეორედ წარმოდგენილი იქნება „რელსები ზუზუნებს".

◆ **ოპერის თეატრში** დღის წარმოდგენილი იქნება (აბონემენტის გარეშე) „სევილიელი დალაქი".

◆ **მუშათა თეატრში** დღის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „რელსები ზუზუნებს".

◆ **მოზარდ მაყურებელთა** სახელმწიფო თეატრში დღის, საღამოს, 5 საათზე წარმოდგენილი იქნება „რობინ გუდი". მე-7-დე აბონემენტისათვის.

ვაცხადებ

მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ ვინაიდან თბილისის აღმასკომის განკარგულებაში სრულებით არ მოიპოვება საცხოვრებელ ფართობი, ამიტომ განცხადებებს ბინის მიცემის შესახებ არავისაგან არ ვღებულობ.

ვთხოვ ამხანაგებსაც ნურავითარი წერილობითი შუამდგომლობით, ან პირადად ჩემთან მოსვლით, როგორც თავისთვის, აგრეთვე სხვებისათვის ბინის მიცემის შესახებ ნუ მომმართავენ.

ნ. 2012 თბ. საბჭ-ს თავმჯდომარე ი. ბოლქვაძე.

1928 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოსთან შესდგება

თათბირი მეაბრეშუმეობის საკითხებზე

თათბირის დღის წესრიგი:

1) მეაბრეშუმეობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმა (სახელმწიფო საგეგმო კომისიის და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება).

2) მეაბრეშუმეობის საოპერაციო გეგმა 28—29 წლისათვის („საქართველოს აბრეშუმის" და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება).

3) აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის გეგმა 28—29 წლისათვის (საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის მოხსენება).

თათბირზე მოწვეულია არიან ავტონომიურ რესპუბლიკების და სამაზრო აღმასკომების წარმომადგენლები:

აფხაზეთიდან: აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კავშირი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი — თითო წარმომადგენელი. გალის და კოდორის სამაზრო აღმასკომიდან.

აჭარისტანიდან: აჭარისტანის წარმოკავშირი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი — თითო წარმომადგენელი.

ქუთაისის მაზრიდან — აღმასკომის თავმჯდომარე, სავაჭრო ინსპექტორი, 1 სამაზრო აგრონომი, სამტრედიის რაიონული და საკრედიტო საზოგადოების სამი წარმომადგენელი.

ოზურგეთის მაზრიდან: 1 სამაზრო აგრონომი, საკრედიტო ამხანაგობების 3 წარმომადგენელი.

ზუგდიდის მაზრიდან: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე და საკრედიტო ამხანაგობების სამი წარმომადგენელი.

სენაკის მაზრიდან: 1 სამაზრო აგრონომი და საკრედიტო ამხანაგობების 3 წარმომადგენელი.

შორაპანის მაზრიდან: 1 სამაზრო აგრონომი და საკრედიტო ამხანაგობების 3 წარმომადგენელი.

რაჭა-ლეჩხუმის მაზრიდან: 1 სამაზრო აგრონომი და საკრედიტო ამხანაგობების 1 წარმომადგენელი.

გორის მაზრიდან: 1 სამაზრო აგრონომი, საკრედიტო ამხანაგობების და საადგილ-მამულო განყოფილების თითო წარმომადგენელი.

თბილისის მაზრიდან: 1 სამაზრო აგრონომი, თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიის წარმომადგენელი, საკრედიტო ამხანაგობების ერთი წარმომადგენელი.

ბორჩალოს მაზრიდან: საკრედიტო ამხანაგ. 1 წარმომადგენელი და 1 რაიონული აგრონომი.

კახეთის მაზრიდან: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე, ლაგოდეხის აღმასკომის თავმჯდომარე და საკრედიტო ამხანაგობების ორი წარმომადგენელი.

საქართველოს საგეგმო კომისიიდან: 2 წარმომადგენელი.

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატიდან — 2 წარმომადგენელი.

მეაბრეშუმეობის სადგურიდან —1 წარმომადგენელი.

„სოფლის კავშირიდან" — 2 წარმომადგენელი.

საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან — 1 წარმომადგენელი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან—1 წარმომადგენელი.

„საქართველოს აბრეშუმიდან"—2 წარმომადგენელი.

საქართველოს აბრეშუმის ტრესტის 1 რწმუნებული დასავლეთ საქართველოდან და 1-იც კახეთიდან, ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატიდან—1 წარმომადგენელი, ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული სამმართველოდან — 2 წარმომადგენელი.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სასახლეში, ოთახი № 60.

„ა ნ ზ ო რ ი"

ჟურნალ „ქართული მწერლობის" შეფასებაში

ჩვენში რომ მხატვრული კრიტიკა პრიმიტიულ მდგომარეობას განიცდის ეს დღეს თითქმის ყველასათვის ცნობილი ფაქტია. არა ერთხელ აღნიშნულა სხვადასხვა სალიტერატურო და სათეატრო თათბირებზე, რომ მხატვ. კრიტიკის „ტრადიციული სოციოლოგიზმით" შემოფარგვლა ნიშნავს ესთეტიური კრიტიკის პრობლემათა გაცალმხრივებას და მით ხელოვნურად კრიზისის შექმნას. მხატვრული ფაქტის „სოციოლოგიური" შეფასება ეს არის იმ კანონ-ზომიერი კავშირის აღმოჩენა, რომელიც არსებობს ხელოვნების ამა თუ იმ ტიპსა და საზოგადოებრივი გარემოს შორის. სოციოლოგიური საზომის მიზანია გამოამჟღავნოს ამა თუ იმ კლასის, ამა თუ იმ სოციალური კატეგორიის სულიერი განწყობილება და მსოფლ-მხედველობა, მოცემული მხატვრულ სახეებში. მაგრამ გარდა ფსიქოლოგიისა და იდეოლოგიისა მხატვრულ ნაწარმოებში ჩვენ საქმე გვაქვს აგრეთვე გარკვეულ ხერხებთან. გარკვეულ მეთოდებთან. რომლითაც მოცემულია ეს სულიერი განწყობილება ამ ხერხების საშუალებით ხდება ავტორის და მკითხველის (საერთოთ ამთვისებელი პიროვნების) დაკავშირება, მათ შორის თავისებურ ურთიერთობის დამყარება. რადგანაც მხატვრული ხერხების სისტემა წარმოადგენს ერთად-ერთ ემოციონალურ გამტარს მხატვრული იდეოლოგიისა მკითხველთა კატეგორიაში.

ჩვენში ხელოვნების მიზანია მასების ემოციების ორგანიზაცია იმ მიმართულებით, რომელსაც თხოულობს გამარჯვებული პროლეტარიატი. ამ გენერალურ ამოცანას განსაზღვრავს შემდეგი ძირითადი მომენტები: ბრძოლის პათოსის შექმნა, ახალი მაყურებლის ფსიქოლოგიური და მხატვრული აღზრდა, დაუნდობელი ბრძოლა ბურჟუაზიულ და მეშჩანურ განწყობილებებთან, და პარალელურათ მასთან ახალი ყოფა-ცხოვრების მხატვრული პროპაგანდა. ამაშია ხელოვნების უტილიტარიზმი და ფუნქციონალობა. ყველა ამ ამოცანათა გადაწყვეტა თხოულობს საკუთარ მხატვრულ ორიენტაციას, საკუთარ სტილს, საკუთარ მხატვრულ ხერხების სისტემას. ახალი იდეები და ძველი ხერხები ქმნიან კონსერვატიზმს ხელოვნებაში, ასეთ ხელოვნებას არავითარი დამაჯერებელი და მაშასადამე არავითარი ემოციონალური გავლენა არ ექნება; ის იქნება თავისებური კურიოზი და ისტორიის ირონია. აბა სცადეთ შექმნათ განთავისუფლებული შრომის სასახლე გოტური არქიტექტურის სტილით ან და იმღერეთ ინტერნაციონალი „ბოჟე ცარია ხრანი"-ს მოტივით და თქვენ მიიღებთ ხელოვნების უდიდეს პროფანაციას და ისტორიის სასტიკ დაცინვას. ასეთი „ხელოვნება" ოქტომბრის რევოლუციამ მწარე მოგონებათა არქივს ჩააბარა და მას დღეს მხოლოდ და მხოლოდ სამუზეუმო მნიშვნელობა თუ აქვს. ამით აიხსნება, რომ პროლეტარული ხელოვნების ერთ უძირითადეს ამოცანას დღეს ახალი სტილის ძიება წარმოადგენს. რომელშიაც მოცემულ უნდა იქნეს გამარჯვებული პროლეტარიატის შემოქმედებითი სიძლიერე და შემოქმედებითი სიახლე.

საკავშირო კ.პ.(ბ.)-ის რეზოლუციაში ლიტერატურის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ახალ ფორმალურ ხერხებზე მუშაობის აუცილებლობა. ცნობილია, აგრეთვე ისიც, რომ კ. მარქსი გატაცებული იყო ანტიური კულტურით. თუმცა ანტიური კულტურის იდეოლოგია პრინციპიალურად ეწინააღმდეგება მარქსიზმს. ვ. ი. ლენინი ტოლსტოის გენიალურ მხატვარს უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოიზმი იდეურათ ამზადებდა 1905 წლის რევოლუციის დამარცხებას. ამისი გასაღები იმ გარემოებაშია, რომ როგორც მარქსი, ისე ლენინი ებრძოდნენ რა ბურჟუაზიულ იდეოლოგიას მხატვრულ ნაწარმოებშიაც, უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ იმ მხატვრულ ხერხებს, რომლითაც ხელოვანი ახდენს ამა თუ იმ განწყობილების სისტემატიზაციას; ამიტომ მარქსისათვის ანტიური კულტურა მხოლოდ ფორმალური მხრივ იყო მხატვრული სტანდარტის შემცველი, და ლენინისათვისაც ტოლსტოი-ხელოვანი გენიალური იმისათვის იყო, რომ მან მხატვრული ძალით შესძლო გაღატაკებული და მისტიციზმით შეპყრობილ გლეხობის სულისკვეთების ყოველმხრივი გადმოშლა. აქედან გამომდინარეობს მხოლოდ ერთი დასკვნა: მხატვრული ნაწარმოების შეფასება უნდა მოხდეს როგორც სოციოლოგიური მხრივ, ისე ფორმალური მიმართულებითაც; ე. ი. უნდა გაირკვეს არა მარტო ის, თუ რაზეა ლაპარაკი, აგრეთვე ისიც თუ როგორაა ლაპარაკი. თეორეტიულად მარქსისტული კრიტიკა მონუმენტალურია; მასში ეს ორი მომენტი—სოციოლოგიური და ესთეტიური—ორგანიულად გაერთიანებულია; ასე ესმოდა ის პლეხანოვს, ლენინს; ასე ესმის ის დღეს ბუხარინს, ლუნაჩარსკის, ფრიჩეს და სხვ. მე მგონია ასე უნდა გვესმოდეს მხატვრული კრიტიკის ამოცანა ჩვენც. ამიტომაც საჭიროა ფორმალურ ნიჰილიზმს ისეთივე ბრძოლა გამოეცხადოს მხატვრულ კრიტიკაში, როგორც მემარჯვენე განხრას ლიტერატურაში.

ლიტერატურული კრიტიკის კრიზისმა თავისი უარყოფითი დაღი დაასვა თეატრალურ კრიტიკასაც. სპექტაკლების ფორმალური განხილვის უგულებელყოფამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო წითელი თეატრის დამარცხებას ჩვენში და თბილისის მუშათა თეატრის მავნე „სტაბილიზაციას" ფორმალურ მიღწევათა სფეროში. მაგრამ მეორეს მხრივ ხდება საწინააღმდეგო პროცესი: თეატრალური საზოგადოებრიობა იზრდება, თეატრალური მაყურებლის ჰორიზონტი ფართოვდება, თეატრალური კულტურა იპყრობს ახალ მაყურებელს. აუცილებლად ამის შედეგია საქართველოში ორი სახელმწიფო თეატრის შექმნა, რომელთა შორის იდეური ჭიდილია გამართული. თეატრალური საზოგადოებრიობის ზრდის პროცესთან ერთად ხდება თეატრალური კრიტიკის გამრუდება. მისი ჭორიკანობის მოტივებით ავსება, მისი პერსონალური ლვარძლიანობის ხაზებში გაშლა. არ იქნება გადამეტება თუ ვიტყვით, რომ დღეს თეატრალური კრიტიკა თეატრალურ მავნებლობათ—**театральное вредительство**—გადაიქცა. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ჟურნალ „ქართული მწერლობის" უკანასკნელი ნომერი (10—11), რომლის სათეატრო განყოფილება მიძღვნილი აქვს „ანზორის" დადგმას რუსთაველის თეატრში. მოთავსებულია რამოდენიმე წერილი. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ მეტად დამახასიათებელ წერილზე.

„ანზორის" დადგმით რუსთაველის თეატრმა ორი რამ გამოარკვია: ერთი, როგორია უმთავრესი გეზი—მათი მხატვრული შემოქმედებისა, და მეორე, რომ ეს თეატრი საბოლოოთ განშორდა „აკადემიურ" ტრადიციებს და თავის პრაქტიკულ საქმიანობის არეთ რევოლუციონური რეპერტუარი გაიხადა. „ზარია ვოსტოკა"-ში სამართლიანად აღნიშნავდნენ რომ ფორმალური ძიების მხრივ რუსთაველის თეატრი ამჟამად მუშაობს აქტიორის მოძრაობის პრობლემაზე, რომ ამ მოძრაობის გაშლისათვის საჭიროა განდევნა სცენიური მოედნიდან ორ განზომილიან სივრცის და რეფლექსოლოგიის პრინციპების დამკვიდრებით სცენიურ შემოქმედებაში შექმნა მსახიობის აღზრდის ისეთი სისტემის, **სადაც ნების ძლიერი მომენტით დაჭერილ იქნება სპეციფიურად თეატრული შემოქმედების.** ამ ფუნდამენტალურ პრობლემასთან ორგანიულად დაკავშირებულია საკითხი დიალექტის, სინათლის, ბგერის და მუსიკის შესახებ. „ანზორში" დაყენებულია ყველა ეს ფორმალური პრობლემები და ამიტომაც საჭიროთ იყო მისი ამ მხრივაც შეფასება. მაგრამ ეს ვერ გაიგო „ქართული მწერლობის" რედაქციამ, რომელმაც ჩიქოვანის უპასუხისმგებლო რეცენზიის სახით ბავშური ტიტინს მოჰყვა „ანზორის" შესახებ. მტკიცება იმისა, რომ „ანზორი" თავიდან ბოლომდე რევოლიუციონური პიესაა—ნიშნავს ელემენტარული ჭეშმარიტების ბიბლიურ გაზეპირებას, მთელი იდეური ღირსება „ანზორის"-ა იმაში მდგომარეობს, რომ იქ წითელი ზოლივით გატარებულია ის აზრი, რომ რევოლიუცია იმარჯვებს მაშინ, როდესაც მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მჭიდრო კავშირია დამყარებული. სამჯერ ამბოხებული მუშები თეთრების წინააღმდეგ მარცხს განიცდიან იმიტომ, რომ ისინი მცირერიცხოვანნი აყვნენ. პეტროვსკი გარშემორტყმული იყო გლეხობით, რომლებიც მუშებს ჯერ-ჯერობით ვერ ეხმარებოდნენ. საკმარისია პარტიზანების ამოძრავება, საკმარისია მათ მიერ თეთრების ჯავშანის ხელში ჩაგდება, რომ მუშებმა გაიმარჯვონ და პეტროვსკის აღებით გზა გაიკაფონ ბაქოსაკენ. თბილისის მუშათა კლასმა მიიღო „ანზორი" როგორც საკუთარი წარმოდგენა. ამის ცოცხალი მეტყველია ოცდა ხუთი ანშლაგი. ის დიდი ენტუზიაზმი ბრძოლისა, რასაც იწვევს ეს სპექტაკლი მუშა-მაყურებელში საუკეთესო ნიშანია ანზორის როგორც რევოლიუციონური პიესის სრული გამარჯვების. სიხარული და პათოსი ბრძოლის, რწმენა და ასრულება გამარჯვების.—აი რა ახასიათებს ამ პიესას. მაგრამ დახეთ დაცინვას!: ჩიქოვანი, სერიოზული ლიტერატორის ტონით საბჭოთა ჟურნალის ფურცლებზე სწერს შემდეგს: „ანზორი" ისტორიულად რეაქციონური მოვლენაა და ეს გამოტანილ უნდა იქნეს დღის სინათლეზე"-ო. ამრიგად რევოლიუცია რეაქციათ შეაფასის. ხოლო ჟურნალის რედაქცია ამ დებულებებს სადისკუსიოთ (sic!) აცხადებს. სად იყო ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. ხ. ხუნდაძე, როდესაც რევოლიუციის „რეაქციონური" შინაარსი „დღის სინათლეზე გამოჰქონდათ" ვიღაც არა მცოდნე ავტორებს?? ნუ თუ არ იცის რედაქტორმა-კომუნისტმა, რომ ასეთ შემთხვევაში „ღრმათ პატივცემულ ავტორებს" რედაქციის კარებს უჩვენებენ და თავის გონებრივ ნაცოდვილევით უკანვე აბრძანებენ? ნუ თუ დაავიწყდა ჟურნალ „ქართულ მწერლობას", რომ ჩვენი რევოლიუციის პროგრესიული და სოციალისტური ხასიათი სადისკუსიოთ და პრობლემატიურად მხოლოდ პროლეტარიატის დაუძინებელი მტრებისათვის არის მიჩნეული? ჩიქოვანი ეკუთვნის „მემარცხენეთა" (sic!) ჯგუფს და თუ ჯგუფი იზიარებს მის ასეთ დებულებებს. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი „მემარცხენეები" კოლექტიურად დაექანენ რეაქციისაკენ. ჩიქოვანის რეცენზია დაწერილია მავნე ტენდენციურობით. აბა რით უნდა აიხსნას მისი მტკიცება, თითქოს „ანზორის" გარევოლიუციონერება ხდება შურის-ძიების ნიადაგზე", ავტორს არ უნდა დავიწყებოდა ის გარემოება, რომ ანზორს ჯერ არც კი ჰქონდა გაგებული ამბავი თავის ოჯახის ამოწყვეტის შესახებ, რომ მას უკვე ხდებენ ბრალს რუს-მატროსებთან (ბოლშევიკებთან) კავშირში (1-ლი მოქმედება. სცენა: მირზას, ანზორის და აბბას შეხვედრა), ხოლო მას შემდეგ, როცა მას თეთრები ოჯახს ამოუწყვეტენ ის უფრო აქტიური ხდება და პირადი შურისძიება გადააქვს იმ რეჟიმის მოსპობისაკენ, რომელიც არ აძლევს ადამიანური ცხოვრების საშუალებას: მეზანარეს, წვრილ გლეხს, ქალაქის მუშას, სოფლის მუშას და სხვ. (მესამე სურათი). ანზორი ღრმათ არის დარწმუნებული, რომ გლეხობის განთავისუფლებისათვის საჭირო ხელმძღვანელობა იმ კლასის მხრივ, რომლებმაც იცის „ტექნიკური"—და ასეთია მუშათა კლასი. მაგრამ ჩიქოვანს მთელი გლეხობა კულაკობათ ჰყავს წარმოდგენილი. „შურის მაძიებელ გლეხების, უფრო გარკვევით კულაკების, მოწინავეობა მუშების მიმართ წარმოუდგენელია"—სწერს ის. ჯერ ერთი: ვინ წასჩურჩულა „მემარცხენე" ჩიქოვანს, რომ აჯანყებული მთიელი გლეხები თეთრების წინააღმდეგ კულაკები არიან. ნუ თუ არ იცის ჩიქოვანმა, რომ თეთრები კულაკების ოჯახს არ სწვავდნენ, რომ—პირიქით—კულაკები თეთრების დასაყრდენი ბაზა იყო სოფლათ სამოქალაქო ომის პერიოდში, და რომ ანზორი კულაკი რომ ყოფილიყო მას რუს მატროსებთან კავშირი არ ექნებოდა დაჭერილი და ოჯახსაც არ ამოუწყვეტდენ თეთრგვარდიელები. მაგრამ ჩვენი ავტორი აქ არ ჩერდება: ის ღრმა „პოლიტიკურ სიბრძნესაც" იჩენს: თურმე ნუ იტყვით: ესერული ათვისება ყოფილა რევოლიუციის როდესაც ჯავშანოსანით მოსულმა ანზორმა თავის პარტიზანებით „გამბედაობა შემატა მუშათა რაზმს. პეტროვსკში სამრეწ. პროლეტარიატი რაოდენობით ძლიერი არ იყო და თანაც ის მოწყვეტილი იყო პროლეტარულ ცენტრებს. და ამიტომაც ახალი მებრძოლი რაზმის მოსვლა ჯავშანოსნით, რასაკვირველია უფრო გაამხნევებდა მუშებს. ეს ელემენტარული ამბავია, რა შუაშია აქ ესეროვშჩინა. ნუ თუ რევოლიუციის ბოლშევიკური „ათვისება" უარჰყოფს დამხმარე ძალის საჭიროებას, განსაკუთრებით როდესაც ასეთი ფიზიკური დახმარება გლეხობისაგან მოდის?? ჩიქოვანის მთელი მსჯელობიდან ერთი დასკვნა ლოღიკურად გამომდინარეობს: მუშათა კლასს არ სჭირია გლეხობის დახმარება, ვინაიდან მთელი გლეხობა კულაკობაა, ამ დებულებაში მთელი ასი პროცენტით ნამდვილი მენშევიზმი, ნამდვილი კონტრ-რევოლიუციაა მოცემული, რადგანაც თუ საშუალო და ღატაკი გლეხობა „გაკულაკებულია" და მაშასადამე რევოლიუციის მთავარი დასაყრდენი ფაქტორი—კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მოხსნილია. აი სანამდის მივიდა „მემარცხენე" ავტორი, აი როგორ აფასებს რევოლიუციას დისკუსიებში შეყვარებული ჟურნალი „ქართული მწერლობა". აშკარა სიბეცეა აგრეთვე იმის მტკიცება თითქოს რუსეთის რევოლიუციონური სინამდვილე „ლოკალურად" იყო დანაწილებული. კურიოზობა ამ სიბეცისა იმაში სჩანს, რომ ეს „ლოკალი" ჩიქოვანს წარმოუდგენია როგორც ფეოდალური კარჩაკეტილობა: თითქოს ყოველ კუთხეში თავის საკუთარი რევოლიუცია ჰქონდა საკუთარი მიზნებით და საკუთარი მეთოდებით. „ჩრდილოეთ-კავკასიაში, ბაქოში და პეტროვსკში, სწერს ჩიქოვანი, სულ სხვა **ხასიათის** და **კონსტრუქციის** (ხაზი ჩემია შ. დ.) რევოლიუციონური მოძრაობები იყო".

აქაც აბსოლუტური არ გაგება რუსეთის დიდი რევოლიუციის, რომელმაც თავის **სოციალისტური** ხასიათით მოსპო ყოველგვარი შესაძლებლობა „ლოკალური" „რევოლიუციების": ბრძოლა მემამულეების და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის—აი ხასიათი და მიმართულება რუსეთის რევოლიუციის. მაგრამ მუშათა კლასს ახსოვს 1905 წლის გაკვეთილი, როდესაც გლეხობამ მას მხარი არ დაუჭირა, რითაც ხელი შეუწყო მან რეაქციის გამარჯვებას. ამიტომ 1917 წლის რევოლიუციაში პროლეტარიატი უკავშირდება გლეხობას და რევოლიუცია იმარჯვებს. მჭიდრო კავშირი პროლეტარიატისა გლეხობასთან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით—აი „კონსტრუქცია" რუსეთის რევოლიუციის. ეს ხასიათი და „კონსტრუქცია" ერთი იყო ყველგან. რუსეთის იმპერიის სივრცეზე და ამიტომაც ლაპარაკი ამ შემთხვევაში რაღაც „ლოკალზე" არის არგაგება, ან და, უფრო სწორათ, არცნობა რუსეთის რევოლიუციის, როგორც პროლეტარული რევოლიუციის დროს.

ჩიქოვანმა ვერ გაიგო აგრეთვე თუ რა აზრი აქვს ჩინელის გამოყვანას პიესაში. ჯერ ერთი: ჩინელებით ბაქო და პეტროვსკი სავსე იყო რევოლიუციამდის.

ჩინელი მუშები ისევე ყველგან განიცდიდნენ [illegible] და მუსავატელებისაგან, როგორც თვით ბაქოელი მუშები, მეორეთ: ჩინელი ეს არის ზოგადი სიმბოლო ევროპული იმპერიალიზმის ყველაზე ობიექტისა აღმოსავლეთში. ჩინელის გამოყვანით პიესაში ხაზგასმულია ის ძმური სოლიდარობა, რასაც ამჟღავნებს ჩინელი ხალხი კერძოდ და აღმოსავლეთის ჩაგრული ერები საზოგადოთ, რუსეთის დიდი რევოლიუციის მიმართ. ეს იდეური აზრი ვერ გაიგო ჩიქოვანმა, რის გამო ჩინელის გამოყვანა პიესაში მან ხელოვნურად გამოაცხადა.

რაც შეეხება დიალექტს, აქ ჩიქოვანი დეკლარატიულად აცხადებს, რომ „დიალექტს პიესის გასაუბედურებლად მიმართა ავტორმა, რომ დიალექტი მეგრულ, კინტაური. ებრაულ და ჩინურ ჟარგონიებათ გადააქცია" და სხ. და სხ. დიალექტი ეს არის „ლოკალური" ბგერითი თავისებურობა მეტყველების. ეს თავისებურობა ყოფა-ცხოვრებისა და მოძრაობისაგან არის დამოკიდებული. შეუძლებელია კოლექტიურად ლეკების გამოყვანა სცენაზე, რომ მათ დაუკარგოთ თავისი განსაკუთრებული მოძრაობა და განსაკუთრებული დიალექტი. უდიდესი მიღწევა ანზორის დადგმაში იმით განისაზღვრება, რომ ა. ახმეტელმა მთელი დადგმა მათემატიკური სისწორით მასიურ მოძრაობაზე ააშენა. მოძრაობის მათემატიზაციამ შექმნა აბსოლუტური რიტმი, სადაც დაჭერილია ტონი და ხასიათი „მკაცრ" მთიულის. საჭირო იყო ამ რიტმის ბგერებშიც გადატანა, რომ ლეკის მეტყველების ბგერითი გარეგნობას განსაკუთრებული ხაზი გაესვა ლეკის შინაგანი ხასიათისათვის. ამდენათ დიალექტის შემოღება ანზორში აუცილებლად გამართლებულია. ჩიქოვანს უნდა დაემტკიცებია, რომ დიალექტი სრულებითაც არ გამოხატავს ტიპის სულიერ თავისებურობას და შემდეგ შეეძლო მას უარეყო დიალექტის შემოღების აუცილებლობა. მეტის მეტად კომიკურია აგრეთვე მსჯელობა თითქოს პიესას არ აქვს კონსტრუქცია, რომ ის ეპიზოდებათ იყოს აშენებული, რის გამოც მასა პიესაში თითქოს მექანიკურად იყვეს შეყვანილი. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ კაცი, რომლის ლიტერატურული პრეტენზიები მეტის მეტად „ფართოა", გაერკვეოდა იმ „პატარა" საკითხში რომ სიუჟეტის მთლიანობა ანზორში აბსოლიუტურად უზრუნველყოფილია. ეპიზოდებათ დანაწილება პიესის ნიშნავს, როდესაც მოქმედებათა შორის ორგანიული კავშირი არ არის, ასეთი პიესა წარმოადგენს ქრონიკას და მეტს არაფერს. სულ სხვა მდგომარეობაა ანზორში. აქ პირველი მოქმედება ლოღიკურად წინამძღვარია მეორესი, ხოლო მეორე მოქმედება უაზროა მესამეს გარეშე და ასე ბოლომდის. პარტიზანების მზადება ჯავშნოსნის ასაღებათ, ჯავშნოსნის აღება და ბოლოს პეტროვსკში შესვლა—ნუ თუ ეს არ არის სიუჟეტი.

აქ თავდება ჩიქოვანის „მსჯელობა". შემდეგ იწყება ყოვლათ მახინჯი ჭორი. ამხ. შ. დანიძის რეცენზიამ „ზარია ვოსტოკა"-ში წონასწორობა დაუკარგა ჩიქოვანს, რომელიც სულ იმის ცდაშია, როგორმე მორალურათ დახცეს რუსთაველის თეატრის ორგანიზმი. „მხოლოდ „ზარია ვოსტოკა"-ში ვიღაც რეცენზენტი შ. დანიძე აღტაცებაში მოიყვანა ამ დადგმამ. გამოიტანა რეცენზენტის ყანწი და სადღეგრძელო სთქვა"—სწერს მკვეხარა თამადის ტონით ჩიქოვანი. „ვიღაც" შ. დანიძეს ჩემი დაცვა არ სჭირია. ალბათ თავის თავს თითონ ის უკეთ დაიცავს. მხოლოდ აღსანიშნავი აქ ის არის, რომ მელიას რაც ესიზმრებოდა ის ელანდებოდა: ჩიქოვანმა თავის ლიტერატურული „კარიერა" რუსთაველის პროსპექტზე სადღეგრძელოებით და დებოშებით დაიწყო და ამის შემდეგ მას შესწევს კიდევ გამბედაობა მოიჭოროს „ვიღაც დანიძის" შესახებ რაღაცეები?

ასეთი „რეცენზიები" სწამლავენ თეატრალურ ატმოსფერას და თითქმის შეუძლებლად ხდიან ნორმალურ შემოქმედებითი მუშაობას. თეატრალური კრიტიკიდან უნდა წაიშალოს ნათესაობის, ლვარძლიანობის და მავნე ტენდენციების შტრიხები. სალი თეატრალური პოლიტიკისათვის ორი თეატრალური ორგანიზმის საჭიროება აუცილებელია. დე, მათ შორის იყოს იდეური ჭიდილი, ფორმალური სხვაობა, ამ ჭიდილისაგან მოიგებს საბჭოთა საზოგადოებრიობა და სალ თეატრალურ კულტურას მყარი ნიადაგი ჩაეყრება. სასტიკი კრიტიკა ორთავე თეატრებს, მაგრამ ეს კრიტიკა უნდა სალი და არა ლვარძლიანობით აღსავსე. ლვარძლიანი კრიტიკა—თეატრალური მავნებლობაა და მას ისევე უნდა ებრძოლოს პროლეტარულმა საზოგადოებრიობამ, როგორც ყოველგვარ მავნებლობას სოციალისტურ მშენებლობაში.

შ. დუდუჩავა.

ჭიათურა

რგანის მაღაროებში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თუ გინდათ ნახოთ, რა სახით დაგვიტოვეს ამერიკელებმა შავი ქვის მადნის სარეცხი ქარხნები, უნდა ინახულოთ რგანის (ანუ ჭალის) ღელე.

რგანის ღელე, უკეთ რომ ვსთქვათ, რგანის ხეობა, გაჭიმულია რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე და თავდება ჭიათურაში, სადგურის გასწვრივ.

ხეობა მეტად ლამაზია, შემოზღუდულია მაღალი კლდოვანი მთებით, რომელთა შუა მიმდინარეობს შავი, უსახელო პატარა მდინარე. ეს მდინარე ერთდაიმავე დროს რეცხავა შავი ქვის მადანს და ამუშავებს უამრავ პატარა წისქვილებს, რომლებიც მერცხლის ბუდეებისავით მიჭკვრიან მთის კალთებს.

ამ ღელეში გამართულია 10 მადნის სარეცხი ქარხანა. ეს ქარხნები ს. მ. უ. საბჭოს შავი ქვის სამმართველომ გადასცა კონცესიონერს სავსებით მოწყობილი. მან კი ქარხნები დატოვა ისეთ მდგომარეობაში, რომ მათი ამუშავება შეუძლებელი შეიქნა.

საცოდავად გამოიყურებიან ნახევრად დანგრეული ქარხნები. კონცესიონერს თავი არ შეუწუხებია ამ ქარხნების დასაცავად და გამვლელ-გამომვლელი, ვისაც კი არ ეზარებოდა, სცარცვავდა ქარხნებს.

შავი ქვის ტრესტმა ჩაიბარა თუ არა ჭიათურა, შეაკეთა და აამუშავა სამი ქარხანა. ამ რამოდენიმე დღეში ამუშავდება ქარხანა № 9, რომლის რემონტი თითქმის დამთავრებულია.

⁂

რგანის ღელეში მდებარე ქარხნებიდან გარეცხილ მადანს სადგურამდე ეზიდებიან ურმებით. თითო ურემს ჯერზე მიაქვს 50 ან-100 ფუთამდე.

საურმე გზა მეტად ცუდია. წვიმის დროს იგი თითქმის გაუვლელია ტალახის გამო.

ყოველდღიურათ რამოდენიმე ათეული მუშა ასწორებს გზას, უყრის ლორღს, მაგრამ ეს არ შველის გაჭირვებას და ხარები და კამეჩები რამოდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, აღარ ვარგანან უღელში შესაბმელად.

ტრესტმა საჭიროდ სცნო საჰაერო გზის აგება რგანის ღელეში და ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯები. სპეციალისტების მიერ შესწავლილია ღელე, შედგენილია პროექტი და მალე საჰაერო გზა შესცვლის ურმებს თავისი ხარებით.

საჰაერო გზა დიდათ გაადიდებს წარმოებას, გაფართოვდება მაღაროების რიცხვი და რგანის სექცია დაიჭერს პირველ ადგილს ჭიათურაში, რადგან აქაური შავი ქვა საუკეთესო ხარისხისაა.

⁂

რგანის მაღაროებისაკენ ღელიდან უხვევს გზა მარცხნივ. გზა აღმართიანია და ცხენსაც უჭირს სიარული.

ხშირი მიხვევ-მოხვევა თავბრუს ჰხვევს ადამიანს მაგრამ, აქაური მუშები უშიშრად მიაბიჯებენ კლდოვან გზაზე—შეჩვეულები არიან.

როდესაც უახლოვდები რგანის მაღაროებს, პირველად თვალში გეცემა მოზრდილი შენობა, სადაც მოთავსებულია ადგილკომი, მუშების საცხოვრებელი ბინები, სამკითხველო და კლუბი.

რგანის მაღაროები ოდესღაც ეკუთვნოდა მრეწველ სვიმონიშვილს, დღესაც ასე უძახიან ამ მაღაროებს და საჭიროა, რომ დაჩქარებით შეეცვალოს ეს ძველი სახელები მაღარო-ქარხნებს.

ამ მაღაროებში დღეს დაბანდებულია 817 მუშა.

მაღაროებმა მუშაობა დაიწყეს მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში, სექტემბრიდან მიმდინარეობდა მაღაროების კაპიტალური რემონტი. ამუშავებული ჯერ-ჯერობით 4 მაღარო, მალე მზად იქნება კიდევ 1 მაღარო.

დამწვარი ქარხანა ყოფ. კარუტოსი.

ნოემბრის განმავლობაში რგანის მაღაროებიდან ამოღებული იყო 9.856,15 ტონა მადანი (601.698. ფუთი).

აქაური მუშები ამბობენ, რომ კონცესიონერის და კერძო მწარმოებლების დროს არა ყოფილა შემთხვევა, რომ რგანის მაღაროებს მიეცათ ამდენა მადანი.

დღეს თითო მუშაზე მოდის 125 ფუთი მადნის გამომუშავება საშუალოდ, რაც წარმოადგენს სარეკორდო ციფრს.

ადგილკომის მდივანი ამხ. ხვედელიძე ამბობს, რომ მუშებმა კონცესიონერის წასვლის შემდეგ გამოიჩინეს დიდი აქტივობა და ყოველმხრივ უწყობენ ხელს წარმოების გაფართოებას.

მუშების წინადადებით გადახალისებულ იქნა რკინის გზის ლიანდაგი და მოტანილი დიდი ზომის ვაგონეტკები. მათვე შეიტანეს წინადადება, რათა დაგებულ ყოფილიყო მაღაროებიდან ესტაკადამდე ლიანდაგის მეორე ხაზი, რაც დიდათ შეუწყობს ხელს მადნის გამოზიდვას მაღაროებიდან.

შეუძლებელია ჩამოთვლა ყველა იმ გაუჯობესებების, რომლებიც შეიტანეს მუშებმა წარმოებაში.

ამავე დროს მუშები ამბობენ, რომ ადმინისტრაცია ხშირად იჩენს გულგრილობას და არ აქცევს ყურადღებას მუშების კანონიერ მოთხოვნილებას.

წარმოების გაფართოება-წინსვლას რგანში ხელს უშლის ბინების უქონლობა.

როგორც იყო ნათქვამი, რგანში ამ ჟამად დაბანდებულია 317 მუშა. ბინებში მოთავსებულია მხოლოდ 100 კაცი. დანარჩენ 217 მუშას უხდება სიარული შორი სოფლებიდან ხშირად 12—15 კილომეტრამდე. დაღლილ-დაქანცულ მუშას უეჭველია ვერ მოეთხოვება მუშაობის ნაყოფიერების გადიდება.

მაღაროებთან არ არის თავშესაფარი ავდრის დროს და მუშებს უხდებათ ცდა მუშაობის დაწყების წინ ცის ქვეშ, ავდარში და ქარში.

ზამთარი, უეჭველია, უფრო გაართულებს მდგომარეობას.

მოსაგვარებელია აგრეთვე სასმელი წყლის და პირისაბანის საკითხი. სასმელი წყლის მოტანა წყაროდან ჯდება ყოველდღიურათ 15 მანეთი. პირისაბანი პატარაა და არ ყოფნის ყველა მუშებს.

მუშკოოპს გახსნილი აქვს თავისი განყოფილება, მაგრამ, ამ განყოფილებაში არაფერი არ მოიპოება პურის და პაპიროსის მეტი. ნუ თუ არ შეიძლება რგანის განყოფილების მომარაგება ყველა იმ საქონლით, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საგანს წარმოადგენს მუშებისათვის. ამას უნდა ჩაუკვირდეს ჭიათურის მუშკოოპი.

რგანის სასადილო დღევანდლამდის კერძო პირის ხელშია, რაც პირდაპირ დაუშვებელია.

არის ერთი გარემოება, რასაც კავშირებმა და ტრესტმა უნდა მიაქციონ ყურადღება. როგორც რგანში, ისე სხვა სექციებში, **არ არის არც ფერშალი, არც ექიმი.** უბედურ შემთხვევის დროს, არ არის ისეთი პიროვნება, რომელიც შესძლებს აღმოუჩინოს პირველი დახმარება მუშებს. წამლები ყველგან მოიძებნება, მაგრამ, ამ წამლების გამოყენება კი არავინ იცის.

იმისთანა დიდ სამუშაოებზე, როგორიც არის რგანი, თაბაგრები, მღვიმევი და სხვა, საჭიროა თითო ფერშლის მიმაგრება,—მით უმეტეს, რომ რგანის მაღაროებში არ არის გაყვანილი ელექტრონის ხაზი და ყოველთვის მოსალოდნელია უბედური შემთხვევა.

⁂

კულტურული მუშაობა რგანის მაღაროებში არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. ამასაც ხელს უშლის უბინაობა.

კლუბი, კინო სამკითხველო, წრეების სამეცადინო ოთახი, სალიკვიდაციო სკოლა—ყველა ეს მოთავსებულია ერთ დარბაზში.

კულტკომისიას ჩამოუყალიბებია ჯერ-ჯერობით მხოლოდ დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურად მართავს წარმოდგენებს.

წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლაში ირიცხება 80 კაცი. სკოლას ჯერ არა აქვს მიღებული სახელმძღვანელოები.

ბიბლიოთეკა ძალიან ღარიბია და საჭიროა შევსება ლიტერატურით.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა,
20 დეკემბერი

ფირმების ქონების შესყიდვა

(ტელეფონით)

ჭიათურის შავი-ქვის ტრესტის მმართველმა ამხ. მოდებაძემ და ფირმა „ორგუსტ“ და „სილმან“-ის წარმომადგენელმა მოქ. ზირმანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალით 21 დეკემბრიდან ხსენებულ ფირმების მთელი ის ქონება, რომელიც იმყოფება ჭიათურაში, გადავიდა ტრესტის განკარგულებაში.

ჭიათურის შავი-ქვის ტრესტი ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას ბელგიელ ფირმა „ნიულს“-თან ამ ფირმის ქონების შესყიდვის შესახებ. ხსენებულ ფირმას ჭიათურაში აქვს სახლები, ქარხნები და ქარხნების მოწყობილობა.

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის მმართველი ამხ. მოდებაძე დღეს გაემგზავრა თბილისში.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა,
21 დეკემბერი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლეკტივი აცხადებს რომ დღეს, 22 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე სტუდენტთა კლუბში მოწვეულია გაერთიანებული კომუჯრედის და კომკავშირის შეერთებული კრება. განსახილველია ფრიად სერიოზული საკითხები. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

დღეს, 10 საათზე ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელსაც უნდა დაესწროს შემდეგი ამხანაგები: კიკნაძე („კომუნისტი“), სიხარულიძე („მუშა“), მესროპოვი (ა.-კ. საოლქო კომიტეტი). ვოლსკი („ახ. კომუნისტი“), სიხარულიძე („მოჯამაგირის ხმა“), ბარათაშვილი („ახ. სოფელი“), არეშიძე („წითელი არმიელი). ფაიცხაია (აჭარისტან. საოლქო კომიტ.).

—:—

26 კომუნარის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 22 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მიმღები კომისიის სხდომა. ქვემოთ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ნერსეს სიმფულოვი, ლევონ აგანჯანოვი, ბორის გრიშბაბი, გიორგი დატიტაშვილი, სერგო ბაბიანი, ალექსანდრე გაგუა, ვარლამ კაკაბაძე, ნიკოლოზ შევალეევი, არკადი კავჩენოვი, ივანე შადათუაშვილი, ალექს. ინოჭიძე, გრიგოლ შაუმიანი, პეტრე პოზნიაკოვი, ალექს. ყურაშვილი, პეტრე დენიაკი, კარაპეტ მინასიანი, სიმონ აფრიამოვი, ვასილ ღვინიაშვილი არუთინ ავეტისოვი, ალექსი ხაჩატუროვი, არუთინ კარაპეტოვი, არუთინ კეშიშიანი, ალექსანდრე კარაპეტიანი, ალექსი კიკნაძე, გიორგი ნაროუსლიშვილი მარო მანჯგალაძე, იულიტა დარჩიაშვილი, სერგო გალოსტოვი, აბდულა გაჯიევი, დავით კაშია, არშაკ სტეფანიშვილი, ალექსანდრე არაქელოვი, ალექს. არაქელოვი, ზაქრო კაკალოვი, მიხეილ კაპანაძე გიორგი მათიაშვილი, გრიგოლ გაგოშიძე, ლეონტი სხირტლაძე, გიორგი არჩაია, ილია გოჩმაზოვი, ნიკოლოზ ჯიჯიანოვი, ლუკა კვინტრაძე, აქსენტი კოკაია, კიროპ ელჩიანი, გარეგინ ტულიევი თადეოზ ოგანიზოვი, ანა ოქსიანიკოვა, მიხეილ მილინსკი, გალაკტიონ ნასარიძე, რუბენ ბაბიანი, პოლიკარპე კვიცარიძე.

შაბათს, 22 დეკემბერს, საღ. 7 საათზე შესდგება ლენინის სახ. სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის კომუჯრედის მორიგი დახურული კრება.

—.—

დღეს, 22 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საავიტ.-საპრ. განყოფილებაში უნდა გამოცხადდენ ყველა ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომლებიც გაგზავნილი უნდა იქნენ მაზრებში საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად:

დოლიძე (ტრამვაი) ტოდირაძიშვილი (26-ის სახელობის ქარხანა). მგალობლიშვილი (ტრამვაი), ბოჩაროვი (მთავარი სახელოსნოები), ვართანოვი („ზაკავტოპრომტორგი“), მიქელოვა (ქართული მუშფაკი), კობახიძე (სტალინის სახ. ქარხანა). თევზაძე (იქიდანვე), თაქთაქიშვილი (იქიდანვე), არეშიძე (იქიდანვე) მელიქაძე (იქიდანვე). გოგოლიშვილი (დეპო), ნასყიდაშვილი (იქიდანვე), ლელაშვილი (სავაგონო პარკი). გელაშვილი (იქიდანვე), ქურჩიშვილი (ტრამვაი), შამილ-ოღლი (ტრამვაი). ჩუხრუკიძე (ტრამვაი). მინასაშვილი (ტელეგრ. სახელოსნოები), სტეფანოვი (არსენალი). ალილოვი (26-ის სახ. ქარხანა). კლიაჩკინი (როზა ლიუქსემბურგის სახ. ქარხანა). კლარა კინ (იქიდანვე), ბუხუდაროვი (ქარხანა „პროლეტარი“), ა. კარგარეთელი (იქიდანვე), ორბელოვა (იქიდანვე) კაიტაჯიანი (ფეხსაცმელების ფაბრიკა). მიხაილოვი (საპონ-ზეთის ფაბრ.). პატარკაციშვილი (ნავთლუღი). გოგიბერიშვილი (სასაკლაო), წამალაშვილი (სამხ. წისქვილი). კურატაშვილი (მაკარონის ფაბრიკა), ასატურ აზაროვი (მშენებლები № 1), ყურბან გასან-ზადე (აბანოები) ტერაბოვი (ტყავის ქარხანა № 1), ომიკაშვილი (წყალსადენის სახელოსნოები). ჯაჯახოვი (მკერავები № 1), მიჩიტოვი („ზაკავტოპრომტორგ“) შუბლაძე (იქიდანვე). ტამიროვი (ლიტოგრაფია). ჯიშკარიანი (კოლოფების ფაბრიკა), სერაფიონ დათეშიძე (1-ლი სტამბა) არშინაკ ათაბეკოვი (თემქა). კოტაბაძე (ფოსტ.-ტელ. სამ.) ბადალოვი (მშენებლები), თეთრაძე (მესამე სტამბა). ივანე ოგანეზოვი (გაერთ. სახ. პოლიტ. სამმართველოს სტამბა). სტეპკო ფილარიანი (ლიტოგრაფია), გიორგი დალაქიანი (მეხუთე სტამბა). გიორგი ნატახტიანი (თელასი), მიხ. ოციაშვილი (კოლოფების ფაბრიკა).

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს, გარდაიცვალა ყოფილი „დროების“ რედაქტორის ს. მესხის მეუღლე მწერალი

ეკატერინე გრიგოლის ასული მესხი

რასაც მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძმისწული მარიამ ამირაჯიბისა და შვილისშვილი ნატალია ცოლოლი. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე კრასნოგორსკის ქ. 31. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, კვირას 1 ნახ. საათ.
6047 2—1

ივანე მესხი ოჯახით, დავით [illegible], ეფემია მესხი, [illegible] გაერეკელი შვილებით და ნატალია მესხი [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 20-ს ამა დეკემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი რძალი

ეკატერინე გრიგოლის ას. მესხისა

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. გამოსვენება კვირას, 23 დეკემბერს, 1 საათზე—საკუთარ ბინიდან: კრასნოგორსკის ქ., № 31.
6052

დამწუხრებული [illegible], ბიძაშვილები: გიორგი, გაბო, ტიტიკო, სიმონ და შალვა, რძლები: ნატაშა და თებრონე გოგოლიშვილები, ექიმი გიორგი ღოღაბერიძე ოჯახობით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

ნოე იოსების-ძე გოგოლიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 23 დეკემბერს, 1 საათზე ლეგიონის კლუბიდან (პეტკოვის ქ. № 119) ვერის ახალ სასაფლაოზე.
6046

დამწუხრებული სიძეები: ივანე საბაშვილი და [illegible] ჩხატარაიშვილი შვილებით, დეიდა ტერეზია, ელიზბარ და ვანო შერვაშიძეები, დისშვილები: ოლია და მილუშა საბაშვილები, თინა და ბესიკო კორძაიები, თამარა და სერაფიონ თოფურიძეები დასტირიან ძვირფას
6046

ნოე იოსების-ძე გოგოლიშვილის

დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი—ქართულ ლეგიონის კლუბში ელისაბედის ქუჩა, № 19, 22 დეკემბერს, საღამოს - საათზე.
6046

ღრმად დამწუხრებული შვილები: მარო, თამარი, ნიკოლოზი და [illegible], რძლები: [illegible] რაისა და ქეთო: შვილიშვილები: ნათელა, თამარა, ეთერი და [illegible] აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ტერეზი მაქსიმეს ასული
წუწუნავა-კეჭაღმაძისა

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 22 დეკემბერს, სოფ. ზიდუბანში (გურია)
6064

ფლორე ცია ბოლქვაძისა, ნიაა წულუკიძისა, ცეცილია, ალექსანდრე, სასონ წუწუნავა და ალექსი ბოლქვაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ტერეზია მაქსიმეს ასული წუწუნავა-კეჭაღმაძისა

დაკრძალვა მოხდება 22 დეკემბერს, სოფ. ზიდუბანში (გურია).
6062

ღრმად დამწუხრებული მშობლები: გიორგი და თამარა, ბებია, ბიძები, ძალუები ვაშაკლევიჩები, ბები, ბიძა ოჯახობით—ენაგელები, ბიძა ოჯახობით—მენაღარიშვილები, ნათლია ბარნოვი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა ძვირფასი დაუვიწყარი

შალიკო გიორგის-ძე ვაშაკლევიჩი

გამოსვენება 22 დეკემბერს, ჩერქეზიშვილის ქ. № 107-დან დღის 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
6059

ამა წლის 23 დეკემბერს, კვირას, 12 საათზე ქ. ქუთაისში, ს. [illegible] სასაფლაოზე

გერასიმე მათეს-ძე ცაგარეიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებს საზოგადოებას განსვენებულის ოჯახი
6062

მეუღლე ტასიკო, შვილი თინა, დები მიადორე და კესარია, ძმები კონსტანტინე და იასონ ჩხენკელი, რძლები ანა და ვალენტინა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ამა წლის 20 დეკემბერს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, სოფ. დიდი-ჯიხაიშში, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ნინა ივანეს ასული კაჭახიძისა

დაკრძალვა კვირას, 23 დეკემბერს, სოფ. დიდი ჯიხაიშში
ბ 2017

[illegible] ცოლით-ქეთოთი [illegible] მწუხარებით აუწყებს ძმობილებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 16 დეკემბერს, სოფ. მერიაში—უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი მეგობარი

ილარიონ კოწიას-ძე აროზელიძე

რომლის დასაფლავება მოხდა ა. წ. 20 დეკემბერს, ს. მერიაში (გურია).
6060

[illegible], სერგო, თამარი და პავლიკა სარქისაშვილები; ბარბარე, ნიკოლოზ, მიხეილ, ლუსია და ვანო წინამძღვრიშვილები; ტასო და აპოლონ ბალაშვილები; ენკა და ვანო რცხილაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას ა. წ. 23 დეკემბერს შუადღის 12 საათზე დიდუბის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგულ, დაუვიწყარ და ყველასათვის საყვარელ

ტასიკო სარქისაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად
6053

ღრმად დამწუხრებული დედა ეფემია, მეუღლე ოლია და დები: მარიამ, სიაო, ევგენია (ქენია) და სიძე ვიქტორ ჟვანია აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ მათთვის დაუვიწყარი, ერთად ერთი იმედის ექიმ

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 23 დეკემბერს, დღის 2 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე
6058

გულდათუთქული მეუღლე ქაიხოსრო შვილებით: ვლადიმერ, ვანო, თამარი, ხელიკო; მაზლები: რაჟდენ, ნესტორ, იუსტინე და ძმა შავიაშიძეები ცოლ შვილით; მულისშვილები: დეთიკო, მარიამ და შალვა შარაძენიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 20 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

პაშა ამბაკო გოგოძის ასული შავრაშიძისა

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 23 დეკემბერს, სოფ. ეწერში.
6063

კვირას, 23 დეკემბერს, დილის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ძვირფას და დაუვიწყარ

თინა ზაქარიას ასულის ვაშაკიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნაცნობებთ და ნათესავებს მწუხარებაში მყოფნი დედამამა, ძმა ი. დები რძლები და სიძანები.
(შ)

სახკინმრეწველობის კინოები

ანთიადი	მონტიბენქსი სურათში	ბედნიერების ნალი
არფასტო	[illegible] სურათი	ჭირვეული ცოლი — რუფ კლიფორდის მ-აწ
სოლეი	ელენ რიხტერი 1928 წელს გამოშვებულ უახლოეს ხატურულ სურათში	მორალი
მინიონი		
აპოლო	მსოფლიო ფილმი	თავდასხმა ვირგინიის ფოსტაზე — რიჩარდ მარტელის მონაწ.
[illegible]	თავისი დადგმით გრანდიოზული ფილმი	კასტუს კალინოვსკი — რ. ჟ. გარჩინი
დარბაზი		პორტფელის გამტაცებლები
პროლეტარი		თავზე ხელაღებული — 5 დას სერიები

ანონსი. მალე „სახლი ტრუბნის მოედანზე“ და „კირა კირალინა“
0—16

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 22 დეკემბერს აბონემენტის გარეშე პრემიერა **სევილიელი დალაქი** რესპუბლიკის დამსახ. რეჟისორი არტისტის ა. მ. ბრაგინის მონაწილეობით ნ. ნ. ბოგოლიუბოვის ახალი დადგმა

23-ს დილით მე ამე დილის წარმოდგენა საგრძნობათ დაკლებულ ფასებში 25 კაპიკიდან 1 მან 50 კაპ. **აბესალომ და ეთერი**

საღამოს ა[illegible] ს გარეშე ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **კარმენ**

წარმოდგენის დასაწ. საღამოს სრულ 8 საათ. დილის წარმოდგენის დასაწ. 12 ნახ. ს. დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 2014

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს ატრაქციონების სანახაობა

გალა პროგრამა 3 განყოფილებად

მხეცების მჯვრთნელი **ნ. პ. გლადილშჩიკოვი** ძუ და ხვადი ლომებით, დ თვებით და დოგებით

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათ.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან

მთელი დასი ყველა გასტროლიორები

კვირას, 23 დეკემბერს **დღის დიდი სანახაობანი**

მხეცების მწვრთნელის ნ. გლადილშჩიკოვის მონ. დღისით ძუ და ხვადი ლომები, დათვები, დოგები

დასაწყისი დღის 2 საათზე.

3—1 ნ. 2010

იჩქარეთ ნახოთ!

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ, რაც ჯერ არავის უნახავს!

სამხეცე ცხოველთა სამყარო

ყოფილი კლუბის (ოფ. ა[illegible]) ბაღში ჩამოყვანილია იშვიათი ეკზემპლიარები

მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მ ტად იშვიათი ეკზემპლიარები.

სამხეცე ღია ა ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ნ. 1834 15.

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

„საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ.-სა და თბ.კ.-ს მოამბე“-ზე

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ ქართულ და რუსულ ენაზე

ჟურ. „საქ. კ.პ. ბ)ც.კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ხელმძღვანელი ორგანოა პარტაქტივისათვის: ეს ჟურნალი ათავსებს ინფორმაციას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს პლენუმების, პრეზიდიუმების, სამდივნოების, განყოფილებებისა და კომისიების მუშაობისა და აგრეთვე საქართველოს პარტორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“-ში თავსდება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ყველა რეზოლიუციები, ცირკულიარები და სხვა ოფიციალური მასალები, რომელიც სავალდებულო და სახელმძღვანელოა ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“ უნდა ჰქონდეს ყოველ კომიტეტს, უჯრედსა და პარტიის ყოველ წევრს, როგორც აუცილებელია საჭირო სახელმძღვანელო მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

ჟურნალის ფასი:

1 წლით—2 მან. 00 კაპ. 3 თვით— მან. 55 კაპ.
6 თვით—1 მან. 05 კაპ. 1 თვით— მან. 20 კაპ.

ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — საფინანსო განყოფილება.

10—2 ნ. 2011

კიროპ კირალინა

პანაიტ ისტრატის ცნობილი რომანის მიხედვით

კინო-თეატრებში **არფასტო-სოლეი** ორშაბათიდან 24 დეკემბრიდან

ნ. 2019

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო საზოგადოების გამგეობა აცხადებს

— რომ —

დეკემბრის 26 ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე

დანიშნულია **სახვაჭრობის აქციონერთა საერთო კრება**

დღის წესრიგში:

1. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება 1927/28 საოპერაციო წლის მუშაობის შესახებ,
2. 1928/29 საოპერაციო წლის სავაჭრო გეგმის განხილვა.
3. ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევები.
4. მიმდინარე საკითხები.

მისამართი: კეცხოველის ქ. № 5.

ნ. 2015 გამგეობა

ექიმი **ი. ვ. ახმეტელი** იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ო[illegible]ის) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

რიონის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოებზე **საჭიროა მოხელე შემდუღებელი**

თვიდაგურის (ავტოგენის) შედუღებისა—პირობები დამოკიდებულია მოხელის კვალიფიკაციაზე. მსურველებს შეუძლიან მიმართონ ქ. ქუთაისში „რიონჰესი“.

ხ. 2005

საქართველოს ფინსახკომი

აცხადებს იმ სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და კერძო სავაჭრო სამრეწველო საწარმოთა მფლობელების საყურადღებოდ, რომლებიც სარეწავ გადასახადით იბეგრებიან საერთო წესით ბრუნვათგან პროცენტული შეფარდებით მიხედვით, რომ რომ ვის შესაბამ განცხადებები უ და იქ[illegible]ს წარმოდგენილი სათანადო საგადასახადო უბნებში არა უგვიანეს ა. წ. 25 დეკემბრისა დაწესებულ ფორმის დაცვით, სახელმწიფო და კერძო საწარმოთათვის—ფ. № 8 ბლანკზე, ხოლო კოოპერატიულ ორგანიზაციათათ ის—ფ. № 9 ბლანკზე.

ის პირები, რომლებიც ვადაზე არ შემოიტანენ ბრუნვის შესახებ განცხადებებს, დაჯარიმებული იქნებიან სახელმწიფო სარეწავ გადასახადის 1928 წ. აგვისტოს დებულების მუხ. 60 თანახმად, პირველად ავანსის ერთი მეოთხედის არა უმეტესი რაოდენობით.

განცხადების ბლანკები და ცნობები გაიცემა სათანადო უბნის პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის კანცელიარიიდან.

საქ. ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ი. ფანცხავა

საგადასახადო სამმართველოს უფროსის ძაგიერ ჩიქოვანი

ნ. 2016

საქ. კინომრეწველობის გამგეობა

აცხადებს, რომ კინო-თეატრებში შესასვლელი მუდმივი ბილეთებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს

ვის სახელზედაც გაცემულია ბილეთები

იმ შემთხვევაში, თუ ბილეთები სხვა პირებს გადაეცა, ბილეთები ჩამორთმეული იქნება.

მუდმივ ბილეთებს ძალა აქვს ყოველ დღე, გარდა სურათის დადგმის პირველი დღისა და კვირა დღეებისა.

ნ. 200 საქ. კინომრეწველობის გამგეობა

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

აცხადებს, რომ 1928 წლ. 31 დეკემბერს დილის 12 საათზე

საჯარო ვაჭრობით გაიყიდის უშემკვიდროთ გარდაცვალებული ბიქტორ მო[illegible] ძე იოსელიანის ერთ აგურის და ხის ერთსართულიან სახლს, რომელიც შეიცავს ორ საცხოვრებელ ოთახს, შუშაბანდით, ორი თვალი ხის სამზარეულო, დ ხურული კრაძიოთი. შეფასებულს 700 მანეთად, ნადიუდა ბეჟლ რის ასული აბელეიძის ს ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები 311 და 312 მუხ სამ. კოდ. გ იყიდება აგრეთვე სხვა მოძრავი ქონება: ტანისამოსის შკაფი, საკერავი მანქანა. რკინის საწოლი, სკამები, მაგიდა, სარკე, ნოხები, ქვეშაგები, ყუთები, ქამარი, თეფშები, ლებები, ქვაბები უჯის საათი. ვერცხლის ხა ჯალი და მასთან სხვადასხვა ოჯახის წვრიმალი ავეჯი, შეფასებული 432 მან.

ნ. 2018

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ლოგოპედი **ა. ა. კაიშაური**

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედ ის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენბლუებს, ენაჩლუნგებს, ბუტბუტებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ

კლარა ცეტკინის ქ. № 132.

13—1 ნ. 180

ექიმი **ი. პ. მჭედლიშვილი**

შინაგანი ავადმყოფობა ა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებები და გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაზიროვისა) № 7—კვირის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

25—17

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

არტილერიის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—8

ექიმი **პ. ი. ჯალალოვი**

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9.

ბ. 25—19

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ ყოფ. „ნოეს“, პოოდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ნ. 10. 25 1

„კომუნისტი“-ს გამომცემლობას

ესაჭიროება გაზეთის საზიდავად

ნახევრად სატვირთო ავტომობილი ერთი ან ერთ ნახევარ ტონიანი

კომისიონერებს ვსთხოვთ თავს ნუ შეიწუხებენ

იკითხეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ტელ. № 8—81.

0—7

ქ. ქუთაისი

ექიმი **თ. ვ. კაპანაძე**

შინაგანი სნეულება—სხვაც ლ. ფილტვის ავადმყოფობა. ბრო ეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

1—25

ნაპოვნია პარტიული ბილეთი № 0850040 შალვა კანკავას სახელზე, 6014

დაკარგვა: პიონერის მოწმობა, ალრიცხვის ბარათი და მეტრიკული ამონაწერი არკადი სილოვანის ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 6054

დაკარგვა: „ზაკტპას“ წიგნაკი და რკინიგზის წლიური ბილეთი ნიკოლოზ გოშაძეს სახელზე, ჩ. გ. 6055

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 19414 ნინო ჩიქოვანის სახელზე, ჩ. გ. 6056

დაკარგვა, ლომბარდის ქვითარი № 96242, ჩ. გ. 6057

დაკარგვა: ცენის მოწმობა № 1955 ალექსანდრე ჯოჯუას სახელზე, ჩ. გ. 6050

დაკარგვა, პატენტი № 4662 გაბო გაბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 6049

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი № 1145400 და სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 2748/2391 დათიკო პაიჭაძეს სახელზე, ჩ. გ. 6043

დაკარგვა: სავაჭრო და საბჭოთა მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 24752 ივანე დავითის ძე გოლეთიანის სახელზე, ჩ. გ. 6051

დაკარგვა მოწმობა, გაცემული ხელოსანთა საზოგადოების მიერ, გრიგოლ ჯიშკარიანის სახელზე, ჩ. გ. 6048

დაკარგვა: უმუშევრობის წიგნაკი და თვით მწრომელთა კავშირის წიგნაკი № 3309 გიორგი ძაგდალასოვის სახელზე, ჩ. გ. 6045

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა კამოს ქუჩა № 88.
მთავლიტი № 904.